

1945  
14

# ଭ୍ୟାଳୀନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର ପ୍ରକୃତ୍ସୂର୍ଯ୍ୟରଙ୍ଗର

ଶିଖିତେନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର ହୃଦୟ  
ଶିଖିତେନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର  
ଶିଖିତେନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର

ଶିଖିତେନ୍ଦ୍ରମିଶ୍ର - ପଠନକାରୀ, ପାତ୍ରକାରୀ  
ପଠନକାରୀ - 1945

საქართველოს სსრ განსაკრძოდს პოლიტსაზანარეთლ ებლო  
მუნიციპალიტეტის სამართვილო

თემის სამართლის ბატონიშვილი

გ. ცმათვალი  
26 V. 44  
T. Abramishvili

მოგზაურობა ჩემი ეპროფისა  
სხვათა და სხვათა აღგილთა

11979  
19  
E

ცოლომონ იონებანიშვილის  
რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით



ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

თბილისი—1944

პ/მგ. რელაქტორი ა. გაბისონია

წაკ. სსრ სახკომისაბჭოსთან არსებულ პოლიგრაფიისა და  
გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2  
ფურცელაძის ქ. № 5.

შეკვეთა 1480

ტირაჟი 1200

უე 09419

## მინასიტუვის გაგიერ

თეიმურაზ ბატონიშვილის „მოგზაურობა ჩემი ევროპაისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ ერთი შესანიშნავი ქართული ლიტერატურული ძეგლთაგანია, რომლის აღმოჩენა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ღრმა პატრიოტიზმი, ევროპული განათლება, მეცნიერული სიზუსტე, ზნეობრივი სიფაქიზე, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება,— „მოგზაურობის“ ავტორის ის თვისებები იყო, რომლებიც უდიდესი პატივისცემის შარავანდედით მოსავდა მის სახელს თანამედროვეთა შორის.

„მე არ შემიძლია,—ამბობდა აკადემიკოსი ბროსე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო კრებაზე 1838 წ., —განუცვითრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონიერასა და დიდ ცოდნასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კუთილშობილურ გასართობს, რომლის მიზანია—თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა, ამ აღამიანის მდაბალ მოწაფედ—სინიდისის ქვეშ უნდა ვთქვა—ვალიარებ ჩემს თავს“<sup>1</sup>.

თეიმურაზი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილი, იგი დაიბადა 1782 წელს და გარდაიცვალა 23 ოქტომბერს 1846 წ. თეიმურაზის შესახებ დარჩენილ ბიოგრაფიულ ცნობებიდან ვიცით, რომ მისი ლალა-აღმხრდელი იყო პეტრე ლარიძე (ყარიბი), ხოლო მოძღვარი (მასწავლებელი) თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი. მამის, გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წ.) შემდეგ,

1. Д. Бакрадзе, „Статьи по истории и древностям Грузии“, 88. 9. Святпетербург, 1887 г.

თეიმურაზი .არ დაეშორჩილა რუსეთის მეფის ხელისუფლების მოთხოვნას რუსეთში გადასახლების შესახებ და კავკასიის მთავარმართებლის, თავად ციციანოვის დროს, 1803 წელს, გაიქცა სპარსეთში თავის ბიძა, ბატონიშვილ ალექსანდრე-სთან, რომელთან ერთად იბრძოდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ.

1805 წელს იგი სპარსელთა რაზმში იყო და ფირ-კულიხანის ხელმძღვანელობით მონაწილეობას ღებულობდა რუს-სპარს-თა ბრძოლებში კარაკლისთან. აბას-მირზას დროს, 1810 წელს, ბატონიშვილი თეიმურაზი სარდლობდა. სპარსელთა საარტილერიო ნაწილს, მაგრამ მალე თავისი ნებით გამოცხადდა გენერალ ტორმასოვთან, რომელმაც იგი პეტერბურგს გაგზავნა. პეტერბურგში ყოფნისას იგი დაეუფლა ბერძნულ და ლათინურ ენებს და მშობლიური ლიტერატურის შესწავლას შეუდგა.

თეიმურაზ ბატონიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო, რასაც მოწმობს მის მიერ დატოვებული შემდეგი ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები: „ყაჯართა დინასტიის სპარსელ შახთა მოკლე გენეალოგია“, „არმაზის კერპის მოკლე ისტორია“, „იმპერია ათონის მონასტრის დაარსება და თაჭვადასავალი“, „როდის და როგორ დაიყრეს თურქებმა სამცხე-საათაბაგო“, „განმარტებითი ლექსიკონი ვეფხის-ტყაოსნისა“, „ისტორია დაწყებითგან ივერიისა ე. ი. გიორგიისა, რომელი არს სრულიად საქართველოისა“, „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისათვის“ (რუსულითგან ნათარგმნი), „წიგნი ათნი გვირგვინნი“ (სპარსულითგან ნათარგმნი), „მხედრობის დარიგება ნაპალეონისა“ (ფრანგულით თარგმნი), „საარითმეტიკოთა და საგეომეტრიოთა პროპორციათა და პროგრესიის კანონთათვის“ (თარგმანი რუსულითგან) და სხვ..

სხვა უასხვა სამეცნიერო შრომებოან ერთად თეიმურაზ ბატონიშვილს დარჩა მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომე-

ლიც მისი გარდაცვალების შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ამ ბიბლიოთეკის პირველი კატალოგი თვით თეიმურაზ ბატონიშვილს შეუდგენია<sup>1</sup>.

ბატონიშვილი თეიმურაზი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან და პარიზის სააზიო საზოგადოებასთან, რომელსაც სისტემატურად აწვდიდა სხვადასხვა ცნობებს საჭართველოს ისტორიიდან.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთი განათლების ადამიანის მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტი მეტად საინტერესო და მრავლის მთქმელი უნდა იყოს.

„მოგზაურობა“ უანრის მხრივ დღიურია. იგი გადმოგვცემს ქართველი მეფისწულის შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს უცხოეთში გაცნობილ ღზრსშესანიშნავ ადგილთა და პირთა შესახებ, რაც ასე ზრდის ამ ძეგლის ისტორიულ-შემცნებით ღირებულებას.

თეიმურაზი გამოცდილი მოგზაურის თვალით სჭრეტს გზად შეხვედრილ ყოველ საგანსა და მოვლენას. იგი ცდილობს და ალაგ-ალაგ კიდევაც აღწევს იმას, რომ მისი აღწერანი იძლეოდნენ ნახულის სრულ, სინთეზურ სურათს. თეიმურაზს უყურადღებოდ დატოვებული არა აქვს არც ერთი დეტალი, რომლის საშუალებოთაც კი შეიძლება ახსნილ იქნეს საერთო შნიშვნელობის მოვლენები. ასე, მაგალითად, ქ. როსტოკის შესვენების სურათის აღწერილობაში ავტორს ოსტატურად გამოაქვს დღის სინათლეზე გერმანელთა სიძუნწე და ანგარიშიანობა, როგორც მათი ნაციონალური ხასიათის ერთ-ერთი უაღრესად გამოკვეთილი თვისება.

თეიმურაზ ბატონიშვილი რომ ამბეჭისა და მოვლენათ უბრალო ქრონიკორი არ არის, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი ექსკურსებიდან ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ გეოგრაფიაში. საჭართველოს მეფის შთამომავალი, ერთგვარი გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ პრუსიაზე მგზავრობისას „გზა-

<sup>1</sup>. Д. Бакрадзе, „Статьи по истории и древностям Грузии“, გვ. 10.

ზე... ვნახეთ ელბინლი, რომელიც ძველად პოლშისა  
არის, ახლა პრუსიის კოროლს უჰყრია, აგრეთვე დანცილიც  
პოლშისავე ყოფილა და პრუსთა უჰყრავს“ (გვ. 24).

გარეგნულად ამ უვნებო სტრიქონებში ნათლად მოსჩანს  
სამშობლოს თავისუფლებისათვის ომგადახდილი ბატონიშვი-  
ლის თანაგრძნობა პოლონეთისადმი, რომელმაც ე. წ. მესამე  
განაწილების შემდეგ, ერთხელ კიდევ დაპკარგა თავისი სა-  
ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საკუთარი მიწა-წყალი,  
რაც ერთ საუკუნეზე მეტი დროის გავლის შემდეგ მას დაუ-  
ბრუნა გენერალისიმუს სტალინის სარდლობით გერმანელ  
ფაშისტებზე გამარჯვებულმა გმირმა წითელმა არმიამ.

ჩვენს მოგზაურს შეუმჩნეველი არ რჩება იმდროინდელ  
პოლონეთში არსებული პაუპერიზმი და მონური ექსპლოატაციის.  
ჭეშმარიტად შემაძრწუნებელი სურათები. „პოლშის სამზღვარ-  
ში ამბობს, — ბატონიშვილი, — მცხოვრებთა მათთა განსაკვირ-  
ვებელი არს სიგლახაკე“, ხოლო... „გლეხთა და მათ საწყალ-  
თა ამუშავებენ მსგავსად ფარაონის კირთებისა ეგვიპტუ-  
რისა“. თითქოს ჭეშმარიზმისა და სოციალური სამართლიანო-  
ბის გრძნობა უკარნახებს მეფის-ძეს განაცხადოს, რომ  
„პოლონეთში იჯარადრები ფულით ივსებიან და მათ მება-  
ტონებსაც მრავალს ფულს აძლევენ და ის საწყლები მცხოვ-  
რები (გლეხები — ა. გ.) სრულიად მომყმარნი და უქონელნი-  
არიან-ო“. (გვ. 24).

პრუსიის მიწა-წყალზე ფეხის შედგის შემდეგ მეფისწუ-  
ლის ყურადღება უმთავრესად ქვეყნის წარჩინებულებზე და-  
სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებზე მიპყრობილი. ამა-  
სთან იგი ცდილობს მოგვცეს გერმანიის სხვადასხვა კუთხის  
ეკონომიკური აღწერა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საეჭიმო  
ხასიათის დარიგებებსაც არ ერიდება.

ნახულსა და განცდილს ავტორი გადმოგვცემს ისეთი ეპი-  
ური სიმშვიდით და ისე უბრალოდ, რომ სხვადასხვა წერილ-  
მანებით დატვირთული მისი თხრობა მკითხველს ზოგჯერ მო-  
საწყენადაც შეიძლება მოეჩვენოს; „მოგზაურობის“ ავტორი

თითქმის გრძნობს, რომ მისი აღწერის ზოგიერთი მომენტი მძიმე შესათვისებელია მკითხველისათვის და ამიტომაც ცდილობს ნაწერში პოეზიის ნიმუშები ჩაურთოს. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსთველის მიბაძვით დაწერილ მის შაირში მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩანს ბატონიშვილის იუმორ-ნარევი პოეტური ნიჭი და გაქანება.

ცხადია, „მოგზაურობაში“ შეტანილი ყველა შაირი ერთნაირი ოსტატობით არ არის შესრულებული. ზოგი შედარებით სუსტია და ზოგიც უფრო ძლიერი და შთაბეჭდილების მომგერელი, მაგრამ, უმრავლესობა მათ შორის უდავოდ კარგადაა გამართული.

ასეთია, მაგალითად, შაირი, რომელიც თან ერთვის ვილ-ჰელმთან და მის ცოლთან, ლუიზა რობერტასთან გამართულ წვეულების აღწერას:

„შემომეტვივნენ ქალები, ლამაზი ჰქონდაო თვალები;

თეორ-წითლად, უცხოდ ფურფუჩნი, პირზედა ასხდათ ხალები;

→გუთმორგენ, იფშო“ იძახდნენ, გულს თურმე სწვიდათ ალები; არ ვიცი, რასა ჩმახვიდნენ, წაუხდათ ცნობათ ძალები“... და სხვ.

თხრობის უბრალო მანერა, რომელზედაც ჩვენ, ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. თანამედროვე მკვლევარისათვის ცხადი ხდება, რომ „ეგროპიის სხვათა და სხვათა ადგილთა“, მაინცა და მაინც დიდად არ გაუკვირვებიათ საქართველოს მეფისწული, რაც ალპათ, გამოწვეულია თავისი მშობელი ქვეყნის და მისი უძველესი კულტურის სიდიადის შეგნებით. ეს აშკარად ჩანს, თეიმურაზის მიერ მარი ბროსესადმი მიწერილ ბარათიდან. ადარებს რა გერმანელებსა და ქართველებს ერთმანეთს, თეიმურაზ ბატონიშვილი ამ წერილში სიამაყის გრძნობით აღნაშნავს: „მე ამ განვლილ წელს გერმანიაში მრავალნი სხვადასხვა ადგილნი ვნახე. რა საკვირველი არის, რომ თუმცა თავის უფრალს ხალხსა. დამონებული ერი როგორ უნდა შევადარო, მაგრამ ხალხის პირველად ხარაჭტირი, მშვენიერება, ახოვნება, ჰაეროვნება, მთა, ბარი, ძველი მონასტრები, ციხეები,

ქვეყნის გარემოზღუდვილება, პაერი, წყალი, ნაყოფიერება, სიუხვე, მდებარეობა, თუნდ გულოვნებაც, ხალხის სიმდიდრეც, სტუმარომიუვარეობა—სულ განხვავებული არის ჩვენის საქართველოსი” (გვ. 95).

ბატონისშვალი არ არის ბრმა თაყვანისმცემელი ევრო-პული განათლებისა და კულტურისა. ადარებს რა ერთმანეთს ქართული და ევროპული კულტურის განვითარების დიდისტორიულ გზებს, იგი იმავე ბროსესაღმი გაფზავნილ მეორე ბარათში წერდა: „იმ ძველ უამებში, ორდესაცა არც ჯერ თქვენში და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოვებოდა, რომ სწორედ ანაბანა თავიდან ბოლომდის ჩაეკითხათ, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ უამებში, თუ სთქვა, სრულს / განათლება-ში და წერილობით ალსავსე და სიბრძნითა ალყავებული“.

(გვ. 94).

ასე კრიტიკულად უცქერის ქართველი პატრიოტი უცხოეთის გარეგანს ელვარებას და ერთის წუთითაც არ ავიწყდება, რომ ეს ელვარება დროის მოკლე მანძილით არის განსაზღვრული, ხოლო მისი სამშობლოს, საქართველოს კულტურის ისტორია მრავალი საუკუნეებით განიზომება.

სამწუხაროდ, „მოგზაურობაში“ მთლიანად ვერ მოაღწია ჩვენამდის, მაგრამ ეს, დოკუმენტი განსაჯუთრებულ ინტერესს იწვევს იმ სახითაც, რა სახით იგი გამოავლინა ნაყოფიერმა მკვლევარმა, სოლომონ იორდანიშვილმა, რომელმაც ამ ქეგლთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოსთან ურთად ისიც გააკეთა, რომ დააჭუქტა თეიმურაზის ბიბლიოთეკის სრული კატალოგი და სათანადო შენიშვნებით გაამზადა იგი გამოსაცემად.

უეჭველია, რომ საქართველოს სსრ განსახულმის პოლიტ-განმუშაობის სამმართველოს და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნო-გრაფიული მუზეუმის ინიციატივით განხორციელებული ამ „გა-მოცემის შემდეგ, „მოგზაურობა“ კიდევ უფრო დიდის ინტერესით და მრავალმხრივ იქნება შესწავლილი ქართველ შეცნიერთა მიერ.

ა. მ. გაბისონია.

## თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობა ევროპაში

თეიმურაზ ბატონიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურულ მემკვიდრეობაში „მოგზაურობას“ სრულიად განსაკუთრებული აღგილი უჭირავს.

რა ვიცოდით დღემდის თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობის შესახებ? ქართველთმცოდნეობის ერთ-ერთმა დიდმა მოღვაწემ, პროფესორმა ალექსანდრე სოლომონის-ძე ახანაშვილმა (1866—1912) გაზით „სავაჭრო გზის“ 1908 წ. № 17-ში მოათავსა წერილი „თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალა“. წერილი დაწერილია ბერლინის ბიბლიოთეკაში დაცულ სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონზე თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერის გამო: „შექსწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა. ფრიდერიკოს ველლემ მესამესა, მათის დიდებულების ბიბლიოთეკისათვის უმონებრივის სიმღაბლით. 1836 წ. იქტებრი 22 (ноябрь 4) ვ. ბერლინე“. ამ მინაწერის დროის აღნიშვნის მიხედვით, ა. ხახანაშვილი ასკვნიდა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ოვით ყოფილა ბერლინში 1836 წ. და საკუთარის ხელით მიუწერია წელიწადი და აღგრძი შეწირულებისა. ბატონიშვილმა, შესაძლოა, იმოგზაურა საზღვარგარეთ და, სხვათა შორის, ინახულა ბერლინი, სადაც დასტოვა. ფრიდრიხ-ვილჰელმის წიგნთსაცავისათვის | ს. ს. თრბელიანის ლექსიკონი.

ამავე საკითხს ეხვდა საქართველოს საისტორიო-საეთნო-გრაფიო საზოგადოების 1916 წლის მარტის 6-ს კრებაზე თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოსული პოლიევჭი კარბელაშვილი. მოხსენება ფელეტონების სახით გამოქვეყნებულია.

ლია 1916 წლის გაზ. „საქართველოში“ (№ 144, 145, 146 და 148). იგი თეიმურაზ ბატონიშვილის ამ მოგზაურობის შესახებ (სამწუხაროდ, ათა ჩანს, რა წყაროებზე დაყრდნობით) გადაკრით აცხადებს, რომ 1836 წ. თეიმურაზი გაემგზავრა და მოიარა გერმანია, დანია და საფრანგეთით.

სულ უკანასკნელ ხანს თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვამოქვეყნდა ახალგაზრდა მკვლევრის შოთა მესხიას შრომა<sup>1</sup>, სადაც თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ პირველ ევროპელ სწავლულ ქართველთმცოდნე მარი ბროსესად მი (1802—1880) მიწერილ, დღემდის გამოუქვეყნებელ, წერილებზე დაყრდნობით, გარკვეულია გერმანიაში თეიმურაზის სამკურნალო მიზნით მოგზაურობის ფაქტი.

თეიმურაზის „მოგზაურობის“ ავტოგრაფის ჭამოქვეყნების შემდეგ ამ საკითხს ახალი შუქი ეფინება<sup>2</sup>.

მოგზაურობის ხელნაწერი, ერთის შეხედვით, სრულიად არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული ნიშნებით თეიმურაზის ხელით დაწერილ და გადაწერილ, ჩვენამდის მოლწეულ წიგნებიდან. იგი უბის რევულის ზომის ( $19,5 \times 11,5$  სმ.) უძრალო, ოდნავ სირუხე შეპარებულ ქალალდზეა დაწერილი. ხელი თეიმურაზის წერილებისათვის ჩვეული მხედრულია, რომელსაც შიგადაშიგ ასომთავრული ხუცური აქვს გარეული, ალაგ-ალაგ ხელი უფრო მოიწმინდავებს. დამთარილებელი ბოლო მიჩნაწერი ჩვენამდის მოლწეულ „მოგზაურობის“ ავტოგრაფს არ შემოუნახავს. საფიქრებელია, რომ ეს მინაწერი ხელნაწერს ექნებოდა ბოლო ფურცელზე, როგორც ეს შემო-

<sup>1</sup> „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, თბ, 1939, ნაკვ. I.

<sup>2</sup> ხელნაწერის გამოქვეყნებაში ხელი შეგვიწყო ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ი ლ ი ა გ ო გ ი ა მ და ამით მუხლები დაცული უცნობი ხელნაწერი მისაწვდომი გახადა ფართო საზოგადოებისათვის.

ინახეს თეიმურაზის მიერ შესრულებულმა თუ სხვის, მიერ გა-  
დაწერილმა ხელნაწერებმა, რომელთაც კი ყდებშემოუძარ-  
ცველად მოაღწიეს ჩვენამდის მისი მდიდარი ბიბლიოთუკი-  
დან. „მოგზაურობის“ ხელნაწერი თავის დროს აკინძული და-  
ვარაყით მოჭრილი ყოფილა. ყდებიდან ამოგლეჯისას, თუ შე-  
მდეგ, მას რამდენიმე ფურცელი (შესაძლოა, რვეულიც) დაჰკარ-  
გია. ამის მიუხედავად, „მოგზაურობის“ ჩვენამდის მოლწეუ-  
ლი ნაწილიც კი, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღე-  
ბას მიიპყრობს არა მარტო ქართველ მწიგნობართა შორის.

თეიმურაზის ეს თხზულება თავისებურ დღიურს  
წარმოადგენს, მოგზაურობის დროს უშუალოდ განცდილისა  
და ნახულის ამსახველ შთაბეჭდილებათა წიგნს, რომლის შე-  
ნიშვნების სახით შავალ წერა, საფიქრებელია, დაიწყო პეტერ-  
ბურგიდან მწუხარებით გამგზავრების დღიდან (1836 წ. მაი-  
სის 26) და დაასრულა შინ მშვიდობა-სიხარულით დაბრუნე-  
ბისას (იმავე წლის ნოემბრის გასულს). „მოგზაურობის“ ზო-  
გიერთი სქემატურობა, ალაგ-ალაგ ნახტობები, შეუვსებელი  
გვერდები ან სტრიქონები, შემდეგში შესავსებად გამიზნული  
სხვადასხვა საცნობარო წიგნების გამოყენებით, იმას უნდა  
გვანიშნებდეს, რომ თეიმურაზის ეს „მოგზაურობა“ თუ  
1836—37 წლებში არ არის შესრულებული, ყოველ შემთხვე-  
ვაში, მისი ცხოვრების გატანჯული მწუხრის ერთ-ერთი, სა-  
ბოლოოდ ლიტერატურულად დაუსრულებელი. ნაწარმოებ-  
თაგანია. ეს მისი დაუსრულებლობა-კი იმით უნდა აიხსნებო-  
დეს, რომ თეიმურაზი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, 1840  
წლიდან მოყოლებული, მიუხედავად ავადმყოფობისა, ძალთა  
სრულის. დაძაბვით მუშაობდა. ესოდენ მისთვის საყვარელ  
„ვეფხის-ტყაოსნის“ კომენტარიებსა და „საქართველოს ის-  
ტორიაზე“. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი მან იმდენად  
დამუშავებულ-დასრულებული სახით დაუტოვა დამწუხრებულ  
პატივისმცემლებს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, სახელდობრ  
აკადემიკოსმა მარი ბროსემ, რომელიც თავის-თავს თეი-

მურაზის მდაბალ მოწაფედ ილიარებდა და რომელსაც მოკრძალების გარეშე არ შეეძლო წარმოეთქვა მისი სახელი, იგი გამოსცა თეიმურაზის გარდაცვალების მეორე წლის დამდეგსავე (1848 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზის „მოგზაურობამ“ ჩვენამდის მოაღწია დამუშავების მხრივაც დაუსრულებელმა და მოცულიბითაც დაზიანებულმა, იგი მაინც საკმაო ლირებულებას წარმოადგენს ოეიმურაზის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

თეიმურაზი მოგვიოხრობს იმას, რაც ნახა თავისი თვალით, ვისაც ესაუმრა და რა საკითხებზე, საფიქრებელია, რომ თეიმურაზი მოგზაურობისასვე აწარმოებდა დღიურს, სატაც შეჰქონდა თავისი შოაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, გამყოლთა და უკრძალვის ახლად გაცნობილ პირთა ნათქვამ ნაამბობი. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, რომ მისი შთაბეჭდილებები და ნახულ-კანცლილი ზოგან ასე ცოცხლად ასახულიყო თხზულებაში. „მოგზაურობის“ კითხვისას ხანდახან აზრი გავიერებო, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ძალზე ჩამოჭერას დაკვირვებულ ტურისტს; მას ყველაფერი აინტერესებს და ცდილობს ასახოს უბის წიგნში. სამწუხაროა, რომ მას ხელთ არა ჰქონდა ფოტოაპარატი და ფონოგრაფი, რათა ზედმიწევზითი შესატყვევისობით ალებეჭდა ნახულ-გაგონილი მისთვის ახალსა და სრულიად უცხო გარემოებაში.

დო შეიძლება იმის უარყოფა, რომ თეიმურაზის მიერ ნახულ ლირსშესანიშნავ ქალაქთა, ციხეთა და განსაკუთრებით კი კარლ სბად-შარიენბადის მდებარეობისა და გარებოს აღწერილობანი, ყოველგვარ წვრილმანისაღმი ყურადღების გამახვილებისა გამო, შესაძლოა, ცოტა მოსაწყენიც იყოს მკითხველისათვის: სამაგიეროდ, გერმანიის იმ დროინდელ სამთავროთა თავისებური ყოფის სურაოები, ძველ და იხალ სასახლეთა, ლირსშესანიშნავ და ლირსსახსოვარ აღგილების „საკვირველებათა სახლების“ (მუზეუმების), ბიბლიო-

თეკების, სამუსიკო, საკრებულო, საცეკვაო დარბაზების, ფუნ-  
დუკების და მისთანათა აღწერილობანი საკმაო ყურადღებით  
არიან შესრულებულნი. აწერილი ობიექტები ჩვენს თვალწინ  
რელიეფური გარკვეულობით აღიმართებიან, თითქს პრო-  
ექტორის სხივთა ძნით განათებულნი. ამას ემატება ცოც-  
ხალი ინტერესით მოთხრობილი და უწყინარი ლალობით შე-  
ზავებული ზოგიერთი თავისი და ნაცნობ-თანამგზავრთა თავ-  
გადასავალი. ასეთია, მაგალითად თეთი მურაზის პატივსა-  
ცემად გამართული წვეულების აღწერილობა, სცენა საბაჟო-  
ში, კარლსბადში ჰერსებრუნგის მთაზე ვირებით ასვლა თე-  
მურაზის პირადი მკურნალის მეკლენბურგელ კაპლერისა  
და ბისი ნათესავების თანამგზავრობით და სხვ.. აღსანიშნავია,  
რომ ამ ეპიზოდების უმრავლესობა თეიმურაზს რესთველური  
შაირით, მისი მიმბაძველობით და ზოგჯერ არც თუ მხატვ-  
რულობას მოკლებულ სტრიქონთა შერჩევით გაუმართავს.  
ამით იგი უფრო მეტ სიცოცხლეს ჰქმებს მის ხალისიან ლა-  
ლობას და ეპიზოდების უკეთ დამახსოვრებასაც ხელს უწყობს.

„მოგზაურობის“ გადამკითხველი არა ერთხელ დაუ-  
ბრუნდება თეიმურაზის აქა-იქ გაბნეულ სხვა შაირებსაც, რო-  
გორიცაა: ნათესავთა (კოლებ ოთარ ამილახვრის ასულის  
ელენეს და დის რიფსიმეს) განშორების უამს თქმული და  
ვარდის სიყვარულით ბულბულისებრ დანამღერი სტრიქონები.

„მოგზაურობის“ დანარჩენი ადგილები უბრალო, სანიადა-  
გო ენით არის მოთხრობილი. ტიმოთე გაბაშვილის, იო-  
ნა გელევანიშვილისა და სულხან-საბა ორბელი-  
ანის „მოგზაურობათა“ კითხვას გაწაფულ ქართველ მწიგნო-  
ბარს, შესაძლოა, თეთი მურაზის „მოგზაურობის“ ენა, სა-  
ერთოდ, და, განსაკუთრებით, თხრობითსა და აღწერილობითს.  
ნაწილში, მდაბიურად და სიტყვაუკაზმულადაც მოეჩვენოს.  
ამას ემატება მოჭარბებული რუსიციზმები და ძველი ქართუ-  
ლი სიტყვების იქვე ქართულად მოქცეული რუსული შესატ-  
ყვისებით ახსნა-განმარტება, ესეიგობით წარმოდგენილი, რაც

მეტად აუბრალოებს თეიმურაზის წერის მანერას, სხვა შემთხვევებში არც თუ ისე დაბალი სტილის მეპატრონისას.

ალაგ-ალაგ შეინიშნება, რომ ავტორს აზრები მოეჯარვიან, იგი ვერ ართმევს მათ თავს, წინადადებები მას უწყდება ქალალდზე გადატანისას. შიგადაშიგ ჩანართ-დამატებანი და აშიაზე გატანილი და გარშემოწერილი შენიშვნები თუ განმარტებანი ცხადად აგვიბეჭდავენ შემოქმედების ამ პროცესს. ავტორს წიაღსვლა ერევა და ცოტახნის შემდევ იგზავლავ უბრუნდება წინა ფურცელზე წამოწყებულ ამბებს, მიღის „პირველსავე სიტყვასა თანა“, თავგადასავალი იქნება ის, თუ რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერილობა.

თეიმურაზის „მოგზაურობა“ განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც წყარო იმდროინდელი ევროპის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. მკითხველი ეცნობა ლიფლანდიას, კურლანდიას, პოლონეთს, პოუსიას, პომერანიას, მეკლენბურგის სამთავროს, საქსონიას, ბოგემიას და სხვა ადგილებს ისე, როგორც ისინი იყვნენ სინამდვილეში საფრანგეთის ბურუჟაზიულ რევოლუციიდან მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებამდის. მას აინტერესებს და იზიდავს ყოველდღიური სინამდვილე. იგი ამასთან ცდილობს ნახულის შესახებ „თქვას სიმართლე, თუნდაც ივი სახელგამტეხი იყოს მისთვის“ ვისმე თვალში.

ყველაფერი ის, რაც კი ოდნავ მაინც განასხვავებდა რუსეთსა და საქართველოს ევროპის ყოფა-ცხოვრებიდან, ბატონიშვილის ყურადღებას იქცევს და მისი დღიურის ფურცლებზე გვხვდება სათანადო შენიშვნებითა და შეფასებით. ეს შენიშვნები და შეფასებანი უფრო ამახვილებენ აღწერილ მოვლენისაღმი მკითხველისა და „კეთილ-მიმთვალველთა“ ყურადღებას. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ბატონიშვილის მიერ დიდი ჰუმანიურობით აღწერილი პოლონელი ლარიბთა გაუხარებელი ცხოვრება. ჩვენს ფვალწინ ისახება ამ მხარის დაბალი ფენების სილარიბე, სიტიტვლე, შიმშილი და უმრავლესობის „ეგვიპტური კირთვებანი“, და ყველაფერს ეს ხდება იმისათვის;

რომ უმცირესობამ, თეორითა და სიმრუდით განდიდებულმა, იცხოვროს ზღაპრული კრებისა თუ ჰარუნ-ალ-რაშიდივით.

უცხოეთში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებათა კალეიდოსკოპში, რასაც წარმოადგენს თეიმურაზის „მოგზაურობა“, უხვად წარმოგვიდგება აგრეთვე სურათი იმ დროის მმართველ კართა პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებისა.

მოგზაურობის მთელი დროის განმავლობაში თეიმურაზი დაკვირვებას არა წყვეტს და მის შედეგად ჩვენ გვაქვს პრუსიელი იუნკრების (მიწათმფლობელ თავად-აზნაურობის) გვირგვინოსანი წარმომადგენლის ფრიდრიხი ბერძენი III-ის დროინდელი გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების სურათები. მოგზაურობა წარმოადგენს ეთნოგრაფიულ, დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ლინგვისტურ, რელიგიურ, მორალურ, ისტორიულ, ლიტერატურულ, არქიტექტურულ და სხვა ხასიათის ცნობათა ერთგვარ საუხჯეს, რომელიც უხვა მასალას იძლევა იმდროინდელი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის გასაცნობად.

ამ „მოგზაურობით“ თვით მოგზაური ჩვენ წარმოგვიდგება მეტად კულტურულ ადამიანად, რომელიც განსაკუთრებულ გულისყრს იჩენს როგორც ბუნების მიმართ, ისე კულტურულ საუნჯეებისადმი.

საქართველოს წარსული დიდების კულტურული მკვლევარი და მომხიბვლელი ქადაგი, უცხოეთში ქართულ ხელნაწერებითა და წიგნებით მოგზაურობს. მას თანამგზავრობას უწევენ „ქართლის ცხოვრება“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, მისი უსაყვარლესი ძმის, საქართველოს მეფის-ძის და მემკვიდრის, რუსეთის გენერლისა და კავალერის დავითის მიერ ქართულად გამართული რუდოლფ-ფოსტ-რატის „ლირისი ხსოვნისა ქალაქთა ევროპისითა“, პარიზს ბროსეს მიერ 1834 წ. ფრანგულად გამოცემული „ხელოფნება აზნაურობითი, გინა ქართული ენისა თვითმასწავლებელი“ და სხვა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ეს „მოგზაურობა“, ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს მის ესოდენ მცირე ნა-  
ბეჭდ თხზულებათა შორის, ხოლო ყველა მისი ნაწერის გამო-  
მზეურება მრავალთათვის გასაგებად გახდის თეიმურაზისადმი  
იმ ორმა პატივისცემის გრძნობას, რომელსაც ატარებენ გულ-  
ში ქართველთმცოდნეობის ღარგის მუშაქნი ბროსედან  
დაწყებულნი ჩვენს დრომდის.

სოლომონ იორდანიშვილი.

## მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათადასხვათა ადგილთა

სანკტპეტერბურგით წელსა 1836-ს მაისის 26, სალამოს მეთერთმეტეს საათს, წამოვედით. მე მეფის 1-3 ძე თეიმურაზ დიდად ავადმყოფი ვიყავ და, იანვრის შევ-დიდამ მოკიდებული ჩემის წასვლის რიცხვამდის, ქვეშ-საგებზე ვიწერ.

მას დღეს სტრელნას მოვედით. ჩემმან მეულლე-  
მან, მეფის სძალმან და ჩემმან დამან, მეფის ასულმან  
რიცხვისამამ გამომამგზავრეს. იმ ღამეს სტრელნის  
ფოჩტაზედ გახლდით. მეორეს დღეს დიდხანს გამოყვნენ  
ჩემი დადა ჩემი მეულლე. ვერც მათ გაებედნათ, რომ ჩემ-  
თვის თვალი ცრემლიანი ეჩვენებინათ, ამისათვის რადგან  
მე ისე ავადმყოფი ვიყავ, და მეც იმათ შეწუხებას ვუფთ-  
ხილდებოდი და მწუხარებას ვფარევდი, მაგრამ გულსა  
შინა საშინელი ცეცხლი მეგზნებოდა უამად ჩემის მეულ-  
ლის გაყრისა და ყოველთა მათ ჩემიანთა.

### ლექსი

გავეყარე საყვარელსა, გადვიკარგე უცხო თემსა.

ვევედრები მხსნელს, მეუღეს, ჩემსა სიმრთელის მომცემსა;

„მომეც ძალი მოთმენისა მე, მარადის შენსა მჯენსა,

წყალობათა შენთა ცვარნი საკურნებლად მაწვთე თხემსა“.

მწუხარებით გაყრილნი წამოვედით. მახლდენ თა-  
ნა მკურნალი სტატსკის სოვეტნიკი კაპლერ ვინმე მექ-  
ლენბურლით გარდამოსახლებული სანკტპეტე

\* სელნაწერი ფურცლობრივ არის დანომრილი. ტექსტის არგ-  
ზე თანამიმდევრობით მიყოლებული არაბული ციფრები საჭიროა. ს. ბ.  
გეორდებს აღნიშნავს; პ—ფურცლის პირს, ზ—ფურცლის პირს.

2. თეიმურაზ ბატონიშვილი



ბურგს, დოხტური, სარწმუნოებით ლუტერანი, რომელიც ჩემის სახლის ექიმი აღრიდგანვე იგი იყო; დავით ალაიბეგის შვილი, რომელიც ჩემს სახლში სიყრმით განვე აღზრდილი არს და 26 წელი მე მსახურებს და ერთი თავისი გოშია კაცი ამ ჩვენს დოხტურს ჰყვანდა:

კაპლერ ფრინავს სიხარულით, ზოგჯერ ფრთებს აიწურვიდა 2-3  
დავით, თუმც ბრაზიანობდა, მაგრამ ერთგულად ურვიდა,  
თხუნელას მსგავსი ივანე სრიტინებს, საჭყლად ურვიდა,  
კაპლერ მას არა აჭმევდა, არცა აცმევდა, ხურვიდა.

მას დღეს, რომელ მაისის 27 იყო, ნარვას მოვედით სალამოს და ის ლამე მუნ გავათივეთ. მეორეს დღეს, დილას კალასკა დავიქირავეთ, ჩავსხედით და იქაურს ერთს პატიოსანს დედაკაცთან, თავის მცნობთან, მიგვიყვანა კაპლერ მან. მცირეს ხანს იქ ლაპარაკით დრო გავატარეთ და იქიდამ წარვედით, სადაც ნარვის მდინარე, რომელსაც ნორუ აეწოდება გადმოსჩქერს კლდე ზედა. ჯერ ზემოთ ორად იყოფება ეს წყალი და უმეტესი წილი, რომელსაც კლდეზედ გარდმოსდის გრველით არის ნახევარ სიმგრგვლის სახელა და იმაზედ გარდამოსჩქერს. და საშინელი ხმა და ხეთქება აქვს მას \* მდინარესა. ხიდზედ შედგები და ისე პირდაპირ უყურებ. კარგი სანახავი არის. ხიდს რომ გახვალ, მარცხენეს მხარეს ცოტას რომ წარვლი, მეორე იგი ტოტიც კლდეზედ გადმოსჩქერს და იმას გრძლათ ირიბათა აქვს გადმოსაჩქერი. და დიდის ხმიანობით, მსწრაფლის კვეთებითა გადმოსჩქერენ ესე ორნივე ტოტი. რალა | განვაგრძო, წავედით ნარვა - 2-ზე დამაცა. ერთი სტანცია კიდევა შოსეთი განვლეთ 22<sup>1/2</sup> ვერსი ვაივარამდის და მერე პესოკიანი გზა შეგვხვდა. ექვსექვსს ცხენს ვიბემდით კარეტაშია. განვლეთ ლიფლანდიის ქალაქები და სოფლები, დერპტის

\* კასკადასა, რომელსა რუსულად ვადობადი ეწოდება, ქართულად ჩქერი ანუ დიდჩქერი ეწოდების.

ქალაქი, ლიფლანდიის დედა ლუბერნიის ქალაქი; ქალაქი რიგა, რომელიცა ჩინებული ქალაქი არის. იქიდამ კურ-ლანდიის პირველი ქალაქი მიტავა, რომელიცა კურ-ლანდიის ლუბერნიის ქალაქია, კაის ალაგს და კარგი ქუჩები აქვს. აქიდამ ვიარეთ. განვლეთ კურლანდიის სამზღვარიცა და შევეღით პოლშის სამზღვარშია, ვილენცკის ლუბერნიაში. და რაც სოფლები, გინა ჭიეზდის ქალაქები ვილენცკისა შეგვხვდა, მცხოვრებ-თა მათთა განსაკვირვებელი არს სიგლახაკე, რომელიცა მოგახსენოთ, დღეთა შინა ჩემთა არა რომელსა შინა ქვეყანასა, არცა ევროპისა ადგილთა, არცა როსიისა, არცა აღმოსავლეთისა, გინა სხვათა აზიისა კერძოთა, რაიცა ადგილნი მე მომივლიეს, არა მინახვანან ეგრეთნი გლაზაკნი და არცა სადა ამბად მსმენიეს ეგრეთი გასაწყლებული მცხოვრებნი. ძონძძუნძნი მოსიათ, გასვრილნი და ყოვლითურთ შეურაცხნი. | თუმცა ეტყობათ, რომელ კაცნი 3.3 არიან, ანუ ყოფილან ოდესმე, მაგრამ სახეცა კაცთა სრულიად მიღებიათ. უსაწყლესი და უუბადრუკესი მათი, ვეონებ, ცასა ქვეშეთი სრულად მოვლო, ვერასადა იხილო. იგინი არიან ორგვარნი: ერთი პოლშელნი სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომის კათოლიკენი და მეორე ურიანი. მათ ურიათა შორის, რომელნიმე არიან, აცვიათ, ხურავთ არც ეგრე ჩინებულათ, მაგრამ ფული კი აქვსთ მცბიერებით ბოროტად შეკრებული. იგინი იღებენ იჯარით, ისე იგი, პოდრატით, მებატონეთაგან. გლეხთა და მათ საწყალთა ამუშავებენ მსგავსად ფარაონის კირთებისა ეგვიპტურისა. თითონაც ის იჯარადრები ფულით ივსებიან და მათ მებატონებსაც მრავალს ფულს აძლევენ. და ის საწყლები მცხოვრებნი, სრულიად მომყმარნი და უქონელნი არიან. რაოდენიც მე შევამცნივე, ათასში და ბევრ ათასში ერთი, ისიც ურია, კუთდება. და ყმების მებატონენი და სრულიად ყოველი კაცი მის ქვეყანისა გლახაკი არს, ესრეთნი გლახაკნი და შესაწყალნი, რომელ

უკეთუ მცირედიც არის სეინიდისის მექონი კაცი იხილავს 3-ზ მათ, შეუძლებელ არს უცრემლოდ წარვლოს | მათ შორის. სახლთა მათთა სალორენი და საბატენი ნაკლულევანთა სოფელთანი ასწილად სჯობიან. და საგებელი და საბურველი მათი არს ჩალაჩულა, რომელსა შინაცა სრულიად შიშველნი ყრმანი მათნი ეხვევიან. ხოლო მდაბალნი ურიანი ეგრეთვე შინა ცხოვრებასა არიან, გარდა იჯარადართა და ვაჭართა მათთა, რომელნიცა მათ შორის არადია მრავალ არიან.

განვლეთ იგი ადგილიცა. და მათ გზასა ზედა, ლამც სიარულთა შინა, ფრიად, სენისა გამო ჩემისა, მევნებოდა. და რა დაღამდა სამი ივნისის თვისა რიცხვი, დღეოთხშათათი, დავასრულეთ სამზღვარი რუსეთისა სამპყრბელონი ტავროგენს. და მუნით განვედით სამზღვარსა შინა პრუსიისასა.

კეთილმიშთვალველნო და აღმომქითხველნო, სათანადო არს ცნობად თქვენდა, რომელ სან კტ-პეტერბურგით ვიდრე ტავროგენად მდე განვლის ორმეოცი სტანცია, ესე იგი, ჭოჩტაცა და არს ვერსი რვაასი.

4-3 ტაჭროლენიდამ მოვედით პრუსიის სამზღვრის პირველს ჭოჩტაზედა, რომელსა ეწოდების ლანგეცარლეხ. ესე ჭოჩტა არა დია შორს არს. ტაჭროლენით იქმნება \* ერთი მილი და ნახევარი.

მუნ ტამოუნა არს. გვითხეს ნივთთათვის, თუ რა მიგვაქვს, რომელ იმისთანა ნივთი რამ არა შეგვეტანა. რა მათს ქვეყანაში, რომელიც რომ შეკრული არის კოროლისა და მათის მმართველობის ბრძანებითა. ყოველივე მიმავალობისა ჩვენისა, თუ სადა მივდიოდით სამკურნალოთა წყალთა ზედა ბოლემიად, სცნეს მათ. მყისვენება გვცეს. შევაბმევინეთ ცხენნი. ლანგენცარლენიდამ ტილზიტის ქალაქი არის სიშორით ექვსი მილი.

\* ერთი მილი 7 ვერსია. და რუსეთის სამზღვარს გარეთ ყოველს ადგილას მილით თვლიან. მილი აღავი არის, ერთი საათის სავალი, ანუ შვიდი ვერსი.

შუალამე გარდასრული იყო, რომ იმ დროს მოვედით. იმ ლამეს იქ განვისვენეთ.

ტილზიტი არის ქალაქი პოლშისა, რომელიცა აწ უპყრიეს პრუსიის კოროლსა, დიდი და ვრცელი. მეინ მდინარესა ზედა სდგას ქალაქი ესე. შუნიდგან ჭარმოვედით დილას 4-სა ივნისისასა, ხოლო მათებურად



#### თემშრაზ ბატონიშვილი

16 ივნისსა. და გამოვლეთ მას დღესა და ლამესა ოვრა-  
მეტი მილი, რომელ არს ვერსი ასოცია ექვსი, და შუა-  
4-ზ ლამის უამს ქალაქსა შინა კენის ბერებერგს მოვედით. და  
შუალამის უამსა ტრახტირსა შინა (დატოვებულია ადგილი)  
ჩამოვხედით და მუნ განვისვენეთ ლამე იგი, რომე-  
ლიცა განთენდებოდა პარასკევად. ესე ქალაქი კენის-  
ბერები პრუსიის მამული არის, ძველადგანვე ჩინებული  
და ძლიერი ქალაქი.

ოდეს გათენდა, ავემზადენიი; წასასვლელად. მე მსურდა, რადგანაც რომ ბერლინი არა დია შორს არს, მის აღგილისაგან რომელ პირდაპირ ბერლინს წავსულიყავით, მაგრამ ჩემს დოხტურს კაპლერს ასე სურდა, რომ პომერანიაზე გაგვევლო მექლენბურლ შურინს მივსულვიყავით როსტოკის ქალაქში, სადაც რომ კაპლერს ძმა ჰყვანდა კარლო და ძმისწული ლუიზა, ლამაზი შავურის ცოლი. იმათი ნახვა სურდა და თავის უწინდელთ მექვეყნეთი, საცა შობილიყო და აღზრდილიყო იმ ადგილისა. იქიდამ, ესე იგი, კენის-ბერგიდან ბერლინამდისინ ჩეიდმეტი ჭოჩტა იყო გასავლელი და როსტოკამდის ოცდა თოთხმეტი და როსტოკიდამ ბერლინამდის ცხრა ფოჩტა იყო გასავლელი; ესე იქმოდა ორმოცდა სამს ჭოჩტასა და ამაზე შულლი მოგვივიდა.

კაპლერ ჩხუბობს ჩიფჩიფითა, მე ვუყიფი ვითა ლომი;  
იგი იწევს როსტოკის კენ, მე ბერლინს ვარ წასვლის  
მდომი.

ბერლინი იყო ახლოსა, ამაზედ გვაქვს დიდი ომი; 5-პ  
მას თვის მშობლის ქვეყნის ნახვა სწადის, ილვწის, ჩხუბით  
მშრომი.

შე არ დავყევ ნებას ჯერეთ, მერმე მუხლით დაიჩიქა;  
ყელს მოიდვა ხელმანდილი, მითხრა. „ყმა ვარ შენი, როქა;  
ჩემს სიბერეს პატივეცი, მსურის ვნახო ჩემნი, ოხა;  
ჩამობრძანდი მექლენბურლ ში, შეგიკერო კარგი ჩოხა“.  
არ მომეშო, წამიყვანა გზასა, გრძელსა მოსახვევსა;  
ლამე და დღე გვარბენია მინდორს, ველსა, მთასა, ხევსა;  
პომერანზე გავიარეთ კარგ საამო სახილველსა;  
თიბათვის ათს როსტოკს შევხდით, მოგვეგებნეს მათსა  
მწვევსა.

ჯერეთ მცირედი კენისბერგისათვის ეს მო-  
გითხრათ. ქალაქი იგი სატახტო პრუსიისა არს, განიყო-  
ფების სამად ნაწილად 1. კენისბერლ, 2. ლებნიკ  
და მესამე კნეიტოფ.



მეფის სძალი (თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე)  
ოთარ ამილახვრის ასული ელენე.

ხოლო წელსა 1701 შემატებულ არს მეოთხეცა ნა-  
წილი ფრიდრიხს ტად წოდებული. ამათ ყოველთა  
ერთადა აქვსთ ნავთსადგური; ვრცელი და ჩინებული;  
აზნაურთა ძეთა სასწავლო, აღშენებული წელსა 1544-ში;  
ჩინებული ბიბლიოტეკა (რომელ არს წიგნთ საუნჯე) \*

პარასკევს დღესა, თიბათვის ხუთსა და ფრანგულად 6-3  
17 რიცხვში კენისბერლიდამ წავედით. გზაზე მრა-

\* ამ ფურცელზე 5-3 გვერდის ნაწევარი და 5-ზ მთლად და-  
უწერავია.

ვალი უცხო ქალაქები ვნახეთ. ელბინლი, ელბინლე  
 მდინარეზე მდგომი. ძველად პოლშისა არის, ახლა პრუ-  
 სის კოროლს უპყრია. ეგრეთვე დანცილიცა პოლ-  
 შისავე ყოფილა და პრუსთ უპყრავსთ. დანცილს ციხე  
 არს და ქალაქი ძლიერი, მშვენიერი და მხიარულს აღ-  
 გილსა; ვისლე მდინარესა ზედა მდგომარე არს. ბალ-  
 თიის ზღვა ახლავს ერთსა მილსა ზედა, სადაცა ვისლა  
 მდინარე ზღვასა შინა შთავარდების. და ადგილი მტკი-  
 ცითა ორითა სიმაგრითა სანგრისათა განმაგრებულ არს.  
 და საშუალ მათსა არს კოშკი მაღალი ფრიად და დიდი.  
 და მას ზედან არს დიდი ჭანარი ლამე ზღვით მომავალ-  
 თათვის ხომალდთა გამოსაგნებლად. გარემო ქალაქისა  
 დანცილისა არს ოცნი ჯიხურნი დიდნი, მაღალნი და  
 ოთხუთხნი. ქალაქის კარნი რკინისა და ქვისა, ხელოვ-  
 ნებითა უცხოდ ქმნულ არიან. და ყოველთა კართა აქვსთ  
 სამსამი ასახსნელნი ხიდნი. მახლობელ ქალაქისა ვრცელნი.  
 და მაღალნი გორანი არიან. პირველსა ეწოდების ბიზო-  
 ბერლ და მეორესა ლალენს ბერლ. და მუნით ყოვე-  
 ლი ქუჩა ქალაქისა და მას შინა მავალნი და გარემო  
 ქალაქისანი სჩანან სრულიად. ქალაქსა ამას შინა არიან  
 მრავალნი უცხონი შენებულებანი: სასამართლო დიდი  
 და ვრცელი, ხომალდთა სადგური, სასწავლებელი, ჩინე-  
 ბული ბიბლიოტეკა. ბაზარსა ზედა არს დიდი სახლი,  
 ანუ პალატი, რომელსა ეწოდების იუნკერლოთ. და  
 მუნ არს ზალა დიდი სამხიარულოდ მოქალაქეთა შეკრე-  
 ბილებისა და როკვისათვის. გარემო ქალაქისა არს რომის  
 კათოლიკეთა ეკკლესიანი და მონასტერნი. ველნი შენი-  
 ერნი, ნაყოფიერნი, წვრილტყიერნი და გორიერნი.

6-8

თიბათვის შვიდი იყო რომ დანცილ ში გამოვია-  
 რეთ. დიდხანს არა დავყავით მუნ და წარმოვედით. გა-  
 მოვვლეთ მრავალნი ქალაქნი და სოფელნი. რვას თიბა-  
 თვეს პომერანიის სამთავროს დედაქალაქში შტე-  
 ტინში გამოვვლეთ, რომელიცა აწ პრუსის კოროლს  
 უპყრია. ესე მდგომარე არს მდინარესა ზედა ოდერსა,  
 რომელიც რომ ოთხს ნაწილად არის განყოფილი. და  
 ერთს მხარეს ჩაუდის აღმოსავლეთით კერძო მის ქალა-  
 ქისა და შთავარდების მდინარე იგი შტეტინისა  
 ტბასა შინა. მდინარეცა პლენა მახლობელად ამისსა  
 სდის და ოთხთა მათ კერძოთა მის მდინარისა ოდე-

ମୁଦ୍ରା କରିଲୁଛନ୍ତି । ଏହାରେ ପାଇଁ  
କାଳୀଙ୍ଗ ଉପରେ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ

ଶାନ୍ତିକାଳୀଙ୍ଗ ମୁଦ୍ରା । 1876  
ପ୍ରମାଣିତ । ଲୋକର ପ୍ରମାଣିତ । 1876  
ବ୍ୟାପକ ପାଇଁ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ । କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ । କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ । କାଳୀଙ୍ଗ

କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ  
କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ କାଳୀଙ୍ଗ

„ମୋହନୀୟରବିଲୁଷ୍ଟିରେ „ଆଖିରିଲୁଷ୍ଟି ଗ୍ରେନଡିଲୁଷ୍ଟି ଫ଼ର୍ମରବିଲୁଷ୍ଟି ।

რისა და პლენა მდინარესა ზედა ძევს ექვსი ხიდი. ქალაქი ესე ბუნებითისცა მდებარეობითა და კაცთა შეირიცა განმაგრებული არს ფრიადისა სიმტკიცითა, აბლისა წესითა. ქალაქსა ამას შინა არიან სახლნი ქვიტკი-რისა, ფრიად შვენიერნი, ქუჩანი წესიერნი და ურჩეულესნი. შენებულება: სასახლე მთავრისა, ბიბლიოტეკა და მუზეუმი (ესე იგი საკვირველებათა სახლი) და სხვანიცა მრავალნი ლირსი | ხსოვნისანი არიან. მუზეუმსა შინა 7-3 მდებარე არიან პომერანი ისა მთავართა კუბონი, სახენი და ონდრიატნი. პირველისა ეკლესიისა სამრეკლოსა შინა არს ზარი ერთი, რომელსაცა 24 კაცი რექს. მუნვე არს შტეტინსა შინა აზნაურთა სასწავლო, აღშენებული ქრისტესით 1541 წ. სამსაჯულო და საჭურველთა სახლი. მდებარეობა ქალაქისა ამის ფრიად მხიარულსა ადგილსა. არს და ნაყოფიერსა. და ფრიად მშვენიერი არს ქალაქი ესე.

სადილი მას დღესა შინა პრუსიის ტრახტირად სახელდებულსა შინა ვსჭამეთ. და წარვედით მუნითცა. ვლეთ მრავალნი ადგილნი. შევედით სამზღვარსა შინა შეკლენ ბურლ სტრელეცი სასა. და განვლეთ იგიცა. და შევედით სამზღვარსა შინა მეკლენ ბურლ შურინისასა, რომლისაცა ლერცოლი არს მთავარი. ხოლო დღესა ოთხშათვათსა, ათსა რიცხვსა (22) თიბათვისასა, მივედით როსტოკის ქალაქში. მოგვეგებნეს წინა კარლი ივანიჩი, კაპლერის ძმა, თავისის უმცროსის შვილითა და კარლ ივანიჩის ქალის, ლუიზას ქმარი, გვარად შაურ. მე თუმცა ასე ვფიქრობდი, რომ, რაღ განაც კაპლერ იმათი იყო და სიყრმითგან თავიანთს ნათესავებში აღარ ყოფილიყო, სახლი ექნებათ მომზადებული და იქ ჩამოგვახდენენ, რაღგანაც შეც უცხო ვარ, მაგრამ ვნახე, რომ მიგვიძლვნენ ისინი და ჩამოგვახდინეს ჩინებულს ტრახტირში | რომელსაც სახელდების ლონ, 7-4 რომელიც, შეიძლებოდა, რომ უიმათოთაც კარგა გვეპოვნა. ჩვენ რომ მივედით იმ ტრახტირში, დიახ, დიდი დღესასწაულობა ჰქონდათ. ასე რომ, თურმე, იმ ტრახტირის პატრონსა ერთი დიდი ზალა აღეშენებინა მას ტრახტირში (ანუ ყოველთა სადგურში) ხალხის შესაქ-



ბროსუსადმი მიწერილი ბარათის (1835 წ. 5—IX) ფოტოპირი.

ცეკვად. და იმისი პატივისცემისათვის ერთი ლიდი გრგვა-  
ლი ბურთსავით გლობუსი გაეკეთებინათ, ყვავილებით  
მოერთოთ, ზედ მრავალი წვრილი ფერადი ნაჭრებისა,  
წვრილის ბაირახებისავით გაეკეთებული, დაესხათ. იმ  
გლობუსს გრძელი ლატნები ჰქონდა გაყრილი და ისიც  
ყვავილებით და ნაკუწებით შემოსილი. რამდენსამე კაცსა  
იმ გლობუსის მკლავები ეცყრათ ხელთა. ზოგნი წინ  
მიუძღვდნენ. მშვენიერი მუზიკა ორპირად წინ მიუძღვდა  
და უკრავდნენ. ამ დიდს მეიღამზე ხან შუაზე, ხან ოთხ-  
კუთხივ დაჰქონდათ. რაც იმ ქალაქის ხალხი იყო: დიდი,  
პატარა, გოგობიჭი, ერთის კიუინით და ორიანცლობით,  
უკან დასდევდნენ. და იმ ქალაქის ქუჩები სულ ისე მოა-  
ტარეს. ის მთელი დიდი მეიდანი სულ ხალხით სავსე იყო.  
თურმე იმათში ის დიდი პატივი არის იმ მოქალაქისათ-  
ვის, რომელსაც რომ ამას გაუკეთებენ. ბევრი ვიცინეთ  
მათს | ყოფა ქცეკაზედა.

ქალაქი ესე როსტოკი არს თავისუფალი, ესრეთ  
რომელ, რაც მათ მოქალაქეთ სჯული და განწესება არის,  
იმას ვერავინ შეეხება და ვერც გამოუცვლიან. თორებ  
ძველად პირველი სამთავრო ქალაქი მეკლენბურლ-  
შურინისა ეს არის და ახლა იმ ქვეყნის ლერცოლისა. ამ  
ქალაქს საფარველი კი სძევს და ჯარიც თავისი უყე-  
ნია ლერცოლს ამ ქალაქის მცველად, მაგრავ იმათ წესსა  
და მმართველობას, რაც თავიანთში აქვსთ, ლერცოლი  
ვერ მოუშლის. ქალაქსა ამას ზღვა ბალთიისა თას  
მილზედ ახლავს. მდინარე აქვს, რომელიც ქალაქს გარე-  
დამ მოუდის და ეწოდების მას ვერნოვი, რომელიცა  
გამოსდის გვისტოროვის ტბასა და შთავარდების ბალ-  
თიის ზღვასა შინა. ქალაქსა ამას შინა არიან არა დია  
მცირედნი ძველებურნი შენობანი დიდდიდნი, თლილის  
ქვისა; ლუტერანთა საყდრები, თიატრი მომცრო და  
კარგი, მუზიკა და მოთამაშენი, დიახ, კარგნი, ქუჩანი  
ვიწრონი. ჰაერითა არა ეგრე ცუდი და გარემო ქალა-

ქისა | ქვიტკირის გალავანი აქვს მოვლებული, ძველისა 8-ს  
წესით. მდინარესა მისსა შინა მუშაობენ ნავნი და ნავთ-  
საყუდელი აქვს მას ვრცელი. ერნი მუნებურნი არა ეგრეთ  
გარდამეტებული არიან სიმდიდრითა და არც არიან ლა-  
რიბნი. არამედ საშუალოდ სცხოვრობენ და ვაკრობაცა  
აქვსთ საკმაო, რაღაცანაც ზღვა ახლო აქვსთ.. სარწმუ-  
ნოებით მუნებურნი ლუტერანები არიან. წავედით ხუთ-  
შათათს სალამოს თიატრში. ოპერა წარმოადგინეს, რო-  
მელსა სახელედების ნორინ. და იმღერეს ჩინებულად.  
მუზიკაც, დიახ, უცხო იყო. | პარასკევს მე არ შემეძლო,  
შინ დავრჩი და კაპლერ კი წავიდა დობრანში.  
დობრანი აქედამ 4 მილი არს. და მუნ ზღვის პირს  
სამკურნალო წყლები არის. ისინი ნახა (აშიაზ მინაწერი  
აქ თავდება) შათათს დღეს კაპლერის ძმისწულმა, ლუი-  
ზამ დაგვპატიუა და კარგი საღილი წარმოგვიდგეს. კარ-  
გად შეგვაქცივეს. იმ ღამეს ვახშმათ კაპლერის ძმამ  
დაგვპატიუა. რაც შეეძლო, თავისის სილარიბით, კარგი  
ვახშამი ჰქონდა. მეორე დღეს ტრახტირში საკმაო ფული  
გავიღეთ: სახლის ქირა და სასმელ საჭმლისა და წა-  
მოვედით.

თიბათვის 14 (26) წამოვედით ბერლინის კენა.  
თან გამოგვყვნენ კაპლერის სიძე შაურ, თვისის  
ცოლით, ლუიზათი, კაპლერის ძმისწულითა და  
თვისის ლამაზის | დითა. თურმე ეს ქალაქი ის იყო, რო-  
მელშიაც ეს კაპლერ დოხტური დაბადებულიყო და დი-  
დად უხაროდა, საცა დაბადებულიყო, რომ ის ქალაქი  
ნახა. თუმცა ჩვენთვის მაგრე ღირსახსოვნისად მისათვალ-  
ველი, ვგონებ, არ იყო კაპლერთ სამშობლო ქალაქი,  
მაგრამ ადგილის მდებარეობა, დიახ, კარგი აქვს. მომ-  
ცრო, დიახ, მშვენიერი ქალაქი არს, ნაყოფიერი, ვაკე  
ალაგსა სდგას და მხიარულსა. ადგილობით როსტოკს  
ესე სჯობს და შენობაც მოსაწონი აქვს. ეს ქალაქი

მეკლენბურლისავე შურინის სამთავროსი არის. მივეღით და იქ ჩამოვხედით ყოველთა სადგურში, ესე იგი, ტრაქტირში, რომელსა ეწოდების ჰერბრუსლერ-ცოლ. კაპლერის ძმისწულს, ლუიზას ქმარს, შავურსა იქ დედა ჰყვანდა, რომელიც გვარით რობერტს ვისმე ცოლათ ჰყვანდა; სახელად ვილგელმ ერქო იმ კაცსა და იმის ცოლს ერქვა ლუიზა რობერტი. ისინი, ხნიერნი ხნითა, იქაურნი მოქალაქედ მცხოვრებნი არიან. იმათ გვიწვიეს. ჯერ ხილები და ტკბილები მოვართვეს, მერმე სადილი. უცხო კარგი სახლკარობა ჰქონდათ. კარგი სასმელ-საჭმელები წარმოგვიდგეს და უცხოთ შეგვაჭცივეს. რობერტ კარგი კაცი იყო და იმისი ცოლი, დიახ, პატიოსანი და ძალიან კარგათ მიმილეს. და კიდევ იღმობდენ და სწუხდენ, რომ უცხო ვიყავ და ისე სუსტი, | გამხდარი და გზისაგან დამაშვრალი, ავადმყოფი და ყოვლითურთ ცდილობდენ ჩემს სიამოვნეს. ახლა იმათ სხვა თვისი ნათესავები და მცნობი ქალები მოეწვიათ. ერთი ჯარი სულ ყმაწვილი ქალი გარს შემომისხდნენ, მიალერ-სებდნენ და მელაპარაკებოდნენ:

შემომეხვივნენ ქალები, ლამაზი ჰქონდათ თვალები;  
თეთრ-წითლად, უცხოთ ფუჩფუჩნი, პირზედა ასხდათ ხალები;  
„გუთმორგენ, იჭ შო“ იძახდენ, გულს თურმე სწიდათ  
ალები;

არ ვიცი რასა სჩმახვიდენ, წაუხდათ ცნობათ ძალები.

ავთანდილს ვითა ფათმანი, ლუიზა ეგრე მეპ-  
ყრობა;

მე უალერსე მცირედ რამ, ვეჭვ, ძნელ არს ჩემი შეპრობა;  
შაურს რალა სჯის? უ ს ე ნს ჰგავს, ჩემთანა რა აქვს მოყვრობა?  
ვინ გაიგონა კაცისგან თავისის ცოლის მაყრობა!?

იმ ქალებმა მე კინალამ მაღლა სახლში ამიტყუეს;  
შემომისხდენ გარეშემო, მეალერსნენ შემიაუეს;  
მითხრეს: „რადგან მაშვრალი ხარ, განგისვენებთ სახლს  
მარტუეს;  
ამოგვყევ და ჩვენ გიამბობთ ჩვენ გულის დარდს, არ სიცრუეს“.

კინალამ დავყევ ნებასა, მერმე ვიფიქრე ჭკვიანად;  
ვთქვი: არ შეშვენის გონიერს, რომ საქმეს მიხვდეს გვიანად;  
მე რა საქმე მაქვს სხვის წალკოტს ვარდი მოვკრიფო იანად?  
მიჯობს გავიქცე მე ამათ და გარდეხვეშო გზიანად.

კვლავ შემომისხდენ, ვით ვარდსა ბულბულნი მოყეფარენი;  
აღავსეს ყვავილებითა მათ მიდამოთა არენი;  
მეაჯდეს, მეფერებოდეს გულისა მოისარენი:  
„მოგვილხინეო სასურვლად, დღენი ნუ გაგვიმშარენი!“

უთხარ: „ჩემს რინას საშური საქმე მიძს, წამსა წავიდე;  
ისევე აწვე მოვბრუნდე, არ ვით მზე მწუხრსა დავიდე“.  
რა მოველ შინ დავიმალე; მე გული ალაგს დავიდე;  
მძებნელთ რქეა მონაშ: „ჩემს გარე არავინ არის აქ კიდე“.

რა აღარ მოველ, მომნახეს ქალაქსა, ქუჩა, წალკოტთა;  
ვერ მპოეს, დალონებულნი შინა მიიქცენ სამყოფთა;  
ცეცხლი ეგზებისთ, თვალთაგან ცრემლთა იდენდეს სამყოფთა,  
რინადეს: „რისთვის გაუშვით გულთ ჩვენთა მახვილთ დამყოფთა“.

სალამოს კაცი მოვიდა მაწვევარისა ჩვენისა:  
„რობერტი გთხოვსთო მობრძანდეთ, აწე უამი არს ლჩენისა;  
ჩაველ, წინა მომეგებნეს, მოუბრად ტკბილის \*ენისა;  
ქალები თუმცა მწყრებოდენ, მაგრამ რიდი აქვსთ ჩენისა.

შითხრეს: „რაზე შეგვაწუზე და გაგვიქცე, დაიმალე!“  
მე ვუთხარ: „დამძინებოდა, დავშვერ, გზასა დავიღალე“,  
მეალერსნენ, უალერსე და შევრიგდით, დიახ, მალე;  
ხუმრობით დრო გავატარეთ, სხვის რისთვის ლა მოვიცალე.

მე მმართებს აქა წარმკითხველთა უჩვენო იმ კაცის  
შაღრიელობა. იმ ლამესაც რობერტი ვახშმათ, დიახ,  
კარგი დაგვხვდა. დიახ, პატიოსანი კაცი იყო და ცოლიცა  
მისი პატიოსანი დედაკაცი. იმათ ჩემი მოვალეობა არა  
ჰქონდათ რა და ისე კარგათ შემიწყნარეს. ვახშამ შემდ-  
გომად შინ წამოვედით და განვისვენეთ. მეორეს დღესა,  
თიბათვის თხუთმეტსა (27-სა), დღესა ორშაბათსა, დი-  
ლაზე ავდექით. მივედით რობერტის სახლში მას ყავა  
და საუზმე მოემზადებინა. ყავა შევსვით, მცირედი საუზმე  
ვიგემეთ. გამოვეთხოვენით რობერტს, იმის მეუღლეს

10-6

და ზემოდხსენებულთ ლამაზებთა. ალერსითა და ოხვრითა იგინი იქ დაუტევეთ და ჩვენ სახელითა ღვთისათა, შეუდეგით ბერლინის გზასა. გამოვლეთ ცუდი და უშოსეო, პესოკიანი და ქვიშიერი გზები.

გვისტროვიდამ კრაკოვს მივედით. იქიდამ პლავუს და მუნითგან მეინბურლს, სადაც შესრულდება მეკლენბურლ-შურინის სამზღვარი. და მეინბურლიდამ ეგრეთვე პრუსიის სამზღვარი იწყება. მეინბურლიდამ კირეცში (!) მოვედით და ის ლამე მუნ დავყავით (აშიაზე კრეიცში). ლამის 12 საათზე მოვედით. დილას აღრე, შეიდს საათზე ავდექით თიბათვის თექვსმეტს (28-ს) სამშაფათსა და წამოვედით, ჭრიზიკის ჭოჩტაზე პური ვჭამეთ. სადილი კარგი იყო. იქიდამ გამოვლეთ ნაონის ჭოჩტა, შპან დოვი, შარლოტანბურლი და მოვედით ლამის პირველს საათზე ბერლინს. ჩვადმეტი თიბათვე თენდებოდა, ოთხშაუთი დღე. ჩამოვხედით ყოველთა სადგურში, ესე იგი, ტრახტირში, რომელსა მუნ ეწოდების ლოტელ რუმ (ესე იგი რომის ტრახტირი). | იმ ტრახტირში, ზევით ატაჟაში კარგი სახლები დავიჭირეთ. ჩაი დავლიეთ და განვისვენეთ.

დღესა მეორესა დავით ივანიჩი გავგზავნე ჩვენს რუსეთის დესპანთანა, რომელიცა მაშინ იქ განწესებული იყო რუსეთის კარიდამ პრუსიის კარზედ. გვარად რუბო პიერ, კაცი სწავლული, საქმეთა შინა გამოცდილი და პატივცემული, და შევუთვალე: რომელს უამს შეიძლება, რომ გნახოთ მეთქი. მას შემოეთვალა: ერთის საათის შემდგომ მობრძანდესო. და კაპლერიც თან მყვანდა. ვნახე და ვიცყანცელერის წიგნი მივუტანე, რომელიც პეტერბურლიდამ გამოტანებული მქონდა, რომ თუ დაგვჭირებოდა რამე, მას უცხოს ქვეყანაში შეგვწევოდა. დიახ, კარგად და თავაზით დამხვდა დესპანი. კარგის ხანს ვიღაპარაკეთ. ყოველივე ჩემი საქმე

ոսքից, դօլու գյուղը մռագոնեթու տաշը օքազա. Իրաւ սամ-  
սաხուրո ցեղացք, մօծանց, պարզուհուց, մյ ցանմիւթյ-  
ծովու ցածրացար տէցենու սումունուսատցուսառ. մաս տաշուս  
Արացություն կանցուլցու չկազա, ցարատ ո՞չ հռոց, տաշուս  
սամոնությունու սայմուս ցանմցաւ. ջուս, პատուսանո ցամո.  
ուսուց ցամոմցմբնայրա. Վամուցություն ծոնաչեցա. Արշուսուս  
յուրուլու մամուն ծց հլուն արա ծրանցութություն, յալայն  
ցարցու ացարա՛նո Շորու օգց | օլու Վածրանցութուլուց դա արաւ 11-ի  
յուրուլուս կոմուլուսունո ուցնեն ոյն. պայլանո տաշուտացու-  
տցուս տաշանտ սամուցու սախագեցուլուս ացցուլ՛նո ցանցուլուց-  
նեն. մյու ացաթմուցու ցուցա դա օմուլցութու հեմս ժաշը ցամ-  
ենութու դա արա վիճակութու. ամուստցուս ցանցութեար կաձլերս:  
„Ոյ ջութեանս նյ ջազացցութու, յս որու լամյու ցուցնետ դա  
հյանաց ցանց Շուրնետ սամյուրնալուս մարուսանցուս Վալնիւ“.  
յս հիյաց ամանաւ մռությունա. մյումյ ցանցութեար: Շոն չգոմա  
ցուրու Շեցանցութեած դա ուսց ուսու սչոմս, հռմ սանախացեցնո  
սացմյ Վամուցանո մյությու. յալուսյա ջազուկուրցու դա Շար-  
լութան ծուրց Շու Վացութու. յս մուրու յալայն, սաւա  
Արշուսուս յուրուլուս սասախու դա Շեսայլցու ծալու դա  
տութրու արուս, ծերունութամ յրուու մուլու ոյնեցա, յսյ ոցը,  
Շցութու ցերսու. սաւա Արշուսուս յուրուլուս սասախույ արուս,  
ոյն, օմուս პուրճապուր, Շունութ մեարյս, մարքենց մերուտա  
յարցատ մռագութու, սապուրիսացութ ցայցութութուլու, ցումծատուսու  
տլութուս յցու նացցի ցուցություն արուս. օմուս Շեսասցուլու-  
տան ժորու լարիամոնուցութ ցայցութութուլու սասագուլառ  
արուս. դա մաս Շոնա ամ աթոնցութուս, Արշուսուս յուրու-  
լուս ֆրութ ու յուրու մեց սամուսա մեցուլու, հյունո օմից-  
հագրությա ալ յի սան ժրա ֆյուրութուցնա դեգա  
արուս լամահուլու. ամ ցուցություն արուս հռմ մուցալ, դութու  
դա ցանցու մալուն յցու յուծ ացա, նյու մանեց, հռմել-  
սաւ պյութամանու օս մարեսա; և Շեցալ, Շունութ սապուրու-  
լութ մռացանութ ցուցություն արուս. | դա օմուս սամուլուս ալաց  
դութու, լուսկումուս սանց ցայցութութուլու, սրուլուսագ ուրուրուս

წმინდის მარმარილოსაგან ქმნილი, მუნუმენტი კოროლევასი, საკვირველის ხელოვნებით ქმნილი. მას ლუსკუმაზედ მწოლიარე არის ქვეშსაგებზედ კოროლევა სრულის თავის ტანისამოსითა და დიდად მიმსგავსებულის სახით, როგორათაც ავაღმყოფი მილულვილი მიწოლილა და ზევიდამ ზეწარი ხურავს. ასეთის ხელოვნებით არის გამოჭრილი ქვა, რომ თუ კარგათ არ დახედა კაცმა ვერ შეამცნევს, რომ სწორედ ზეწარი არ ეხუროს. გულხელი დაკრეფილი აქვს და მუხლები გადაჯვარედინებით უძეს და ისე ეგონება კაცსა მუხლები შიგ ზეწარში უჩანსო. ასე გვითხრეს, რომელთაც გვაჩვენეს, ასეთი მსგავსება აქვს კოროლევასი ამ სახესაო, რომ უმეტესი აღარ შეიძლებაო. და, დიახ, სალმობელად სანახავიც არის, რომელ იმისთანა დიდებული გვამი თავის წელიწადზედ აღრე გარდაცვლილა და როდესაც იმის სახლისა დიდის ბედნიერების უამები იყო იმას ველარ მოესწრა მრავალს მწუხარებასა ჭირსა და უბედურს შემთხვევაებს შემდგომად. ამ ლუსკუმას, ოთხსავე მხარეს, პრუსიის ლერბები აქვს უცხოს ხელოვნებით გამოჭრილი. ორსავ მხარეს, კუთხეებზე დიდროვანნი შანდლები სდგას, დიახ, მაღალი მარმარილოსივე საკვირველის უცხოს ხელოვნებით გამოჭრილი, სხვა და სხვას ჭიგურებითა ვარაყ არევით დაფერადებული. გამოვედით მუნით. მის სასახლის ძირს სახლში, მარჯვენით კერძო, იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას სახე არის მარმარილოზე გამოჭრილი, სრული სახე, საკვირველის ხელოვნებით. მრთლად სახე და ტანი ჩაცმული. მორთული სკამზედ ბრძანდება. და, დიახ, მსგავსება აქვს, რომ მეტი აღარ შეიძლება. შევედით ბალში, გავშინჯეთ. ჭანდრის ხენი, წაბლისა, ალვის ხის მსგავსნი ხენი, ვაზი, ვარდი და ხილის ხეები ბევრი დგას, მაგრამ ბალს მცირედ რამე მოუვლელობა ეტყობოდა. მუნიტან ჩავსხედით კალასკაში და შინათ ბინისაკენვე წავედით. როს შინ მოვედით, მოვიდა იქა მყისვე ჩვენი მოპატიუე კაცი,

რომელიცა არს მუნებური მოსახლე და მდიდარი (რო-  
 მელთანაც რომ ჩვენ გვქონდა ფული ასალები ჩვენი) და  
 იმან წაგვიყვანა დაჩაში, საცა ზაფხულისათვის ცოლშვი-  
 ლით სცხოვრებდა. მოგვეგებნეს წინა კუნისა \* პეტე-  
 ნიკი ცოლი, მოკოკლოზინებული და სხვა ქალები, მათნი  
 შოყვარე-მცნობნი. ერთი ამ კუნის ძმა აფიცარი, პრუ-  
 სიის მხედრობაში მოსამსახურე და ორნი სხვანი მათნი  
 მცნობნი. გვიალერსეს, ხილი და ყავა და ტკბილები  
 მოგვართვეს. ჩაის გიახელით, მცირეს ხილს რასმე. მერმე  
 წამიყვანა თვით სახლის პატრონმა, მასპინძელმან კუნმან.  
 დიახ, მშვენიერი ადგილი იყო ის ადგილი. გარეშემო  
 სულ აგარები (ესე იგი დაჩები) და მალლობი ადგილი  
 სულ ბალებთა და ვარდითა და ყვავილებით სავსე იყო  
 ის გარეშამოები და ხილის ხეებითა, წაბლი და ბაყილოე-  
 ბიც ბევრი იღვა. ბალის ხეები უთვალავი იქ გზებზე და  
 მინდვრადაც ბევრგანა დგას ვაშლი, პანტა, ბალი და  
 დამასხი). იმ დაჩიდამ ამიყვანა ჩვენმა მასპინძელმან, იმ  
 დაჩებს თავსა მალალი გორა არის, იმაზედა. და იმ გო-  
 რის თავზედ არის ერთი დიდი და ვრცელი | ქვის ტახტი,  
 გაკეთებული ოთხკუთხი, ოთხსავ კუთხეს თლილის ქვის  
 კიბეები აქვს აღსავალი. და ამ ტახტს ზევით რკინის  
 მოაჯირი ავლია ირგვლივ. და მოაჯირს გარეთ, ოთხსავ  
 მხარეს, ფართო შემოსავლელი. შუას იმ ტახტზე ბურჯ-  
 სავით აღმართული, სამრეკლოს მსგავსად, მუნუმენტი  
 ზგას, მალალი, რკინისა, ჩუგუნისაგან გაკეთებული  
 უცხოს ხელოვნებით, ზედ სტატუები ვამოყვანილი. ეს  
 მუნუმენტი იმ მეფეთ სახსოვნად არის, რომელნიც ნა-  
 პოლეონზე შეკრებულნი იყვნენ. ძალიან მალალი კი არ  
 არის, მაგრამ რაღაც გორაზედა სდგას მაღლათა სჩანს.  
 და ესენი კარგათ განვიხილე. და იმ გორიდამა. სრუ-  
 ლიად ბერლინი და ქალაქის გარეშამონი, დიახ, შორამ-

13-3

\* კუნი არის იმ კაცის ფაშილის სახელი.

დისინ სჩანან. ამ გორას გარეშამო, ძირამდის სულ და-  
ჩები აქვს, ბალები და საზაფხულო სახლები შემორტყმუ-  
ლი. იქიდამ დიდხანს უჭვრიტე. ჰაერიცა, დიახ, კარგი  
იყო. მერმე ჩავედით მასპინძლისავე სადგომს. ჯერ დასხ  
დენ ცოტას ხანს. ქალალდი ითამაშეს. მერმე ვახშამზე  
დავსხედით. ქალები გარე შემომისხდნენ და ისე შემაქ-  
ცევდნენ. მოიტანეს მრავალი საუცხოვო შამფანცკი, უცხოს  
ბუტილკებითა და ვსვით. მაგრამ მე შეუძლოთ მყოფი  
ვიყავ და მაგდენის სმა არ შემეძლო. კაპლერ თავის  
სახლში კი, არა მგონია, მაგდენს ლვინოს სვამდეს და  
არც ჩვენთანა სვემდა. ასე ამბობდა: „მე ლვინო დიდად  
გაწყენსო და იმიტომ არა ვსვამ.“ მაგრამ, ვგონებ, იმ  
ლამეს ოთხი, ხუთი ბუტილკა შანდანცკი მეტი გამოცალა.  
მაშინ მივხვდი, რომ ექიმები თითონ ჯიბის ფარიზს  
უფრო უფთხილდებიან ვიდრე მუცლის ფარიზსა.

13.8

რალა ვსთქვა. ის ქალები პირველ ქალებსაგან  
უფრო მეტათ მეალერსებოდნენ. მაგრამ, მგონია, მაგ! თენი  
ვერც არა მათ გაიტანეს. პირველს საათამდის კარგათ  
შევექცით და მერმე ბინაზედ წამოვედით.

მეორეს დღეს ათს საათზედ წავედით და დიღს მუ-  
ზეიუმს რომ ეძახიან ის ვნახეთ. იმ მუზეიუმს ეგროს  
მუზეუმსაც უხმობენ. დიახ, მოსაწონი არის. მრავალნი,  
უცხოს ხელოვნებით ქმნილნი, მარმარილოსანი სტატუნი  
გამოკვეთილნი დიღნი და მცირენი, ღირსი ხსოვნისა,  
ვინც ძველნი, გინა იხალნი, წარჩინებულნი ფილოსო-  
ფოსნი, მეფენი, გმირნი და სახელოვანნი, იმათნი სახენი.  
ეგრეთვე ძველთა მეფოლოლიისა ღმერთებთა კვალად-  
ლიღ-დიღნი. და სხვა და სხვანი ქარტინანი, გინ სუ-  
რათნი, პირველთა და სახელოვნებთა მხატვართაგან გა-  
მოხატულნი. მრავალნი ძველებურნი მხატვრობანი. ეგ-  
რეთვე მინათა ზედა გამოხატულობანი, ჭურჭელნი სხვა  
და სხვა გვარნი, ძველებურნი და ესე გვარნი ნივთნი,  
მრავალნი საიშვიათონი არიან მუნ (და აღწერაცა მათი,

შერმანულითა წერილითა აღბეჭდული, ვიყიდეთ მუნვე).  
რაოდენნიცა და რაცა ნივთნი მას შინა არიან.

წარმოვედით მუნით და განვჩხრიკეთ სხვაცა ლირს-  
სახილველთა სახლი: ესე იგი ეგიპტის მუზეიუმად  
სახელდებული, რომელსა შინაცა არიან მრავალნი ნივთნი  
ეგიპტურნი, ფრიად უძველესის უამისა დამუშავებულნი,  
რომელნიცა ესე ოდენთა ათასთა წელთა სიგრძესა შინა  
არა განხრწნილან წამალთა მათ ძალითა, რომლითაცა  
შემურვიდენ იგინი მკვდართა, გინა სხვათა ნივთთა.

მას დღეს ზოგიერთი ადგილი მის ქალაქისა მოვლეთ  
(გაგრძელება აშიაზეა შემოწერილი მარჯვნიდან მარცნივ)  
და შინ გიახელით. კაპლერ ფულის ასაღებათ გავგზავნე,  
ვისთანაც ფული გვქონდა ასაღები. მე საღილი ვსჭამე.  
კაპლერ შემდგომად მოვიდა. ფული მომითვალა ნემენ-  
ცურად და საღამოს უამს ის თიატრში გავისტუმრე და  
მე შინ დავრჩი. წავიდა, ენახა თამაშობა, დიახ, მოსწო-  
ნებოდა და სიხარულით გაკვირვებული მოვიდა და მიამბო  
მის თიატრის ამბავი (აქ თავდება აშიაზე შემოწერილი).

რაღა განვაგრძო, მეორეს დღეს 20 ივნისს (2 ივ-  
ლისს) ბატოის რძალს წიგნი მიისწერეთ. გავგზავნეთ.  
საღილი ვსჭამეთ და წავედით. შაფათი დღე იყო. ბერ-  
ლინიდან 4 მილი არის მშვენიერი და კეკელა ქალაქი,  
შესაქცევი და საზაფხულო სამყოფი პრუსიის კოროლთა,  
რომელსა ეწოდების პოტსდამ. მოვედით მუნ და სა-  
დაც პრუსიის კოროლისა დიდი თლილის ქვის სასახლე  
არის, იმის პირდაპირ ტრახტირი არის, რომელსა ეწო-  
დება (გამოტოვებულია ადგილი ერთი სიტყვისათვის) იქ ჩამოვ-  
ხედით. ყავა დავლივეთ. ის ღამე განვისვენეთ. მეო-  
რეს დილასა კვირას დღეს, თიბათვის 21, რომელიც  
იმათებურათ 3 კათათვე არის, მერვეს საათზედა, წავე-  
დით და ქალაქს გარეთ ვიხილეთ ჭრიდერიკო მეო-  
რის სასახლე მაღალს გორაზედ მდგომი. | ეს სასახლე იმ 14-ა  
ჭრიდერიკოს პრუსიის კაროლისა არის, რომელიც

ძალიან ვაჟიკაცი კი იყო და ჭილოსოფოსობდა კიდეც ვოლტერის მეგობარი, ახლანდელი კოროლის ბიძა იყო. სასახლე იგი, დიახ, მხიარულს ადგილსა, მაღლობზედა, გორაზედა დგას. და სასახლეს უკანაც პირდაპირ მაღალი გორა აქვს. და ზედ რუმონი ესე იგი ციხის ნაქცევია არის. ის გორა წვრილტყიანი არის. და პოვტდა მსა გარეშამო სულ ტყე აქვს. მას სასახლეს გარეშამო მშვენიერი ხეები, ბალები და შესაქცევი-გზები აქვს, წესიერად ქმნილი. შევედით მას სასახლეში, რომელშიაც პრუსის კოროლი ჭრიდე რიკოს ხშირად სცხოვრობდა. ზალა მისი კონცერტისა, გალლარეი და სხვადასხვა სამყოფა სახლები დავშინჯეთ. ზოგნი სტატუანი და პორტრეტნი და ქარტინანი მას შინა ჩინებულნი და ძველებურნი. არიან, კარგნი. კაბინეთსა მისსა შინა შევედით, სადაცა იგი მყოფობდა ხშირად. წინ სასახლისა მის მაყურებელთა უფროსი დედაკაცი დაგვიძლვოდა. მან გვიჩვენა მას კაბინეთსა შინა ერთს კედელთან ერთი სტოლი, მდგომარე ქვეშ ერთი დიდი მოგრძო უბრალო ძველი ხის ყუთი იდგა, დაუკეტელი. იგი ყუთი ალსავსე იყო მიწერ-მოწერილობის წიგნებითა და ზევიდამაც იმ ყუთის თავის დასაფარებელი დამტვრეული ფიცრები ეფარა. ასე გვითხრა. მან დედაკაცმან: რა ჭრიდე რიკოს გარდაცვალებულა, ეს ყუთი მას აქეთ აქა დგასო, ხელი არავის უხლიაო არცარავის ეს წიგნები გაუჩხრეკია, არც კოროლმა, არც, იმისმა ჭომილიამ, არც დიდკაცთა, არც სხვამ ვინმე იცის რა წიგნებია, რა მიწერილ-მოწერილობა და ანუ რა საქმეაო. და არაოდეს არც გასჩხრეკენო და დღეისამდის. ასე არისო. მუნვე, რომელსაც რომ სტოლს ქვეშ ის ყუთი იდგა, იმ სტოლზე ვოლტერისაგან გაკეთებული და შეთხზული ლექსების | წიგნი იდვა, სტამბისა. და რა-ზედაც ჭრიდერიკოსს, როდესაც მჯდარიყო და ეკითხა, გადაეხსნა ის წიგნი, ისევ იმაზედვე გადახსნილი ძევს ყოველთვის ეს წიგნი. ასე სძევსო გადახსნილიო, იმ დე-

დაკაცმა გვითხრა. იმ სახლსა შინა ერთი დიდი დასაჯ-დომი სკამი იდგა, დიახ, დიდი იყო. (ვოლტერის სკამს რომ ეძახიან იმ გვარი) მწვანე. წინაც მას ერთი სტოლი უდგა. იმ კრესლოს პირდაპირა, კედელთან, სხვა საწერი სტოლი იდგა, კაბინეთის სტოლი დიდი წიგნების ჩასაწყობი, დასაწერი. ზედ ერთი ლიტონი საწერელი, ერთი პესოვის ჩასაყრელი, დიახ, დიდროვანები, გათლილი, სადა ბროლისა იდგა; ერთიც ძველებური, გრძელი წიგნის პატარა, თეთრი ბრონძეს ზარი, დასაწყარუნებელი, დასაძახლებლათ მოსამსახურეთა. სხვა მას სტოლსა ზედა მეტი არა იყორა. ესენი გავშინჯეთ. და სხვას სახლებში რაც რამ იყო. და გამოვედით მუნით. ამ სასახლეს გარეთ, წინ და უკან, მშვენიერი ბალი არის. რადგანაც გორა აღგილი არის, ძირიდამ მოკიდებული მაღლამდის, ბალი ხარისხად და ხარისხად არის ამოყვანილი. სასახლის წინ, გარიგებით, სხვაღასხვა სტატუები დგას მარმარილოსი, უცხოს ხელოვნებით ქმნული, ძველთა მეფეთა, კეისართა და ფილოსოფოსთა. მარცხენესა კერძოსა, იმ სახლის წინა, ვაკე მცირესა მოედანსა მას ზედა თერთმეტი ძალლი ემარხა, გარიგებით ექვსი ერთს მწკრივზედა და ხუთი იმათვე ფერხთით მეორეს მწკრივზედა; ზედ მარმარილოს პტყელი ქვები ეწყოთ და ზედ დაწერილები სახელი იმ ძალლებისა. ჩვენმა წინამძლოლმა დედაკაცმა გვითხრა: ეს ძალლები აქ დამარხულები ჭრიდერიკოს მეორის, ამ სასახლის პატრონისა, საყვარელი ძალლები არიანო. სხვა ლირისი ხსოვნისა მუნ დასაწერი არა არის რა, ოლონც რომ ჰაერი კარგია, დიახ, მშვენიერი. ბერლინს ესე სჯობს ბევრით ჰაერითა. ნიგვზის ბაყილოები, წაბლი, მსხალი, ვაშლი, დამასხი, ბალი კარგები და შემოსულიც იყო. ვაზი ბევრი, მაგრამ ყურძენი კი, თუ დიდათ ცხელი შემოდგომა არ გაჰყვება, ტკბილი არ მოვა. ჭანდრის ხეებიც ზოგიერთს აღგილებში დგას. ერთი ხე

15.3

არს უთხოვარსა ჰგავს ქერქი მისი და, დიახ, მაღლები  
არის. ფოთლები ალვის ხეს უგავს. ალვის ხის სიმაღ-  
ლეები კი ვერ გაიზრდება, მაგრამ მშვენიერი ხეები არის.  
თუმცა მუნებურს ხეებს ქერქი სულ სხვა გვარი აქვს,  
ტყის უბრალოს ხეებსა გავს იქაური ზილის ხეების ქერ-  
ქიცა. ჰგავს, იმ ქვეწებში ხის ვაწმენდა არ იციან რო-  
გორც ჩვენში. ჩემოვედით ფრიდერიკოსის სასახლიდამა  
და ქალაქშივე შემოვედით. მივედით იმ საყდარში, რო-  
მელშიაც რომ ეს ფრიდერიკოს მარხია და იმისი  
მამა. იმ საყდარს ეწოდება (ადგილი და ტოვებულია) პროტეს-  
ტანი საყდარია, პრუსიელი სარწმუნოებისა. თლილის  
ქვით მშვენიერად ნაშენი დიდის სამრეკლოთი, რომელსაც  
რომ ზედ დიდი საათიცა აქვს მომართული. ის საყდარი  
ლამაზად გაწყობილი იყო. შუას ალაგას საკურთხეველი.  
იმ საკურთხეველს ტახტსავით შეკრული ოთხკუთხი და  
კიბით ასასვლელი ოთხსავ მხარესა კათედრა აქვს წით-  
ლის კამლოდით მოკრული. ზედ საკურთხეველი იდგა,  
ესე იგი ტრაპეზი, ოთხკუთხი. ტრაპეზს მწვანე ხავერდისა,  
ოქრომკედის ნაქსოვის, ჯვარებით და არშიებითის ეცვა  
შესამოსი. ზედ წმიდა სახარება ესვენა. დიდი და ზრქელი.  
სახარება ვერცხლით იყო მოჭედილი, ოთხის მახარებლით  
და შუაზედ აღდგომის ხატით იყო შემკული. მას ტრა-  
პეზზედ ერთი მომალლო ჯვარი იდგა, სახარების თავსა,  
ჯვარცმა ჩამოსხმული, საუცხოვოს ხელოვნებითა, ბრონ-  
ძვისა. აქეთ და იქით ორი ჩინებული ბრონძვის შანდალი  
უდგა ჯვარცმასა. სამხრეთზე და ჩრდილოეთზე რამდენ-  
სამე პირათ გაკეთებული სასხლომლები, დიახ, შვენიერად  
ჰქონდა, წითლის მშვენიერის ჩიხლებით მორთულები.  
ტრაპეზს უკან ეკვტერი იყო, შავის მარმარილოსაგან  
ქმნილი, დიახ, შვენიერად. და კარები წითლის ხისა ოქ-  
როს ვარაყით ცვარებული ჰქონდა. გაგვიღეს კარი. შე-  
ვედით. მარჯვენას მხარეს ჭრიდერიკოს მეორე  
მარხია. ზევიდამ ქვა აძევს ლუსკუმის სახედ გაკეთებული,

შავის მარმარილოსი. მარცხნივ მამა უმარხია და მამასა მისსა აფარია ლუსკუმის სახედ გაკეთებული შავი აბანოზის ხე. საფლავზედ არც ერთზე არა აწერიათ რა. იმ ეკვტერს გარეშემო პრუსიის ლერბები აქვს, უცხოს ხელოვნებით მის მარმარილოს კედლებზედვე გამოჭრილი. ამ ეკვტერს გვერდზედ კიბე აქვს, მაღლა ასასვლელი, ამ ეკვტერის თავზედ ავა. ორლანო იმაზედ არის მორთული იმ საყდრისა და მგალობელთ დასადგომელი ადგილი. ტრაპეზის პირდაპირ პასტორის საქადაგებელი არის. გარეშამო თოხუთხეთ, ზევით, ზანიშნები ტრაპეზს გარეშამო და სრულად მის საყდარში ასრე თრს სამს ატაჟათა. და წითლის კაზიმერებისა ჩიხლები აქვსთ (ესე იგი სასხდომთ შესამოსნი) გარედამ და შიგნიდამ მოკრულნი. ძირს და ზევით მგონია. ათას ხუთასი სული მეტი დასჯდეს. სხვა საყდრებიც არის ამ ქალაქში. ვგონებ, რომის კათოლიკეთ საყდარიც იყოს.

წარმოვედით მუნით და გამოვედით ქალაქს გარეთ და მივედით მას ადგილსა, სადაცა რომ რუსების კოლონია არის, ესე იგი, იქ დგანან დასახლებულნი რუსნი. ესენი ხელმწიფესა იმპერატორსა ალექსანდრეს, ოდესუა ნაპოლიონის ომი გათავდა, იმ უაშათ პრუსიის კოროლის ამ ფრიდერიკს მესამის თხოვნითა, ნება მიუცია და რომელნიმე ნამსახურნი უნდეროფიცარნი და სალდათნი რუსთანი, რომელთაც ნიშნებიცა აქვსთ ორდენებთა სხვადასხვა, პრუსის კაროლს მუნ, დიახ, კარგსა და მშვენიერს. ადგილს დაუსახლებია. კარგი სახლები, ბალები და კარგი მდგომარეობა აქვსთ. ტოლებიც ზოგთ რუსეთიდამ მოუყვანიათ, ზოგთ მუნვე შეურთავსთ. უცხო საყდარი აქვსთ, მშვენიერი. მაღალს გორაზედ უდგათ, სოფლიდამ ცოტად მოშორვებული. საყდარი, დიახ, მშვენიერად შემკობილი, მომცრო გუმბათიანი, მშვენიერის კანკელითა. ის საყდარი იმ, ცათაშინა განსვენებულის, ალექსანდრეს დროს .უწყიათ

და ამ იმპერატორის ნიკოლოზის დროს შეუსრულებიათ. მღვდელი ჰყოლიათ. პეტერბურგის წასულა. სხვის მღვდლის გამოგზავნამდის ბერლინიდან ამ ყოველკვირას რუსის დესპანის მღვდელი მოდის და სწირავს იქა. მე რომ იქ კოლონიაში მივეღ, კვირა დღე იყო. რუსებმა მითხრეს: აქ საყდარი გვაქვსო და წირვა ეხლა იწყობაო. მე დიდად მიამა. ერთი თვე მეტი გავიდა, წირვა აღარ მომესმინა. მაშინვე წავეღ. წავიმძლვარე იქაური კაცი და მივეღ საყდარში. აველ მას გორაზედ. შევეღ. მშვენიერი საყდარი დამხვდა, წმინდის ალექსანდრე ნემსკისა. ლმერთს მაღლობა შევწირე და დიდად გავმხიარულდი. მღვდელი მზათ იყო. ის იყო უამნი გამოვიდა, „კურთხეულარსი“ თქვა. იწყეს წირვა. უცხოთ უგალობეს რუსებმა. ერთი ათთორმეტამდის სულნი იყვნენ: კაცი, დედაკაცნი, წირვის მომსმენი. სამოციქულოზე რომ დადგნენ და მღვდელმა კმევა გაათავა, მე საკურთხეველში შევეღ, მღვდელს ხელს ვემთხვივე და მოვახსენებინე, ნაწილი ამოვალებინე, როგორც რიგი არის ჩვენ მართლმადიდებელთა მოსახსენებლად ცოცხალთა და მიცვალებულთა. მერმე გამოვეღ. სეფისკვერი პრუსალების მსგავსი ჰქონდათ ნაკვეთობითა. სამთლები ავანთე. წირვა მოვისმინეთ. მღვდელსა ვკითხე იქაური ვითარებაები. ეს მღვდელი ნემცის აკადემიაში არის გაზრდილი და განსწავლული ყმაწვილი კაცი, ევროპის ენებზე ნასწავლი, მეცნიერი კაცი და წვერულვაში კი გადაპარსული აქვს. თურმე მას ფრანგთ ქვეყანაში არ შეიძლება რომ წვეროსანმა მღვდელმა იაროს. ერთს პრუსაკსა ვკითხე: რა არის ესე რომ ამ ქვეყანაში წვეროსანი კაცი ასე აგდებული გყავსთ მეთქი. მაგრამ მე თქვენს მუზეიუმში ვნახე ძველი ევროპის მეფენი, მთავარნი და სამღვდელონი მრავალნი წვერით იყვნენ დახატულნი მეთქი. მან პასუხად ეს მითხრა: ცარევიჩო, მართალია მაგაში ჩვენები სცდებიანო. მაგრამ ახლანდელის კაცების თვალები ასე რიგათ არის დაბა-

დებული, რომ თუ წვერიანი ვინმე ნახეს, უთუოდ თხა ეგონებათ და არა კაციო. ვიცინეთ და დრო გავატარეთ ხუმრობითა. აქ ჩვენმა მღვდელმა წვერულვაში რომ დაიყენოს, ქუჩაში წვრილი ბიჭები და ხალხი დაეხვევა და როგორც სათამაშო რამ, ისე გააკეთებენ, კაცს დიდათ შეაწუხებენ. ჩვენ თუ არ სამეფოსა და სამთავროს გვამებთან და მის ქვეყნის დიდ კაცებთან არ მივიდოდით, არაოდეს ქართულის ტანისამოსით არ ვიმოსებოდით. ჩვენ ხომ წვერები არ გვესხა; მაგრამ თუ ხალხში ჩვენის ტანისა-მოსით გამოვიდოდით და ქუჩაში ისე ვვლიდით, ბუებათ გავგაკეთებდენ, გარეშემო გვეხვეოდენ დიდი და პატარა და იმათ ვიღა დაეხრწეოდა. პირველი ქვეყანა, რომელ-შიაც ჩვენ შემოვედით, პრუსიის სამბრძანებლო იყო. და სხვადასხვა მრავალი ქალაქები | ვნახეთ: ზოგი პრუსია, ზოგი პოლონია, რომელიცა პრუსთ უპყრიათ. ელბინ-ლზე და დანცილზე გავიარეთ. ჩინებული ქალაქები არიან და მშვენიერი ადგილები. მერმე პომერანიის სამზღვარში შევედით. ისიც პრუსიელებს უპყრიათ. დიახ, მშვენიერი ადგილი არის და დედა ქალაქი მათი შტე-ტინი უმშვენიერესი სხვათა ქალაქთა: ჰაერითა, მდე-ბარეობითა, ადგილითა და წყლითა, სიმაგრითა და შე-ნებულებათა ყოვლითავე შემკული. მერმე მეკლენბურლ სტრელეცზე გავიარეთ. შემდგომ მეკლენბურლ შურინზე. ამ ორს მეკლენბურლის სამთავროებს თავთავისი ღერცოლები ჰყავსთ. მერმე ისევ პრუსიის სამზღვარში შემოვედით. პრუსიის ხალხი თითქმის სულ ერთგვარი არის. კარგი, დაწმენდილი სახისანი. მოშავო თვალ-წარბი, თეთრ-ყირმიზნი და სრულად მუნებურნი საშუალოს ტანისა. მათში არეული ხალხი არა ყოფილა. სულ ერთი მილეთნი, ესე იგი, ერთი გვარეულებანი არიან. იმათ, რომელთაც რუსნი ნემეცებს უძახიან და ჩვენის მხრისანიცა სრულად გერმანიის ხალხნი არიან. თითონ თავიანთ თავს საზოგადოდ დეიჩ-ებს უხმობენ.

ამ დეიჩის ენას ლაპარაკობენ: პრუსიაში, ავსტრიაში,  
საქსონიაში, ბავარიაში, რეინის მხარეებში ყველგან და  
სხვადასხვას წვრილს საკოროლოებსა და სამთავროებშია.  
საფუძველი ენისა ერთი აქვთ, თუმცა განსხვავებით  
ერთი მეორეზე თვითეულს ქვეყანაში ენის ცვლილება  
აქვთ. საქსონელები უკეთ ლაპარაკობენ. ნამეტნავათ  
ლეიბ ციხეს, ენა მათ შორის უფრო ქებული არის, რომ  
ისინი კარგათ და დაწმენდილათ ლაპარაკობენ. რაღა  
განვაგრძოთ. პოტსდამის ქალაქი დაახ მშვენიერი  
არის. უკეთესი | ადგილი, ჰაერითა, მდებარეობითა და  
ნაყოფიერებით სრული. გარეშემო სულ ტყეები აქვს.  
მდინარე აქვს დიდი, რომელსა ეწოდების ლაკლე. დიახ,  
წმინდა, მდოვრედ მომდინარე. მას ზედა, დრეზინის  
მხარეს, მოსაფალის გზიდამაც ქვიტკირის ხიდი აქვს და  
ბერლინის გზისაკენ ასეთი მშვენიერი, სულ წითელის  
თლილის ქვით გაკეთებული ხიდი აქვს, რომელ არ  
შეიძლება უმჯობესი მისი. საუცხოვოს არხიტეკტურობით  
გაკეთებული მშვენიერად, რომელიც ქალაქში კოროლის  
სასახლე არის, იმას გვერდით, წინ დიდი ბალი აქვს.  
შიგ წყლები არის შემოყვანილი და მშვენიერი. ამ სასახ-  
ლესთან, ქალაქის მხარეს, წინ დიდს საყდარს აშენებენ.  
შესრულებულიც არის, ახლა შიგნიდამ აკეთებენ. თლი-  
ლის ქვით არის და მშვენიერს ფიგურაზედ, უცხოს არხი-  
ტეკტურობითა ნაშენა. გვერდებზედ დიდროვანი ფანჯრე-  
ბი, გოდიჩესკური, სრულიად ჩოგონისა, სხვასა და სხვას  
მშვენიერის ფიგურებით (ესე იგი ნაკვეთობაებით) გამო-  
ყვანილი.. ამ ჭოტცდამის ქალაქში დიდი კანავა არის,  
შემოტანილი, დიახ, გრძელი თლილის ქვით, გორიდამ  
ამოყვანილი და ნაპირები თლილის ქვით სავლელებით  
და რკინის მოაჯირებით. ორსავე მხარეს სულ მშვენიერი  
ხეები ჩაყრილი. მშვენიერად არის გაკეთებული. ქალაქში  
ჭოტტასა და კანავას ახლოს დიდი მოედანი და ზედ ბულ-  
ვარი, მართლა რომ იამება მნახველსა. ჩვენ წარმოვედით

რუსების საყდრიდამ. იმის მადლით შინ მოვედით. პურა  
ვჭამეთ, საღილი | მასვე ტრახტირში. და მუნით წარვე- 18. ტ  
დით და შეუდეგით დრეზდინს მიმავალს გზასა. პოც ტდამიდამ დრეზდინი არის 28/, მილი, რო-  
მელი არს ასოთხმოცდა ოვრამეტი ვერსი, მცირე რამ ნაკ-  
ლები. და თორმეტს სტანციათ განვლის. შვიდი ჭოჩტა  
რომ განვლეთ, გათენდა, მზეც ამოვიდა. და ილეს ტრე-  
ვერდის ჭოჩტაზე შევისვენეთ და მცირე დავიძინეთ.  
მერმე წავედით და მას დღეს დრეზდინს მივედით.

ივნისის 22-სა (ივლისის 4-სა) მას ქალაქში ჰოდერ  
როსის ტრახტირში განვისვენეთ. ვახშამი ვჭამეთ. და-  
ვიძინეთ. იმ ღამეს მე ძალიან ავათ გავხდი. დათუასაც  
კბილი სტკიოდა და თავის საღვომს ეძინა. კაპლერ  
მეორე სახლში იწვა. არც სამთელი მენთო, დიახ, შევ-  
წუხდი. ველარც თავაზით კაპლერ გავალვიძე და არა-  
ვინ მყვანდა მომხედავი და ჩემი ღვთაება კარისა ღვთის  
მშობელი და ცხოველს მყოფელი ძელი იყო ჩემი შემწე-  
კინალამ ცოტა გამიწყდა არ მოვჰკვდი იმ ღამესა, მაგრამ  
ღმერთმან დამიფარა უცხოთ; ღმერთმან უფალმან. ჩვენ-  
მან იესო ქრისტემან, რომელიცა მამულისა დიდებისაგან  
ხსნისათვის ჩვენისა მოვიდა ქვეყანად და მაღალი ესე  
უცხოება მან ესე გვარ თავს იდვა. როგორც იყო, მას  
ღამეს გამოვათენეთ და მეორეს დღეს სამშაფათს წავე-  
დით ქალაქისა და მის გარემოსა გასაჩხრეკად.

დავიქირავეთ კალასკა. და ჩვენმა წინამძლოლმა  
კაცმა პირველად ქალაქს გარეთ გაგვიყვანა და გვიჩვნა  
აღვილი იგი, საღაც ფრანცუცთა ბრძოლისა ჟამსა მორო  
ლენერალი, ფრანცუზი, ფრანციიდამ ამერიკაში დიდიხნის  
გარდავარდნილიყო და ნაპოლიონის დიდი წინააღ-  
მდეგი და მტერი იყო. იგი იყო მამულისა თვისისა არა  
დის ერთგული. და იმ ჟამში ფრანციის წინააღმდეგთა  
შეკრებულთა მეფეთა თანა მოვიდა, | ოდეს ნებავდათ მათ  
მეფეთა განდევნა დრეზდინსა შინა მყოფისა ფრანცუც-

ბისა, მაგრამ ნაპოლიონმა ოცისა ათასისა კაცითა მოასწრო. შეიძნენ და ამ შეკრებულებას უკან დააწევინეს. მაშინ კურთხეული ალექსანდრე, ხელმწიფე იმპერატორი, და მორო ერთად იყვნენ. მორო ჰყავანდობდა ზოგს ჯარებას. და მას ადგილს ავსტრიის ჯარები იდგნენ. მორომ მოახსენა ხელმწიფე ალექსანდრესა: (ნაპოლიონმა რომ მოატანა მას ჯარსა მაშინ) ხელმწიფევ, მიბრძანდით, ეს ადგილი პირველი სასაჩვებლო პოზიცია არის, დაიპყარითო. აქედამ მტერი იძლევაო ხელმწიფეს ლმერთმა აგონა, არ ინება. ასე უბრძანა: დღეს ომი თქვენდა მომიხსენებიაო. მსურს ესე თდენთა შეკრებულებათა შორის თქვენ ისახელოვნოთო. მოროს იამა, უბედურსა. ავსტრიის ჯარი მიიყვანა. რა მიახლოვდა და შელმართა, შას გორასა ზედა აღვიდა, გაღმიდამ ჭრანციცებმა გამოუსუსხუნეს კომპოს თოფი. \* შვილი ხტომა ქმნა ამ ზარბაზნის ტყვიამა, მერვეზე მოხვდა მოროს და ერთი ბარკალი სრულად მოაგლიჯა. და ამისათვის, მოროს ბარკალი საცა მოჰველიჯეს; იმავე ადგილს არის დამარხული. და იმისი მძოვრი პეტერბურხს მოიტანეს და პეტერბურგს ნემეცკის პროსპექტზედ რომ რომის კათოლიკეთ პირველი დიდი საყდარი არის, იქ, დიდის ცერემონიით, შიგ საყდარში დამარხეს. და ამაზედ დასრულდა მოროს ყოველი განზრახულობა და თავის ძმებსვე შეაჯვდა მოლალატე ძმათა თვისთა ამ სახით. ახლა მას ადგილს, სადაც მოროს ბარკალია დრეზდინს გარეთ დამარხული, იმაზედ დაუდგამთ ოთხუთხი მუნუმენტი თლილის ქვისა, უცხოთ გათლილი. ზედ ბრონძვი უმუშავებიათ ქვაზედ დაბრონჯვით, სამ-

\* კომპოს თოფი არს მოკლე ზარბაზნი. პირი ზარბაზნის პირზე დიდი ექნება, ყუმბარაც კარგად ისროლება ამითა. ამით ტყვიას ისე ესვრიან, რომ ათსა და თორმეტს მეტს ალაგს ტყვიას მიწას აალოკინებენ და ესე გვარის ტყვიის ნახტომითა მტერთა დიდად ავნებენ.

ხედრო | იარალი და ჩაფხუტი და ჯავშანჯაჭვი, ეგრეთვე 19-ა  
ნიშანნი და ღერბი მისი უცხოს ხელოვნებით გამოქან-  
დაკებული არის და ზედ წერილი მცირე.

რა განვსინჯეთ იგი და გარემონი იგი ადგილი, წამოვედით და ვიარეთ ქალაქს გარეთ. დიახ, მშვენიერი ჰაერი იყო. მოვედით ბალსა, რომელსა ეწოდების რო-  
ზენ გონს ტენ. კარგი და მშვენიერი ხენი მრავალნი დგას. და ხილის ხეებიცა დგას. სხვადასხვა ვარდი მრა-  
ვალი დგას. გვრმანიაში ბევრგან ვნახეთ ვარდის ხეები. საუცხოვო რამ არს. ზოგი ვარდის ხის ღერო მკლავისაგან უმსხოსია და ასე სწორეთ არის აყვანილი, როგორათაც ჩამოსხმული სამთელი და თავი მრავალს რტოებით გარ-  
დაშლილი. ასეთი სურნელ-ფეროვანი და დიდნი ვარდი ასხია, რომ უკეთესი შეუძლებელდა არის რომ იქმნებო-  
დეს. და მე ვარდი რადგან დიდად მიყვარს აქ მნებავს სიყვარულისა მისიათვის ვსოქვა:

შენ ვარდო, უცხოდ ფეროვნად კეკლუცად მოცინარეო,  
როს გნახე გეტრფე სურვილით, განასურნელე არეო;  
შენ ლაწვეს გამგხავსე გულისა ჩემის წარლების, დარეო,  
როს ბულბულს თავს დაუმძვირებ, დღე მისთვის იქმნას მჭარეო

დიდხანს ვუალერსეთ ვარდსა და მიღამოთა არეთა  
მათ. ვიმოთხვეთ, დიახ, მშვენიერად. გზები, სავლელები  
და შესაქცევი ადგილები და მოედნები ლამაზათა აქვს  
დაწყობილი. დიახ, დიდი ბალი არის. სასახლეც არის.  
წინ მოედანი და სავარჯოვნე აქვს მშვენიერად. სასახლე  
კი დია ეგრე ჩინებული რამ არ არის, მაგრამ არც ცუდი.  
მცირეს ხანს ქალაქის გარემო მოვიარეთ. მერმე ქალაქ-  
ში შემოვედით და ჩვენს ბინაზედვე მოვედით. მცირეს  
ხანს | შევისვენეთ და მერმე წავედით ქალაქსა შინა მდგო- 19-ბ  
მარესა, დია ჩინებულსა, ლუტერანთა საყდარსა გასასინ-  
ჯავად. მისსა საყდარსა ამას უწოდებენ იგინი ჭოუნ-  
კირკად (აშიაზე ასომთავრული ხუცურით ჭოუნკირკ)  
სრულიად თლილის ქვით არის ნაშენი და რვა ასი ფერხი

(ფეხის ტერფი, არა თუ ნაბიჯი) სიმაღლე აქვს. გრგვალად  
არის მოყვანილი ის საყდარი უცხოს ძველებურის არხიტეკ-  
ტურობით ნაშენი. ერთი დედაკაცი დაგვხვდა. საყდარი  
იმან გაგვიღო შევედით. შიგნიდამ ძველი და დაუხატველი  
არის. ძველებური ტრაპეზი მაღალს ხარისხშედ მდგომი და  
თლილის ქვის კიბით აღსავალი საკურთხეველი საყდრის,  
კედელს მახლობელი. ტრაპეზზე სახარება ედვათ. და ზე-  
ვიდამ შავი აბანოზის ხისა, ყუთსავით გათლილი, მოგრძო  
ოთხკუთხი საფარებელი ეფარა სახარებასა. და ძერთ და  
იქით ორი შანდალი ედგა, მაღალი ბრონძვისაგან ქმნი-  
ლი. და შიგ დიდი წმიდა სამთლები ერჭო. ტრაპეზის  
თავს, ზემოთ პეტრესი და პავლესი მოციქულთ მუნუმენ-  
ტები, თეთრის მიწით, კარგის ხელოვნებით ქმნილნი  
ედგათ. საკურთხეველის დასასრულთან საქადაგებელი  
სდგას და კრესლები დასასხდომი. ერთ კერძო მუზიკა  
დიდი საფსალმუნე. საკურთხევლის დასასრულთან, კიბის  
ჩამოსავალთან, მარცხნას მხარეს, ხატი ეკიდა, დიახ,  
საუცხოვოს ხელოვნებით გამოხატული. მომცრო ხატი  
იყო, გეთსამანიის ბაღში რომ ილოცვიდა უფალი ჩვენი  
იესო ქრისტე, იმისი სახე იყო. საყდარში სულ მგრგვლათ,  
რამდენსამე პირად, კრესლოები იდგა ერისათვის დასასხ-  
დომი. ეგრეთვე მგრგვლივ რაოდენსამე პირად ზარნიში-  
ნები ჰქონდა შემორტყმული, სულ მაღლა გუმბათამდის.  
და ხალხის დასასხდომი კრესლოები ეწყო. ზოგი ლოუებიც  
იყო გაკეთებული ზარნიშინებში ჩინებულთ გვამთათვის  
სასხლომლად. ვგონებ, მას საყდარში უმეტეს ოთხის  
ათასისა სულისა დაეტევის. პირველს ზარნიშინის მოაჯარ-  
ზედ სურათი იყო პარტრეტად. და მას ზედა გამოხატუ-  
ლი ლუტერ მოძღვრისა მათისა სახე, საუცხოვოს ხე-  
ლოვნებით გამოხატული. და სწამებდნენ მუნებურნი:

20-3

ფრიად მსგავს არსო ლუტერისა, რომელ მისი სახე სრუ-  
ლიად ევროპასა შინა ამისგან უმჯობესი არსადა იპოვე-  
ბისო პირმსუქანი, თეთრ-წითელი, შავთვილწარბიანი,

ქართულის მსგავსით ქოჩრითა შავითა, ტანად მშვენიერი მოყვანილი, სახით მშვენიერი და ჰაეროვანი. ეტყობოდა, რომ ბერი იგი გერმანიელი მარხულობას და მოღვაწეობას კი არა დია ეგრე შეეწუხებინა! პირისპირ სხვა სახე იყო მისსა დამოკიდებული. და მას ზედა მოძღვარივე ლუტერანთა მელანეტონ იყო გამოხატული, კარგის ხელოვნებით. ის უფრო ხნიერებაში იყო დახატული, ვიდრე ლუტერ, მაგრამ ისიც ურიგოს სახისა არ იყო და არც ძალიან მოხუცებულად დახატული. საშუალო გუმბათის ადგილი გრგვლათ არს ჭერი მხოლოდ მოყვანილი. და ეს საყდარი ბნელ არს შიგნიდამ. სანათური ცოტა აქვს და არა დიდრონი. კიბე შევა მაღლა, საყდრის თავზე ასასვლელათ და რა ერთს კიბეს აღვლი, მერმე გზასავით, შელმართსავით აქვს გაკეთებული აღსავალი, სულ იმ საყდარს მაღლა თავამდისინ გრგვლათ უვლის. და ისე ავა ზევით. თუმცა დასუსტებულიც ვიყავ და ავადმყოფიც, მაგრამ, ღმერთმა უშველოს, ჩვენი საღვამის ტრახტირის მოსამსახურე იყო, პატიოსანი მოხუცი კაცი, მას დავყვანდით ყოველს სანახავებში. იმან ხელი დამიჭირა, რომ დავიღალებოდი, დავჯდებოდი და უფრო ხშირად ხელსაც არ დავაჭრინებდი, ისე ჩემს თავს სიმხენეს ვაძლევდი და ავდიოდი. დასასრულში ავედით. ზედ გარედამ გუმბათში გაველით. გუმბათი სულ ზევიდამ ადგას საყდარს. შიგ არ ჩახედავს. გარეშამო დიდროვანის თლილის ქვის სვეტებით არს გუმბათი მშვენიერად მოყვანილი. და შიგ ზარები ჰკიდია ბევრი დიდროვანი და | კარგის ხმისა. 20-ზ გარეშამო რკინის საუცხოვო მოაჯარი. აქვს სვეტებსა და სვეტებს შუვა იმ გუმბათსა. და ასეთი გარდმოსახედავი აქვს რომ სრულიად დრეზდინის ქალაქი და იმისი გარეშამო სოფლები, მთები, გორაები, ბალები, ტყეები, ელბა მდინარის გარეშემონი, ყოველი ფერი უცხოდ ჩანს. და, დიახ, შორსაც ხედავს. რომელსამე მხარეს და რომელსამე მხარეს გორაები უფროსობს. რაც უნდა დი-

ლი კაცი დაღიოდეს და მაღალი, ძირსა ზევიდამ ყმა-  
წვილის ოდენათ ძლივ გამოჩნდება. იმ საყდრიდამ წამო-  
ვედით და ბინაზედვე მოვედით. შევისვენეთ. საღილი  
უსჭამეთ. და საღილს უკან კალასკაშივე ჩავსხედით და  
წავედით. და მუნებურსა მეფისა, ესე იგი, საქსონიის  
კოროლის საუნჯეთ სახლი ვნახეთ. რა ითქმის ენით თვი-  
თეულად განჩხრეკა მათ ძვირფასთა სპეკალთა, სხვათა  
და სხვათა იარაღთა, ქალისა, ანუ კაცის მოსართავთა,  
ანუ პალატის განსაშვენებელთა ნივთთა, რომელიცა  
სრულიად ბრილიანტთა მიერ, ძვირფასთა და სხვათა  
ქვათაგან პატიოსანთა მურასად მოოჭვილ იყვნეს! მუნ  
იდვა რიყე ალმასთა და თვალთა პატიოსანთა. რა საკვირ-  
ველი არის, რომელ უწინარეს მყოფთა საქსონიის კო-  
როლთა სიმდიდრე ესე ვითარი მოეპოვებინათ, რომელ-  
თაცა სახელი და დიდებულება ადრინდელთა უამთა უალ-  
რეს სხვათა ზედა კოროლთა სრულიად ევროპიასა შინა  
განთენილიყო და სრულიად პოლშაცა, თავისის სამ-  
ზღვრებით, და სხვანი მრავალნი ქალაქნი და ადგილნი  
გერმანიაში საქსონიის კოროლის უფლებას ქვეშ იყვნეს,\*  
მაგრამ აწინდელსა ეამსა კოროლი საქსონიისა არა ეგრე  
განდიდებულ არს სოფლის ვითარებათაგან. | ეს მის მეფისა  
საუნჯეთ სახლი ოცი მეტი დიდ-დიდი სახლნი იყვნეს.  
ყოველი კერძო მის სახლებისა: სტოლები, ლავკები, ესე  
იგი, ფეხზე მდგომი ყუთნი, მინა დაფარებულნი, თუ  
შკაფნი, თახჩანი და კედელთა ზედა დამოკიდებულნი  
იარაღნი, ყოველნივე თვალითა პატიოსნითა იყვნეს, ხე-  
ლოვნებით ქმნილნი. გამეკვირვა მის კაბინეთისა სიმდი-  
დრე. და როგორ შეიძლებოდა მოკლეს უამში ისე სრუ-  
ლიად და თვითეულად აღწერილიყო, ვინაიდგან ასე არის  
თქმული: ვისაც რომ საქსონიის მეფის საუნჯის სრულიად

\* (აშიაზე) საქსონიის კოროლს ორმილიონამდის საყმო ყო-  
ლებია და არა მეტი, უფრო ნაკლები იმ უამში, ადრე მრავალი  
ჰყოლია.

ზედმიწევნით, გასინჯვა ნებავს სამი კვირა მუნ მისსა ქალაქსა სატახტოსა და რეზ დინსა შინა უნდა დაჰყოსო, ყოველ დღეს სინჯოს და მაშინ შეიძლება სრულად გაჩხრეკა იმისიო. წამოვედით მუნითცა. ამ მოვედით, სადაც მეფისა მის საჯინიბოთ სახლნი იყვნეს. სახლნი ტურფად ნაგებნი და ძირს ატაჟაში (ესე იგი ძირს სახლებში) არის, დიახ, გრძლად გაკეთებული სახლები ერთმანეთზე მობმულნი. მუნ არიან დაწყებითგანვე შესავალისა, ერთს მწერივზე მოკიდებით ცხენნი ალკაზმულნი, \* რკინისანი, სხვითა და სხვითა ძველისა მორთულობითა შემკულნი. და ზედ სხედან კაცნი, გმირნი შებრძოლნი, შეჭურვილნი ძველებურისა ჯაჭვ-ჯავშნებითა | და სხვათა და სხვათა იარაღებითა სამხედროთა, ბეგთარცმულნი. თავთა ზედა აქვსთ ჩაფხუტნი რკინისა და პირსაფარნივე რკინისანი. რომელნიმე შუბლისანნი, რომელნიმე ხმალმოწვდილნი. სხვითა და სხვითა სახითა. და მრავალნი, ექვსასზე უმეტეს ამავე სახლსა შინა არიან სახენი ანდრიანტის მსგავსად რკინითავე შემზადებულნი ლირსსახსოვართა კაცთა მუნებურთა. და შორის მათსა—მეფე პოლშისა, ძლიერი იგი გუსტავი, სამეფოს მორთულობითა შემოსილი. ესე გუსტავი იყო ძლიერი მეფე და საქსონია და სხვანიცა მრავალნი სამხედრონი და ცხენისა იარაღნი, ძველებურნი. და მუნვე ვიხილეთ მდებარე ნაპოლიონის ფრანციისა იმპერატორისა ჩექმა, რომელიც მას სცმია და რომელიმე სამოსელთა მისთაგანი. შეუძლებელ არს კაცისაგან, რომელ ვინმცა იხილავს სახესა ნაპოლიონისასა, გინა ნივთსა რასმე ქონებულსა მისსა, რომელ შეისვე ნახვისა თანა არა აღმოიხსროს სიღრმით გუ-

21-6

\* ჩამოსხმულთა რკინათაგან არ არიან შემზადებულნი, არა-მედ რკინის ფიცართაგან.

ლისათ. და რაღა ვსოქვა? არა ვუწყი უმეტეს ამისსა. წა-  
მოვედით მუნით. ვიხილეთ ხედი, რომელიცა სძევს ელ ბა  
მდინარესა ზედა, ქალაქისა მის საშუალსა ადგილსა, რო-  
მელიცა არს სრულიად თლილისა ქვისაგან ქმნული,

22-3 ათცხრამეტსა კამარითა აღგებული | და სიგრძითა რვაასი-  
ნაბიჯი. ხოლო ანდრიანტისათვის დიდებულისა მეთა-  
პოტასსა, რომელიცა წერილარს, რომელ იყო დად-  
გმულ ქვეშე ხილისა მის, არა რა ძალმიცა მოთხრობად,  
ვინათვან არღარა იხილვების მუნ. წარმოვედით მუნითცა.  
და საღამოს უამს, ექვსს საათზე შუადლიდგან წარმოვე-  
დით ბალსა მას შინა, რომელიცა არს მახლობელი მუნე-  
ბურისა მეფისა პალატისა, პირსა ზედა ელბა მდინარი-  
სასა. მდინარე ფრიად ძირს მომდინარეობს და მაღალი,  
გორასავით ადგილი არის ამოსული. ელბის პირიდამ  
ზემოთ იმ ბალამდის სულ ვრცელი და დიდად მაღალი  
თლილის ქვით კედელი არის ამოშენებული. ამ ბალში  
რომ მიბრძანდები, ქალაქის მხრიდამ აღმოსავლეთის მხა-  
რეს, სულ თლილის ქვისა, დიახ, განიერი და მაღალი  
კიბე აქვს ბალში ასასვლელი. კიბე ოცდა ორი ფეხი  
იქმნება ალსავალი. მარცხენას მხარეს ელბას რომ ვარ-  
დახედავს, რომ ელბის მხრიდამ თლილის ქვით პირამ-  
დის ამოშენებული არის (როგორათაც ზევით ითქვა), ამ  
ნაპირზედ თლილის ქვისა კედელი ავლია. და ნაპირის  
გზაც დაფენილი არის ქვითა სრულად, ბალის თავამდის-  
ისე არის გატანილი. მაგრამ ეს კედელი კი დაბალი

22-4 არის. ამისთვის ყურებას არ დაუშლის კაცსა | ძირსა. და  
წყალს გალმა და გამოლმა ბალი იგი რაოდენსამე ხარის-  
ხად არის განყოფილნი. ერთი მეორეზედ მაღალნი გზები  
ყოველს მხარეს თლილის ქვითა აქვს დაფენილი. ხენი-  
შვენიერნი სდგანან. ცაცხვის ხეები, წაბლი, დიახ, მშვე-  
ნიერად დაკვეცილნი, ალვის ხის მსგავსნი ხენი, ბაყილო-  
ვარდის ხეები, საუცხოვო და მრავალი სდგას. და იმ  
უამს სულ მშვენიერად წითელი ფეროვანი სურნელი და

ფრიად დიდი მრავალ მსხმოიარე ვარდნი გაშლილიყვნენ  
 შნახველთათვის საამოდ. ბალსა მას შინა არიან ფიცარ-  
 თაგან ქმნილნი საზაფხულო სახლნი, ოთხსავეუთხივ გა-  
 რეშამო სულ მინებით გაკეთებული, ფანჯრებსავით კე-  
 დელნი. მუნ ვისაცა ნებავს ვახშამსაც მიირთმევენ. მეფუნ-  
 დუკეთ \* ყოველივე გამზადებული აქვსთ. ფასით ვისაც  
 რა ნებავსთ, მოართმევენ. კიდევ სხვასა და სხვას ადგილს  
 არიან ყავის დასალევი წვრილნი სახლნი. გარე მათ სახლთა  
 მშვენიერთა ხეთა ქვეშე არიან სკამნი და სტოლნი დად-  
 გმულნი. იქ მივლენ, ვისაც ნებავს დაბრძანდებიან და  
 ყავის იქ მიირთმევენ, ან ტკბილებს, ანუ რაცა ნებავსთ.  
 დიდი იგი სახლი უფრო ასავალს კიბესთან ახლო  
 არის. | და ყოველს სალამოს იმ ქალაქის ხალხი: კაცი, დე-  
 დაკაცი, დიდი და პატარა, კარგათ ჩაცმულ-დახურვილნი,  
 იქ შეიყრებიან ზაფხულის დღეებში, იმ პურის საჭმელს  
 სახლს ახლო, მშვენიერს ხეთა ქვეშე. სამ-ოთხ პირათ,  
 დიახ, მრავალი, მშვენიერი ლომბორნის, ოთხეუთხი სტო-  
 ლები სდგას. გარეშამო სკამები უწყვია. თითო და თითო  
 სახლეულება თითოს სტოლს შემოეხვევიან. გარშამო და  
 დასხდებიან. ქალებია აქვსთ კალათნი, მშვენივრად დაწ-  
 ნულნი, მობრტყენი. და ყოველს ქალს მას შინა თავისი  
 ხელსაქმე უძევს. რომ დასხდებიან, დაიწყობენ წინ თა-  
 ვიანთ სამუშაოს. ზოგი წინდა-პაიჭისა ჰქესოვს, ზოგი კრუ-  
 უაოებს ჰქერვენ და სხვადასხვას წვრილს ხელსაქმობას  
 აკეთებენ. თან საჭმობენ და თან ლაპარაკით, კარგს საუ-  
 ბრით და შექცევით დროს ატარებენ. ბალსა მას შინა  
 იკვრის მუზიკა, ფრიად მშვენიერი. კაცნი ზოგნი ყავას  
 სჭენ, ზოგნი ფივას, გაზეთებს კითხულობენ, უურნალებს  
 და სხვადასხვას შესაქცევს წიგნებს. ზოგნი სხედან და  
 უცხოს საუბრით ატარებენ დროსა. ძვირათ ვინმე დადის  
 ფეხზე. უფროსნი ერთნი სხედან არევით | ქალნი და კაცნი 23-3

\* მეფუნდუკე—ტრაქტირჩიკი

ერთად და ისე შექცევიან. მას ბალსა შინა ყვავილთ  
ფერად-ფერადი მრავალნი არიან. და მას ბალის თავთან  
შიგვე ბალში ადგილი არის და იმის ძირს პატარებს ხევ-  
სავით არის. და მცირე წყალიც მოდის. დიახ, უცხო  
შესაქცევი ადგილები არის ამ ბალში. და ბალს იქით, ამ  
ელბის პირზედ, სულ აგარებსავით გაყოლიება ბალიანი  
სახელები არის. ღამის შემოსვლის ჟამს, ცხრას საათის-  
სრულზე მე, რაღანაც სუსტათ ვიყავ და ავად მყოფო-  
ბისაგან ჯერ თავისუფალი არ ვიყავ, საღვამს წამოველ-  
და ჩვენი დოხტური კაპლერ იქ დავაგდე. ისიც წამოს-  
ვლას აპირობდა, მაგრამ რაღან მოხუცებული კაცი იყო,  
მე, უფრო პატივისცემისათვის, ვახშმად იქ დავაგდე,  
რომ კარგათ შექცეოდა. იმათში თერთმეტს საათამდის-  
იქ დიდი შეყრილობა არის ზაფხულის დღეებში. მერე  
ყოველი კაცი მოვა თავიანთ სახლებში. დაიძინებენ. დი-  
ლაზედ აღრე, ექვს საათზე, აღგებიან და ყოველი კაცი  
თავის საქმეს მოეკიდება. ღამე რასაც შექცევაში უნდა  
იყვნენ და საკა შექცევასაც აღრე მოჰყვებიან და თერთ-  
მეტ საათზე რაც უნდა ბალი ან ქორწილი, გინა სხვა რამ  
შეყრილობა იყოს, არ გარდასცილდება. აღრე დაიძინე-  
ბენ და აღრე აღგებიან. საღილსაც აღრე სჭამენ, ვახშამ-  
საც. არც ლხინსა და შექცევას მოსცდებიან და არც საქ-  
მისათვის | დროს დაპარგვენ. მთელის გერმანიის ხალხს-  
საზოგადოდ სულ ეს ჩვეულება აქვსთ ყოველს მათს ად-  
გილებში. დრეზ დინში ვაზი მრავალი არის. ქალაქის-  
გარეშემო მთა და ბარი სულ ვენახით და ხეხილით სავსე  
არის. მის ჟამის მუნებური კოროლი იყო ალბერტის  
შთამომავლობათაგანი; სახელით კირლ ფრიდრიხს  
ავლუსტ მეორე, 39-სა წლისა კაცი. მეულლედ ესვა-  
მარია ანნა ლეოპოლდინა ელისაბედ, რომე-  
ლიცა იყო პრინცესა ბავარიის მეფეთ სახლისა და დე-  
დოფალი საქსონიისა. წელსა ამას, ივნისის თვის 6-სა-  
იმათის თვის ანგარიშით, რომელიც ჩვენის თვის ანგარი-

შით იქნება 25-მაისის თვისა, მამა ამა საქსონიისა კოროლისა მაქსიმილიანი ისით, სიბერიისა გამო, გარდა-  
დგა მეფობისაგან და თავის შვილს დაულოცა მეფობა.  
თითონ მაშინ სამოცდა ჩვიდმეტის წლისა იყო და აღარ  
ინება, რომ მეტი ემეფნა. ამ უამათ საქსონიის მეფე მუნ  
დრეზ დინ ში არა ბრძანდებოდა. მამა მისი იტალიაში  
წარბანებულიყო და შვილი, ახალი კოროლი, გარეშემო  
ქალაქებში საქმისა რაისათვისმე. და დიდად დასანანე-  
ბელი იყო ჩემთვის, რომ ველარ მივემთხვივე იმათი დი-  
დებულების ნახვასა, რომელთაც დიდად აქებდენ, გულით  
და ალერსიანათ მიღებას უცხოს ვისმე გვამთასა და ეგ-  
რეთვე ფრიად ზრდილობიანს მათს ყოფაქცევას. წარმო-  
ვედით დრეზ დინით ნათლისმცემლობას დღეს, 24-ს 24-ს  
ივნისს, რომელიც მუნებურის რიცხვით იყო ივლისის 6  
რიცხვი. დრეზ დინიდან რომ გამოვედით, პირველი  
საათი იქნებოდა. პური იქავ დრეზდინ ში გრახელით და  
ისე წამოვედით. მოვედით ტარანის ფოჩტაზედ. დრე-  
ზ დინიდამ იქამდის სამი მილი არის და ერთი მერათხედი  
მილისა, გზა რომელიც შეადგენს ოცდა ოთხს ვერსამდის  
სავალს. იქ მთებს ახლო, ლამაზი წყალი მოდიოდა. ხე-  
ვის პირზე ჩამოვხედით. გამოვატანიერ სოფლიდამ მაწონი  
დიდის ბადიით. სტოლი დაგვიდგეს და სუფრა გადაშა-  
ლეს. ერთი დიდი ბადია მაწონი ერთი ჩინურის ლანგრით,  
იქაური შავი პურის გული დაფხვნილი, გამშრალი და  
შაქარ არეული დაგვიდგეს; თეფშები ლრმა და ვერცხლის  
კოვზები. საუცხოვო მაწონი იყო და ის შავი პური დაფხვნი-  
ლი, დიახ, უხდებოდა. ცხელოდა კიდეც და, დიახ, კარგა  
შევექეცით. გზაზე მრავალს ადგილს რომ ჩამოვხდებოდით,  
მაწონს გიახლებოდით. დიახ, კარგი და მარგებელი იყო  
სიცხის უამს. გერმანიაში ყოველგან სითეთრეს, დიახ,  
მრავალს აკეთებენ. შეაბეს ცხენები და გავსწივეთ. შემო-  
ვედით, საცა ის წყალი ჩამოდის, ტარანისა, იმ ხეობაში.  
იქიდამ დაიწყება მერმე სულ მთის გზები, საშინელი და

ძნელი აღმართ-დაღმართები, მთები და გორები. მდინარე  
ესე არა დიდი იყო, მაგრამ რიყიანი და აქეთ იქით  
გორები და მთები ტყით შემოსილნი იყვნეს. ვიარეთ.  
25-3 დაგვილამდა გზაზედა. | მოვედით. ტარანიდამ ელი -  
ბერგს ორი მილი — და მეოთხედი არის. ელიბერგი -  
დამ — ფრეინანბერგს. ესენი სულ ჭოჩტები არის.  
ჭოჩტენანბერგი წინა ფოჩტიდამ ორმილნახევარი  
არის. იქიდამ მოვედით ვორხეინსა, რომელიც სამი  
მილი და ნახევარი არის. ვორხეინს რომ მოვედით  
25-ი ივნისი თენდებოდა. პირველ საათზედ სრულზედ იქ  
დავიძინეთ. მეორეს დღეს აღრე წამოვედით. ვორხეი -  
ნიდამ ოთხი მილი არის ანენბერგი. დიახ, ცუდი  
გზები იყო. ანენბერგი, დიახ, მშვენიერი და კარგი  
ქალაქი არის, ისევ საქსონიის კოროლისა, მთის ძირათა  
დგას. გარეშემო ვაკე აქვს, დაბლობში არის. ცივი ადგილი  
არ არის და ნაყოფიერი არის. ჩამოვხედით ფოჩტაზედ.  
დავიარე ქალაქის ქუჩები ქვევითათ. ზოგი ადგილი დავ-  
შინჯე. მაღალი, ძველებური საყდრები. იყო. უფროსი  
ერთი რომის კათოლიკებისა და სხვა შენობაები დაუსინ-  
ჯე. მუნებურს ტრახტირში სადილი კარგი ვიგემეთ და  
წამოვედით. ანენბერგით რომ ორი მილი გამოვ-  
კლეთ, მოვედით ბოლემის სამზღვარში. იქიდამ დაწყე-  
ბული კეისრის მამული არის. ავსტრიის იმპერატორისა  
სამზღვარსა მას ზედა ბოლემიისა და გვევდა მცირე  
ყასაბა ქალაქი. გერმანულად ყასაბა ქალაქს შტატ-  
ლისი ეწოდება. და მას ყასაბასა ვეუპერტ ეწოდე-  
ბის. მუნ იყო ტამოუნა, ესე იგი, საზვერე, ანუ საბაჟო  
სახლი. დაგვხვდა მებაჟეთ-ხუცესი. გვკითხა: ყავა ხომ არ  
25-ზე მიგაქვსო გასაყიდი, ანუ | თამბაქოვო. რომ ეს ორი ნივთი,  
დიახ, შეკრული არის, იმ ქვეყნებში ვერ შეიტანენ ამ  
მხრიდამ. მე კაპლერს ალარ დაგაცალე და ვუთხარ: რო-  
გორ არა, ეს ბერი კაცი დიდვაჭარი არღს მეთქი, ის იყო  
რომი ამანეთის ქვეყანაში ყოფილიყო საგაჭროთა, მრა-

ვალი ძვირფასი იამანეთის ყავა მოაქვს. უკან დაქირავებული ოთხი ურემი სულ ყავითა და თამბაქოთი სავსე მოგვაქვს მეთქი. რაც ამ კარეტაში არ ჩავიდა, ურმებზე მოგვაქვს. თამანეთიდამ ამ ვაჭარს ყავა მოაქვს და თურქთა ქვეყანაზე რომ გამოევლო თამბაქო იქ ეყიდნა იაფ ფასათ. მეც პეტერბუგში ამან თავის ხელქვევითათ ჯამაგირით დამიყენა, თან წამომიყვანა, ამის ხარჯზე მოვდივარ, უნდა პრაგას მივიღეთ, ზოგი იქ დავყიდოთ და დანარჩომი ვენის ქალაქში უნდა წავილოთ, იქ უფრო კარგა გაგვივა მეთქი. შენ რა საქმე გაქვს? მცირეს ყავას და თამბაქოს კი გითავაზებთ. სხვა იქ უნდა წავილოთ. აქ რომ გავხსნათ, საქონელი წაგვიხდება. ბაჟს იქ ალგილს მივცემთ, რაც განწესება არის. სიცილით ვეუბნებოდი ამას. იმ კაცმა გვითხრა: ჯერ თქვენი ბაშპორტი მიჩვენეთო და მერე იმა' რომ ვნახავ, მეც როგორც ჩვენი მმართველობის ბრძანება მაქვს, როგორც უნდა მოვიქცეო, მე თქვენ გამოგიცხადებთ და ისე უნდა მოხდესო. ძალიან იშტაზე მოვიდა ეს ნემეცი. თუმცა კარგი კაცი | იყო მაგრამ ისევ გვაროვნობის ბუნებამ სძლივა, გულში უხაროდა, ამთენს საქონელს ამათ დავაყრევინებო, მეც ბევრს ვირგებ და ჩვენს ქვეყანას შემოსავალს შევძინებო. რა ბაშპორტი მივეცით და წაიკითხა, ელდა ეცა ამ კაცსა. კეისრის ელჩის ხელიც ეწერა ზედა და ბეჭედი აჯდა. საქართველოს ცარევიჩი თეიმურაზ რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ბრძანებით და კეთილ მნებელობით მიბრძანდება ბოლე მის მინერალნის წყლებზე განკურნებისათვის. როდესაც კეისრის მამულში მობრძანდეს ყოველთავი გმართებსთ უმართებულოთ და უწესოთ არავინ დახვდეთ, ყოველს გზის საქმეზედ ხელი მოუმართეთ და ტამოუნაში არსად დააბრკოლოთ, ანუ იქიპაჟები. არ გაუჩხრიკოთ, თორემ გარდაგხდებათო. ეს რომ წაიკითხა ამ კაცმა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: თუმცა სიტყვით თქვენ სხვას მიბრძანებდით, მაგრამ მე მაშინვე ვსცან თქვენს სახეზედ.

26-3

და ყოფაქცევაზედ დიდის სახლის შვილობა თქვენიო და  
რად გენებათ ჩემი გაბრიყებაო. თქვენ ადგილი გაქვსთ,  
ამისთანას ვისმე ძვირფასს სტუმარს, რომ მე მონურათ  
26-ზ მიბძანოო. მეც ბოლიში მოვითხოვე და ვუთხარ: | რადგან  
სიტყვისავე დაწყებაში პირველადვე ყავა და თუთუნი  
გვკითხე მეთქი, სხვა ოონე არ იყო, ჩვენც ასე უნდა მოვქ-  
ცეულვიყავით და უკაცრაოთა მეთქი, ვიცინეთ. ისიც  
კარგა გაზრდილი კაცი იყო. შეგვიწვია. მცირეს ხანს შე-  
ვედით იმის სადგომს. ბრძანება მისცა თავისს მოხელე  
კაცთა: ცარევიჩის კარეტას არ შეეხნეთ, ან ბარგს რას-  
მეო. გვიმასპარაზლა ხილებით და კარგის სასმელებით.  
რადგან რიგი იყო და ტამოუნის უფროსი იყო, ჩვენც  
რიგიანათ დავასაჩუქრეთ. უბრძანა. დიახ, კარგი ცხენები  
შეგვიბმევინა კარეტაში, რადგან გზები მთისა იყო და  
ცუდი, ექვსი ცხენი შევაბმევინეთ, მაგრამ ფოჩტა კი არ  
იყო ის ადგილი. იქიდამ ფოჩტაზე მოვედით. თუმცა  
გზები სულ შოსეთი იყო გაკეთებული კარგათ, მაგრამ  
საშინელი მთები იყო გარდასავალი, კლდიანი და აღმართ-  
დაღმართი. წავედით მუნით. ჰამრის სტანციაზედ ცხე-  
ნები გამოვიცვალეთ და იქიდამ ვიარეთ ფრიად ძნელნი  
გზანი და ლამის თერთმეტს საათზედ მოვედით ქალაქსა  
შინა იოხიმსტალისს, რომელიცა მთათა და კლდეთა  
დიდთა საშუალ დაშენებულ არს. კარგათ დიდი ქალაქი  
არის . მრავალნი საყდრები და კარგი ნაშენობანი. და  
მწვერვალთა ზედა მის ქალაქის მთისათა ძველნი ნაცი-  
ხვარნი და კოშკი, ნაშენნი. ბოლემიის ქვეყანა ბუნებით  
ფრიად მაგარი არს, დიდ-დიდთა, მთათა, გორათა, ხევთა  
კლდიერთა, იწროთა გზათა და შესავალთა და ტყეთა  
27-ზ მიერ. და ერნი! სრულიად ბოლემიისანი არიან სარწმუ-  
ნოებითა რომის კათოლიკენი. თერთმეტ საათზედ მივე-  
დით. რადგანაც ოთხი მილი იყო ფოჩტიდამ და გზები  
—ძნელი, იმ ლამეს იქ განვისვენეთ. და მეორეს დილას  
დიახ, აღრე წარვედით კარლის ბადს და დილის ათს

საათზედ მივედით. ჩამოვხდით ჭუნდუქსა მას შინა, ესე  
იგი, ტრახტირსა, რომელ არს ყოველთა სადგური. მუნ  
დაგვხდა კაპლერის ცოლის და ეკატირინა ივა-  
ნოვნა ელ მერის ცოლი, თვისის შვილით, კარლო  
ივანი ჩით, რომელიც მსახურებს როსიის სამსახურში,  
ინოსტრანნი კოლეგიაში. ესენი პეტერბურგიდამ წამოსულ  
იყვნენ ზღვის გზით და ჩვენზე ადრე მოსულიყვნენ კარ-  
ლს ბადს. რადგანაც ეს ელ მერის მეუღლე ეკატე-  
რინა ივანოვნა მოხუცებული იყო და ავადმყოფი,  
რომ ხელფეხი უთროთოდა, იქ მოსულ იყო წამლობისა-  
თვის და ჩვენს ახლო იდგა. სახლი დაეჭირათ. ჩვენ ვიყა-  
ვით ჩამომხდარნი ტრახტირში, რომელსაც რომ ეწოდა  
პოტტელ დი პრინს გვილიუმ დი პრუს (თარ-  
გმანი ამისი: ჭუნდუქი პრუსიის მექვიდრე პრინსისა). ეს  
შვილი, კარლო ივანი ჩი კარგად გაზრდილი ყრმა  
კაცი იყო. მოვიდა ჩემთან და მითხრა: თუ გნებავსთ და  
წამობრძანდებით ამ ქალაქს, გიახლები და გასინჯეთ  
ლირს სახსოვარი ადგილნიო. მე შადლობა ვუთხარი.  
რადგან კარლის ბადის ქალაქი დიდს და მაღალს ორს  
მთას საშუალ იწროს ხეობაში არის დაშენებული, დიახ,  
კარგი შენებულება არის, რომ უკეთესი ალარ ეგება.  
მაგრამ გზანი და სავალნი ფრიად იწრო. კარგი დარი  
იყო, დიახ, მზიანი დღე და ბევრით ქვევითათ გვერჩივნა  
სიარული. და წავედით. კარლი ივანი ჩი ჩემი ბე-  
ლადი იყო დავიწყეთ სინჯვა: პირველად მან ქალაქის  
ბაზარში წამიყვანა: გრძლად, კლდის ძირათ ორპი-  
რად ბაზარი იყო. დუქანები არა ეგრე დიდნი. მეო-  
რე მხარეს ის კარლის ბადის მდინარე უდიოდა.  
ხიდს გავედით. ბაზარში | მივედით. ვნახეთ ბაზარი ფრიად  
უცხოთ მორთული. და სხვადასხვა მრავალი საუცხოვო  
ნივთი ისყიდებოდა. ზაფხულში ამ ადგილებში, საღაც  
სამკურნალო წყლები არის, დიდი მოგება აქვსთ ვაჭართა.  
სხვას ქალაქებიდამაც მოკრბებიან და მრავალს სავაჭროს

მოიტანენ და გაჰყიდიან. კარლის ბადში იმ წელს  
ექვსი ათასი სული და უფროსი მოსულ იყვნენ და შემო-  
ჭრებულ იყვნენ სხვადასხვა ადგილებიდამ და ქვეყნებიდამ  
კარლის ბადის სამკურნალოს წყალის სასმელად და  
რაოდენი გამვლელ გამომვლელი იყო, ის სხვა იყო. იმ  
ბაზარში მრავალი სხვადასხვა, დიახ, საუკეთესო ფერად-  
ფერადი ბროლის ჭურჭლები იყო გასაყიდი. ეგრეთვე  
საუცხოვოს ჩინურის ფარფორნი ჩაისა, გინა სტოლისა  
ჭურჭელნი, მრავალნი რკინეულთა, სხვადასხვა უცხოს-  
ხელოვნებით ქმნილნი, სახმარნი იარაღნი და წვრილმანი.  
რომელნიმე ბროლის ჭურჭელთაგანნი ვიყიდე ჩემთვის,  
დიახ, მშევნიერნი სტაქანნი და საწერლის ჭურჭელნი. ეს  
ბაზარი ასე კარგათ გავჩხრიკეთ და წამოვედით. სადაც  
ეს სამკურნალო თბილი წყლები სდის მის სანახვად.  
პირველად მივედით უცხელესსა მას წყალთან, რომელსა  
ეწოდების შლოს ბრუნ, ანუ შლოუს ბრუნ. წყალი  
ესე უპოვნიათ უწინარეს სხვათა სამკურნალოთა წყალთა  
ეს სახედ. ჯერ ამ ალაგს არც ქალაქი ყოფილა და არც  
შენობა რამ, ყრუ ადგილი ყოფილა. ერთს უამს ავსტრიის  
იმპერატორი კარლო მეხუთე წამობრძანებულა ბო-  
ლე მიის მთების სანადიროთ, რაღანაც ამ ქვეყნების  
მთებში მრავალი ნადირი იპოვება. ამ კარლის ბადის  
ახლო ირემი გამოუგდიათ, ეს ირემი ხევისაკენ ჩავარდ-  
ნილა, გაქცეულა და ძალლები გამოსდგომიან. კარლო  
იმპერატორს ერთი ძალლი ჰყოლია, რომელიც ყოველს თა-  
ვის ძალლებზე უმეტესად ჰყარებია. ეს ძალლი ამ ირმის  
დევნაში უეცრად ტყეში ამ წყალს, შლოუს ბრუნს  
შეხვედრია. წინა ფეხები ჩაუდგამს, უეცრად ამ წყალში  
და სრულად მოსწვია. მონადირენი მისულან და თითონ  
კეისარიც მობრძანებულა. უნახავსთ ძალლი ამ ყოფით.  
დიდად გაჰყირვებით, გაუსინჯავს. ეს საშინელი ცხელი  
წყალი უნახავსთ. მერმე ექიმები გამოუგზავნია იმპერა-  
ტორს და გაუსინჯავსთ. ექიმურის მეცნიერებით უცნიათ,

რომ ეს წყალი მარგებელი ყოფილა. მერმე კეისარს  
 კარლის უბრძანებია იმ ალაგს ქალაქის აღშენება და  
 გაეკეთებიათ\* კარლის ბადი. ასეთი ქალაქი არის  
 და ასეთი შენებულება, რომ დიდად მოსაწონი. ხალხით  
 მრავალი და ხმელის ქალაქობაზე დიდად საუცხოვო სა-  
 ვაჭრო ქალაქი. ოლონდაც რომ აღგილი დია ვიწრო არის  
 და ორსავ მხარეს ასეთი მთები აქვს ამართული, რომ  
 თვალს ვერ შეაწვდენს ადამიანი. აღგილსა და აღგილს  
 კლდიანი და სრულიად ტყით დაფარული. და ამ ტყეებში  
 უმეტესი სხვას ხეებზედ სულ ნაძვის ხე არის. მდინარე  
 რომ მოუდის კარლის ბადს დიდი არ არის, მცირე  
 მდინარეა და რიყეცა აქვს აღგილადგილ, მაგრამ ხალხის  
 სიმრავლისაგან მდინარე მეტათ ამღვრეული არის. ამ  
 მდინარეს სახელად ეწოდება ალტევზა. აღგილადგილ  
 წისქვილებიც არის. ამ მდინარის წყალს არა სმენ ამი-  
 სთვის, რადგან იმღვრევა. თუმცა მთის წყალი არის და  
 კარგი, ქალაქს ზევით, წმინდა, მაგრამ იმღვრევა. და ამ  
 ქალაქში წყაროები არის, მთიდამ მილებით მოტანილი,  
 უცხოთ იწმინდება, ყოველს აღგილს წყაროები. და იმას  
 სმენ და ხმარობენ. გემო კი თუმცა იქაურს წყალს ყვე-  
 ლას კარგი არა აქვს. სხვა ადგილების წყლები სჯობს  
 კარლის ბადის მდინარეზედ ერთი ქვიტკირის ხიდი  
 არის, თლილის ქვით ქმნილი, ბაზარს პირდაპირ გავა და  
 სხვა ხის ხიდებიც, ქვევით და ზევით. კარლის ბად ში  
 მრავალი უცხო კეთილ ნაშენნი სახლნი არიან, დათლი-  
 ლის ქვის; რომის კათოლიკეთ საყდრები, გუმბათიანები  
 და უცხო ნაშენობა. ხიდზედ მუნუ | მენტიცა დგას 28-ზ  
 კეისრისა. დრეზ დინის გზიდამ რომ შეხვალ, სწორედ  
 კარლის ბადის მარცხენა მხარეს რომ მდინარე მარჯვ-  
 ნივიქნება, შუა ქალაქში, მთის ძირს იქ არის შლოუზ-  
 ბრუნის წყალი, რომელიც ზემორე მოგახსენეთ და

\* (აშიაზე) კარლის-ბადენ, ესე იგი კარლოს წყალი.

29-3

მარჯვენას მხარეს, მდინარეს გალმა, მთის ძირშივე სხვა წყლები არის. ეს შლოუს ბრუნ ასეთი ცხელი არის, რომ ხუთს მინუტს ქათამი მოიხარშება კარგათ. წმინდა წყალი არის. გრძელი ზალა აღგას ზედა და ოთხსავ მხარეს სულ კედლები მინებით ფანჯარასავითა აქვს ამ თალარს გაკეთებული, შუა ალაგს წყალი ამოდის. იმ თალრის კარებთან, რას წამს მიბრძანდებით, მაშინვე საშინელ ოშეივარი ეცემა კაცსა იმ წყლისა. წყალი ერთს ალაგს ამოდის. გრგვალი აუზი აქვს, გაკეთებული მოდიდო და შუაზედ ამოდის. ამოსადინელიც მალლათა აქვს გაკეთებული. მკლავისაგან უმსხოსი წყალი სცემს და იმ ამოსადინელიდამ ადლზე მეტათა სცემს, შადრევნის შსგავსად. ამოსადინელს თავები აქვს, დასარწმელები, სხვადასხვაგვარად და როცა იმაებს გაუკეთებენ სხვადასხვა სახედ გამომდინარებს. გრძელს ჯოხებზედ თუნუქისაგან ქმნილი სტაქნის ჩასადგმელები აქვს. სტაქანს ფარფორისას ჩასდგმენ შიგა. იმ ჯოხით მიუშვერენ, ავსებენ. ხელის ახლო მიტანა არ შეიძლება და ისე მოგართმევენ წყალსა. დასდგმენ. შენელდება და მერმე ისე უნდა მიირთონ, ვისაც ნებავს წყალი, მაგრამ ძნელი ეს არის, მანამ განელდება თავის ხასიათს დაჰკარგავს წყალი და ამისთვის იმ წყლისაგან სნეულნი დიახ მცირედნი სმენ. ამ წყალში ჩააწყობენ პურის თავთავს, ყვავილების კონებს, ხის კენჭეროების კონებს და თორმეტი დღე უნდა ეწყოს ამ წყალში. თორმეტ დღეს უკან ამოილებენ და ეს მდელონი ქვად იქმნებიან გარდაქცეულნი. ჩვენც წამოვილეთ საჩვენებლად | პურის თავთავისაგანაც და ყვავილებისაგანაც ვითარცა ქვა ეგრეთ გარდაქცეული თავისავე სახით. ამ შლოუზ ბრუნსგარეშამო ყვავილის ბალები არის მრავალის ყვავილებით სავსე სხვათა და სხვათა. და ხეებიც დგას რომელიმე. რა ეს გავსინჯეთ, წამოვედით. გამიძლვა კარლი ივანიჩი ელმერი. გავედით ხიდსა და მივედით მის ადგილს, სადაც სხვა თბილი წყლები სდის.

ქლდის ძირს, თითოსა და თითოს წყალზედ, მას თბილს  
 წყაროებზე\* ქულაიფრანგები ადგას, გრგვლათ-სვეტებით  
 გაკეთებული. მივედით პირველს წყაროზედ. იქ დაგ-  
 ვხვდა კარლი ივანიჩის დედაც- წყალსმა შეესრუ-  
 ლებინა. და იქ ამ ეკატერინა ივანოვნა ელმერის  
 შეუღლემ დამატარა წყლები. პირველი წყალი, რომელსაც  
 ეწოდების (ფრანციცულის ენითა) სურს მარია ტე-  
 რეზ.ია, (გერმანულად) ტერეზიენ ბრუნ. ამ წყა-  
 როს დიახ აქებენ მარგებელად. ცხელი არის ასე რომ,  
 შეიძლება, რომ ახალი ამოლებული დალიოს კაცმა. და  
 მრავალნი ავადმყოფნი სმენ უფროსი ერთი ამას. ამ  
 წყლებს წყალის ამოსაღინელი ბრონძვითა აქვს გაკეთე-  
 ბული და ორტოტათ წყალის გამოსაშვები მცირე და არა  
 ლრმა აუზი აქვს, გრგვალი თლილის ქვისა და ზევიდგან  
 მრგვლივ სვეტები და თავი გრგვლათ დაფარებული. ამ  
 სახითა აქვს ქულაიფრანგნი. და მაღლა გარედამ, დიდის  
 ასოებით, ბრონძვით გაკეთებული, წყაროსა მის სახელი  
 აწერიათ. აუზში ორი პატარა, დაბალი სკამები დგას.  
 ერთი აქეთ და ერთი იქით წყაროსა. და ზედ წვრილი  
 ქალები სხედან, ორნი, რომელნიც ავსებენ ფარფორის  
 სტაქნებში ამ თბილს წყალს და აძლევენ მსმელთ. ეს  
 პატარა ქალები ათი თორმეტი წლისანი იქნებიან. რიგით  
 იცვლებიან. საობლოს სახლიდამ არიან მოყვანილნი  
 რაოდენიმე. ამათ განწესება აქვსთ, ვინც წყალსა სმენ,  
 როდესაც ორმოცს დღეს, ანუ | ნაკლებს შემდგომად წყა-  
 ლის სმას გაათავებს, რაოდენი ფულიც არის სულზე გან-  
 წესებული, იმას უბოძებენ და იმ ფულში სხვას საქმე  
 არავისა აქვს, იმ ობოლი ქალებისა არის, რომელნიც  
 ყოველდღე იქ განწესებულნი არიან და წყალს მიართმე-  
 ვენ მსმელთა. იმათვის მოგროვდება ის ფული და იმ  
 ფულით ის ობოლი ქალები დათხოვდებიან და გაიმზი-

29-ზ

\* ქულაიფრანგი—ბესეტკა არის

თვებიან. ბ) მეორე წყალი ამა წყლის ახლო არის, ეს გვარათვე ქმნული, მოჰულ ბრუნ—სურს დო მოვ-ლინ. ეს პირველს წყლისაგან უგრილესია. და აქაცა, მსგავსად პირველისა, განწესებული არს სმა. გ) მესამეს წყალს ეწოდების: სურს ნეუვი ანუ გერმანულებრ: ნეუნბრუნ, გინა ნეინ პრუდშპრედელ. ეს მათ ყოველთა წყალთაგან უფრო გრილი არის და ფლვილად სასმელი. წყალთა ამათ საკურნებელთა დილის ექვს საათზე უზმონი მოჰყევებიან სმასა. და თვითეულს საათის მეოთხედში თითოს სტაქანს დალევენ და დადიან. ამ წყაროებს ზედ და გარეშემო მაღლა და დაბლა დიდროვანნი ტალანები აქვს გაკეთებული, სვეტებით. როდისაც წვიმიანი დღე იქმნება იქ ივლიან წყალის დამლევნი და როდისაც მზიანი დღეები არის, გარეთ. თითონ იქაც წყაროებიდამ ავა გზები მას კლდეებზე. გაჭრილია წვრილად კლდეები მშვენიერად, მოაჯრებით გზები გაკეთებული, ბუჩქები, ვარდები და ყვავილები ჩაყრილი, რომ მოსიარულეს ესიამოვნოს და იხალისოს სიარული. რადგანაც, ვინც სამკურნალო წყლებს მიიღებს, მართებს ბევრი სიარული. და ვიდრე ცხრა საათი შესრულდება სულ უნდა სვან და იარონ. შემდგომად შინ წამოვლენ სადგომს. და ვიდრე წყალის სმა არის, ექვსის საათიდან მოკიდ | ებული ათის საათის შესრულებადმდე, მშვენიერი მუზიკა იკვრის ესრეთი, რომელ კარლის ბალში რომ მუზიკა გავიგონე, იმისთანა ჩინებული მუზიკა სრულიად გერმანიაში ძვირად სადმე ვნახეთ. ბოლემელები ფრიად ნაქებნი არიან ყოველს საკრავში და მათ შორის ძვირად იპოვება კაცი, რომ მუზიკა არ იცოდეს, აქედამ წამოველით: ეკატერინა ივანოვნა, კაპლერ, კარლი ივანიჩი ესენი ერთად მოვედით იმ ადგილს, საითაც გზა იყო ამოსავალი. ამ სამკურნალოს წყლებსა და ბაზარს საშუალ, ხიდს ახლოს, ამ მარჯვენეს მნის მაღალისა და საშინელის მთის მწვერვალზეა აღსასვლელი. იქ დაგვხვდნენ

წვრილი ბიჭები, რომელთაცა ჰყვათ შეკაზმული ვირები,  
ზოგი ქალის შესაჯდომის უნაგირით და ზოგი კაცისა და  
ერთი კალასკა, დიახ, პატარა, სწორეთ ერთის კაცის დასა-  
ჯდომს კრესლოს ოდენი, ერთის ვირით შებმული, მაგრამ  
ვირებიც უცხოდ იყვნენ მორთულნი და ეს კალასკა, როგორ  
მსუბუქი, ლამაზათ, სუფთათ და მაგრად გაკეთებული, რომ  
სანახავად სასიამოვნო იყვნენ. და ეს წვრილი ბიჭებიც  
ლამაზათ ჩაცმული იყვნენ. ეკატერინე ივანოვნაშ  
და კარლ ივანიჩმა გვითხრეს, დიახ, ღირსი ხსოვნისა  
სანახავი არისო და ამ მალალს მთაზედ უნდა ავიდეთო.  
დიახ, დავუმადლეთ ჩვენ მათ. დავიქირავეთ იგი ვირბმული  
კალასკა და ერთი ქალის შესაჯდომი შეკაზმული ვირი  
და ერთიც სხვა მსუბუქი და ჯერ კარგათ გაუხედნელი  
კარაული. შევსხედით. მე კალასკაში ჩავჯეპ. ეკატე-  
რინა ივანოვნა უნაგრიანს ვირზე და ეგრეთვე  
კაპლერ კარლ ივანოვიჩი კი ქვეითად წამოვიდა.  
მე ასე მირჩევნიაო. თურმე იმას ის ფიქრი ჰქონდა: ეს  
კაპლერის ვირი უწვრთნელი არისო, უთუოდ გადმოს-  
ჩეხსო, მივეშველები მალე, რომ არა იტკინოს რაო, | და 30-ს  
კიდეც ვიცინებთ ამაზედათ. თურმე ის ეკატერინა  
ივანოვნა და კაპლერის ცოლი, რადგან მამით  
კი ერთნი იყვნენ და დედით სხვა, ერთმანეთის მეტოქენი  
და ნაჩეუბნი ყოფილან. განგებ შვილისათვის უთქომს და  
განზრახვით ამისთანა ვირი მოუყვაინებიათ, გიურ და  
გაუხედნავი, რომ ამას ჩამოაგდებს და ცარევიჩსაც ვაცი-  
ნებთ და ჩვენც ვიცინებთო. ეკატერინე ივა-  
ნოვნა წინ წაგვიძლვა. ჯილავი იმისი პატარა ბიჭს,  
ვირის პატრონს, ეჭირა და გვერთ მისდევდა. მე  
კალასკით მას მოვდევდი და ჩემს კალასკის ფირსაც  
პატარა ბიჭი მოსდევდა. იმ მთაზედ, თუ არ ქვევითი კაცი  
და ანუ სახედარი, სხვა ცხოველი ძნელათ ავა რამე, ასეთი  
აღმართი არის. რაც კი შეიძლება ის წვრილი გზა უკე-  
თებიათ, მაგრამ შეუძლებელი არის, რომ იმაზე ცხენი

ავიდეს. კაპლერ შორს უკან მოგვდევდა და კარლი  
ივანიჩი ქვევითად მას მოსდევდა. მას მთას ეწოდების  
ჰერსზ-ბრუნგ. მართლა, ეს უეცარი ვირის კალასკით  
ამისთანას მაღალს მთაზე ასვლა გასაკვირვი შემთხვეულება  
იყო და სხვაცა ამ უცხო შემთხვეულების საქმე  
სასაკილოც ზედ დაერთო.

### ლექსი ჰერსზ-ბრუნგის მთაზე ასვლისა

უყურე ცრუსა სოფელსა, სადა ვართ სადაურები!  
მაღალსა მთასა აყვანად იქაურთ მოჰყავს ვირები.  
ბევრი ვიცინეთ, რა ვნაზეთ ჩვენ მათი ბედაურები;  
ერთი კალასკას შებმული, სხვა უნაგრით მორთულები.

**81-3** ეკატირინე კაპლერის ცოლისდა იყო მთრთოლარე;  
დიახ, ზრდილი და მოხუცი ავად მყოფი, არ მწოლარე;  
იგი წარმიძლვა წინარე, ვირის უნესა მჯდომარე;  
მე ვირის კალასკას ჩავჯექ, კვალსა მისსა მიმყოლარე.

ეკატირინე გვარითა იყო ვოლმარის მეულლე;  
მას ჰყვანდა შვილი ჭაბუკი, ზრდილი და არა მეშულლე;  
მათ წყალთ მოსრულთა კურნებად არ გასტეხოდათ საულლე  
მსუროდა წყალი. იგი ვსვა, მაგრამ ვეროდეს შევუძლე.

იგი კარლი ივანიჩი, ეკატირინეს შვილია;  
კაპლერს მოჰყვარა მან ვირი არ იყო ეგრე წვრთნილია;  
რა შეჯდა კაპლერ მას ვირსა, მას რაღა მართებს ცილია,  
ყარა ტლინკი და ძირს დასცა, გახადა ესრეთ წბილია.

კაპლერს გვერდები ძლივასლა გარდურჩა დაულეწელი;  
ჩვენ ვიცინოდით და იგი ჯავრობდა: მომტეხეთ წელი,  
ეს რა ეშმაკი მომგვარეთ, რათ აგყვე თქვენ მე ეს ხელი,  
რა მხედარი ვარ, რა მრჯიდა, ვინ ჰპოვა ვირით სახელი?

კაპლერ ალარ შეჯდა ვირსა და ქვევითად ვოლმარ მოსდევს;  
იგი შულლობს, ანჩლობს, ჯავრობს, ყვირილით მთას-ბარსა  
მოსდებს;

ჩვენ არა რას მისთვის ვნაღვლობთ, ღილინით ვლით აღმა  
გვერდებს;  
ვსაუბრობთ და დაღმართ ვუჭვრეტო, შემოვხედე ვგევართ  
მხედრებს.

ჩვენ ავედით სულ მწვერვალთ თავს, მუნ ჯვარი არს აღმართული;  
სრულად ხედავს კარლის ბაზა, ესე არის პატროგან ქმნული;  
მას ზემორე ჩარდაში დგას, გრგვალი კიბით ავალს სრული;  
მუნიდგან სჩანს შენ-უშენი, მთა, ლირლალი, ტყენი სრული.

როდისაც იმ ჩარდახიდამ ძირს ჩამოხედავ, ისე  
თტყვის კაცი, ცის მესამეს ბურჯში ავსულვარო. იქიდამ  
კარლის ბაზში მოსიარულე კაცი ჩიტის ოდნად თუ გა-  
მოჩნდება და ცხენები კურდლლის ბაჭიის ოდენად. მთა  
იგი სრულიად მშვენიერის ნაძვის ხეებით, რომ სწორეთ  
ასულნი და უნურო არიან, იმით არის შემოსილი. ჩარ-  
დახის მის სვეტთა ზედა, მოაჯირთა კიბეთა და შიგნით  
და გარეთ, ვინც ასულან | იმათის წერილებით არის სავსე. 31-ზ  
თვე და წელიწადი და დღე ასვლისა მუნ და სახელნი  
მათნი აღუწერიათ. მთა იგი ესრეთი მალალი ფრიად  
ჭლდიერიც არის. და მიწა მის მთისა მტკიცე. და უცხო  
მის ჩარდახისა ჩამოსწვრივ, გვერდობში, ჩარდახიდამ  
ცოტათ დაბლა, მცირე მშვენიერი ოთახები არის აღშე-  
ნებული. აღმოსავლეთის მხარეს უყურებს და ქალაქიდამაცა  
სჩანს. ვინც იქ იმ მთის მწვერვალზე ავლენ სანახავათ,  
ვისაც ნებავს, იმ ოთახებში საუზმეს, ანუ ყავას მიირთმე-  
ვენ. იქ კაცნი დგანან, ყოველივე მზა აქვსთ, რასაც  
უბრძანებთ: სასმელსა და საჭმელს მოგარზმევენ და  
ფულს უბოძებთ.

იმ ჩარდახზე ჩვენც, ვინც იქ ვიყავით ყოველთავე,  
მოვაწერეთ თვისთვისი სახელები, წელიწადი, თვე და დღე.

იმ ჩარდახის ძირს არის მცირე პირამიდი, მშვენიე-  
რის თლილის ქვისა და იისფრის მარმარილოს ფიცარზე  
ბრონძვით მშვენივრად დაწერილი სახელები ხელმწიფეთა  
როსიისათა, რომელსაც წელს ისინი ბრძანებულან და  
მათთა ფომილიათა.

იმპერატორი პეტრე პირველი, მპყრობელი როსიისა,  
ბრძანებულა წელსა 1710-სა, მეორეთ 1711-სა, მესამედ 1712 წ. ქრის-  
ტეს აქეთ წელიწადებში.

ან ნა პეტროვნა, ასული პეტრე პირველისა, რუსეთის ველიკა კნეინა და ოლოშტინის ლერცოლინია, ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1712-ს.

ველიკი კნიაზი ცესარევიჩი კონსტანტინე პავლოვიჩი და მეულლე მისი ველიკა კნეინა ან ნა ფეოდოროვნა ბრძანებულან ქრისტეს აქეთ 1789-სა.

იმპერატრიცა მარიამ ფეოდოროვნა დედა, ალექსანდრე იმპერატორისა, და მეულლე პავლე იმპერატორისა, ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1818, თავისის/ქალით, ველიკა კნეინა მარია პავლოვნათი.

ველიკა კნეინა ეკატერინა პავლოვნა ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1813-სა.

32-3 მარია პავლოვნა ველიკა კნეინა ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1813-სა, მეორეთ 1818-სა, მესამედ 1828-სა და მეოთხედ 1829-სა.

ველიკი კნიაზი მისა ილ პავლოვიჩი ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1821-სა, მეორეთ 1822-სა, მესამედ 1825-სა.

ველიკა კნეინა, მისა ძლ პავლოვიჩის მეულლე, ელენა პავლოვნა, ბრძანებულა წელსა ქრისტესით 1835-სა.

ამათი სახელნი და როდის ბრძანებულან იმ წლის რიცხვი ზემო ხსენებულს ქვაზე აწერია.

წამოვედით იქიდამ მხიარულებით. კაპლერიც ალარ ჯავრობდა, რაღანაც არა იტკინა რა და იცინოდა თავის მხედრობაზედ. ამ შექცევამ და მგზავრობამან და კარგმა ჰქერმა მომასულდგმულა. მოვედით ბინაზედ, სადგომს. საუცხოვო სადილი მოვატაინეთ. შეგექცით და ერთი ორი საათის კიდევ მოვისვენეთ და, რაღან მიგვეშურვებოდა—მარიამ ბადისა რაც ამბავი დამრჩა, მეორეთაც მოვედით მარიამბადიდამ აქადა იქ აღმიწებია) კიდევ საშინელი გზები დაგვხვდა. ვიარეთ. გამოვლეთ  $2\frac{1}{2}$  მილი, ესე იგი, ორფარასანგ ნახევარი და მოვედით ერთს მცირეს, უფრო საწყალს ქალაქში, რო-

მელსაც ეწოდების პეტს-შაუჟ. ეს ქალაქი არის...  
(დატოვებულია დაუწერავად ოთხი სიტყვის ადგილი).

მივეღით და ის ლამე მუნ ტრახტირში განვისვენეთ.  
მუნებულის წესისამებრ, ყავის ვახშამს შევექე | ცით. იმ 32-ს  
ლამეს კარგათ მოვისვენეთ. მეორეს დღეს წავეღით, დიახ,  
აღრე, ექვსს საათზედ. და დღის ათი საათი დილისა რომ  
შესრულდა, 27-ს ივნისს მივეღით მარიამბადს. დიახ,  
მზიანი და თბილი დღეც იყო. პეტს შაუდამ მარიამ-  
ბადი არის სამი მილი და ნახევარი. კვალად აგრევე  
ძნელი მთის გზები, მაგრამ ყველგან შოსეთი ქმნილი.

### მისვლა მარიამბადს

მარიამბადს ჩვენის თვის რაცხვით ოცდა შვიდს  
აკვნისს, ესე იგი თიბათვეს, მივეღით და ფრანგულის  
რაცხვით ის დღე ცხრა მკათავე იყო (ესე იგი ივლისი).  
მარიამბადს, მრავალის ხალხის სხვადასხვა აღგი-  
ლებიდამ სამჯურნალოდ მისვლის გამო, სახლი, დიახ,  
ძვირი იყო, და, მანამ სახლს ვიშოვნიდით, ჩამოვხედით  
ტრაქტირში (ესე იგი ჭუნდუქში), რომელსა ეწოდების  
ზუმვეიმარ (ესე იგი ვერმარის ფუნდუკი). ზევით  
სახლებში ძლიერ ვიშოვნეთ ოთახი. უსეთი დიდი სახლე-  
ბია, სამი ატაჟიანი, რომ აღარ შეიძლება უკეთესი. სულ  
სავსე იყო ხალხით. იმ დღეს სადილი იმ ტრახტირის  
საზოგადოს სტოლზე გიახელით. დიდი ზალა იყო, უცხოთ  
მორთული და სამს პირათ სტოლი იდგა. ას ორმოცდა  
ათს სულამდის პურის მჭამელნი იყვნეს; იმ ლამეს იმ  
ტრახტირში განვისვენეთ და მეორეს დღეს სახლი ვი-  
შოვნეთ მას ტრახტირს ახლოს აფთიაქარის (დატოვებულია  
ადგილი ერთი სიტყვისათვის) სახლი, რომლისა სახლიც ეგ-  
რევე ჭუნდუქათ იყო ქმნული. დავიჭირეთ იმ სა-  
ხლში სამი კარგი მართებული სახლი. სახლის ქირას  
მხოლოდ უაძლევდით კვირაში ექვსს ლალანდის ოქროს  
(რომელი არს ჩერვანცა, ანუ ბაჯალლუ). ამ ჭუნდუქს

33-პ

ეწოდა შვარც-აროლ (ესე იგი შავსა არწივსა, რო-  
მელიც დახატული ორთავი არწივი, შავი ალაყაფის კა-  
რებზე ექრა). ჩვენი სახლის პატრონი რომის კათოლიკე-  
თაგანი ფრანგი იყო, მუნებური და აბთიაქიც მისი იყო.  
ცოლი ესვა პატიოსანი და შვილმრავალი იყო. თითონაც  
და ცოლიც ხნიერნი იყვნენ. რადგან წვრილშვილი იყო  
ჩვენი სახლის პატრონი, ფულიც რომ ჰყვარებოდა, არ  
იყო დასაზრახი. სხვა რიგად, ყველა იმათის სახლისანი  
კარგი გულის ადამიანები იყვნენ. სასმელ-საჭმელისათვის  
მზარეული დედაკაცი ჩვენთვის ცალკე დაიჭირა ჩვენმა  
სახლის პატრონმა და იმას ახარშვინებდა. დიახ, კარგ-  
საჭმელებსა და კვირაში ოც თუმნამდისინ, სასმელს  
გარდა, საჭმელის ხარჯი გვექნდა. სიძვირე იყო ამის-  
გამო, რომ მრავალი ხალხი იყო მისული. ოთხი პთას სუ-  
ლამდის იყო ხალხი სხვადასხვა ადგილებიდამ მისული.  
მარიამბადი მცირე ყასაბა ქალაქი არის ზა ამის-  
თვის იწრობა და სიძვირე იყო.

33-8

### მდებარეობა და აღწერა მარიამბადისა

მარიამბადი მომცრო ყასაბა ქალაქი არის...  
ესე ქალაქი სდგას საშუალ შვიდთა მაღალთა ბორცვთა,  
რომელნიცა არიან სრულიად დაფარული ტყითა. მაგრამ  
ტყე მისი უმეტეს ნაძვი არს. ესე ვითარნი ნაძვნი ძვირად  
საღამე იპოვებიან, რომელნიც ძირით თვისით ვიღრე  
მწვერვალადმდე ესრეთ სწორეთ არიან ასულნი, რომელ  
განგებ, კაცს ეგონება, ხარატის ჩარხში გამოყვანილი  
არისო. არა დია ზრქელ არიან, მაგრამ საკმაოდ და დი-  
დად მშვენიერნი. ტყეთა მათ შინა თუმცა სხვანიცა ხენი  
იპოვებიან რომელსამე მხარესა, მაგრამ არა მრავალნი და  
ესე ნაძვნი ასე ხშირად არიან, რომელ რომელსამე კერ-  
ძოსა სრულად შეხვალ რა ტყესა ამას სრულად სიხშოსა  
ბნელს იხილავ სიხშირეთა მისთაგამო. პირველად კარ-  
ლის ბადის გზით როს მიბრძანდები, ეს გზა აღმო-

სავლეთის მხრით მივალს და მთის გზით ძირს უნდა  
შთახვიდე მარიამბადს. და მთის წვერიდამ ძირამ-  
დის გვერდებზე გზა ჩაღის ხვევით. რა ამ გზას დაასრუ-  
ლებ, სახლები არის მარჯვნივ და მარცხნივ. მარცხენა  
მხარეს გზიდამ ჩავა სახლები ერთ პირათ, ძირს, მცირის  
ხევის პირამდის. მარჯვენას მხარეს მთის ძირამდის  
მხოლოდ ორი სასახლეა. ის ორი სასახლე რომ დასრულ-  
დება, მთის ძირზე, გვერდობზე მოჰყვება, ერთპირათ,  
სახლები, სულ თანასწორედ აღშენებული, მაღალი, სამ  
ატაჟიანი, მშვენიერი სახლები. და წავა კარგათ გრძლათ,  
სადამდისაც ის მაღალი გორა დასრულდება. მერმე  
მოუხვევს მარჯვნივ. ეგრეთვე სახლები ესე გვარივე. პირ-  
ველი დასაწყისი ხომ, რომელიც მოგახსენე, აღმოსავ-  
ლეთის მხრიდამ იწყება, გვერდებზე, გორის ძირზე,  
გრძლათ ერთ პირათ ის სახლები და დასავლეთის მხა-  
რეს მისდევს და სადაც კუთხე აქვს იმ კუთხიდამ მოუხ-  
ვევს და სწორათვე მთის ძირამდის მივა.

წინა სახლები სამხრეთის მხარეს უყურებს. და ეს  
სახლები რომ მოუხვევს, დასავლეთის მხარეს უყურებს.  
ეს დასავლეთის მხარეს რომ სახლები უყურებს, ამას ძირს  
გვერდებში სამკურნალო წყლები არის და იმ წყლების  
ნაშენბაები და მასზედ მობმული ბაზარი იმ გვერდებზე  
მოვაკებულს ადგილსა სდგას. და ძირს დაბლობი ადგილი  
არის. სულ ამ წყაროების დასაწყისში კრეის ბრუნის  
წყარო არის. და იმის თავს, გორაზე მთას მოკრული,  
ორატაჟიანი, უცხო სასახლე სდგას, რომელიც მას სამ-  
კურნალო წყლების ექსპედიცია, ესე იგი, გასანმგებლო  
არის. მის სასახლეს ზურგი ჩრდილოთ და პირი სამხრე-  
თისაკენა აქვს და ზედ დაჰყურებს კრეის ბრუნს.  
ძირს, დაბლობში, კრეის ბრუნის დასაწყისის პირდა-  
პირ, დაიწყებს ეგრეთვე ჩრდილოეთის მხრიდამ მაღალს  
სასახლეებს, რომელსაც ზურგი დასავლეთისაკენა აქვს და  
პირი აღმოსავლეთისაკენ. და ისე გრძლათ წავა, ერთ

34-3

34-4

პირათ. მერე მობრუნდება კუთხე და გრძლათ დასავლე-  
თისაკენ გაიჭიმება სახლები ერთ პირათვე და მივა და-  
სავლეთის მხრის გორის ძირში. ჭირი ამ სახლებს სამხრე-  
თის მხარესა აქვს. ამ სახლების რიცხვში არის არქიერის  
სახლებიცა, ომელიც არქიერი ომთ ფრანგი სარწმუ-  
ნოებისა არის, და მარიაშბადს ახლოს ჩეპლის  
მონასტერში ზის. ეს სახლები ომ დასრულდება, კიდევ  
კუთხეს გააკეთებს და გრძლათ წამოვა, გორის ძირზე,  
ჩრდილოეთის მხრიდამ სამხრეთზე, სწორეთ ერთპირათ,  
ოთხი თუ ხუთი სასახლე არის. პირი აღმოსავლეთისაკენა  
აქვსთ. ერთი სასახლე ომ-დასრულდება, მეორე სახლი  
ბავარიის კოროლის სახლი არის, ორატაჟიანი, დიახ,  
უცხო. მესამე სახლი: ფოჩიის სახლი არის, დიახ, მაღა-  
ლი და დიდი, სამატაჟიანი. ერთი ორი სახლიც ამის

95-3 მწყრივზე არის და გათავდება. | წინ, ამ დაბლობს აღგილ-  
ში, მწვანიანი ადგილია. წვრილი მთის წყლები, მცირე  
ხევი, ორზ ხიდი, ადგილ-ადგილ ყვავილისა და ვარდის  
ბალები, ბუჩქები განგებ გაკეთებული და წვრილი თალა-  
რები, ესე იგი, ბესეტკები. ამ ხევის დასასრულზე გზები  
შემოვა: პრაგიდამ მომავალი და მეორე ეგირიდამ  
მომავალი. სრულად მარიამბადი სამოცი დიდი სასახლე  
არის, ერთი მეორეზე უკეთესი. და ასეთი მშვენიერი რამ.  
ერთ ცუდს, ძველს და ხისას და უბრალოს სახლს ვერა  
ნახავ. გარედამ ყოველ წელს ლებენ. მაგრის ქვიტკირის  
სახლები არის. შიგნიდამ თეთრად გალესილი კირითვე  
და მშვენიერათ დახატული. ეს შეიდი მთა ბორცვნი  
გრგვალადა აქვს შემოხვეულნი. მარიაშბადს თავს,  
მალლა, წმინდა არიან და დასასრულში. ხალხისაგან იმღვ-  
რევა. ამ მარიაშბადს სახლებს ორპირი ჭუჩა არც-  
ერთი არა აქვს. და სახლებს წინ გვერდობზედ მოსწო-  
რებული გზა აქვს, ქვევითათ სავლელი, სულ ქვეით და-

ფენილი, კედელს გაჰყვება და იმას აქეთ კალასკით შემო-  
სავალი საუცხოვო გზა. გზის პირებზე ბესეტკები, საყვა-  
ვილო, გრგვალი წვრილი ბალები | და აუზები, გრგვალი 35-ზ  
თლილის ქვისა, რომელსა შინაც რომ ამოდის შადრევნით,  
დიახ, წმიდა სასმელი წყლები. გზის პირებზე: ვარდები,  
ყვავილები და ბუჩქები გაკეთებული. ამ გვერდობზე მო-  
შანდაკებული სწორე ადგილები არის. ზედ ხეები დგას  
წაბლისა და ცაცხვისა; მშვენიერები, არა ეგრე დიღნი.  
და ქვეშ მათსა გრძელი, დასასხდომელი სკამები უდგას.  
მოსიარულენი მათს ჩრდილის ქვეშ დასხდებიან. გარშამო  
მწვანეები, ყვავილები და გორის პირზე ბუჩქები და  
ვარდები აქვსთ გარიგებული.

### სამკურნალო წყალნი

პირველი სამკურნალო და მოწონებული, სხვათა  
წყალთა ზედა უალრესი და უკეთესი და დიდად მარგე-  
ბელი კრეის-ბრუნი არის. საღაც ესე სდის, გორის  
ძირში, ცოტა წინ, ის გორა ჩრდილოეთის მხარისა არის  
და სამხრეთით პირი აქვს. ამ წყაროს ზევით, გორის  
გვერდობზე ექსპედიციის სახლი არის, რომელიც ზემორე  
მოვიხსენეთ.

კრეის ბრუნ (გერმანულად ჯვარისწყაროსა ნიშ-  
ნავს). ამ წყაროს ქვიტკირით ნაშენი ტალანი ადგას ზედა,  
გარეშემო სულ წინ და გვერდებზე, ორპირათ, დიდრო-  
ვანის სვეტებით ნაშენი. ეს ტალანი თოხუუთხე არის,  
მაგრამ მოგრძეთ ნაშენი, სამხრეთის მხრიდამ ამ წყალზედ  
რომ მიბრძანდებით, რაოდენიც სიგანე აქვს იმ ტალანსა,  
იმ სიგანეზედ ერთიანი თლილის | ქვის კიბე აქვს გაკეთე-  
ბული; რვა ანუ ცხრა ფერხი ავა და ტალანში შებრძან-  
დებით. წინ და გვერდზე, ორსავ მხარეს, ორპირათ სვე-  
ტები აქვს. ძირს-განიერი გასავლელები მოკირწყლული  
ქვითა და ჭერი დაფარებული. სამსავ მხარეს შუაზედ  
გრძლად ჭერი ახდილი აქვს. და ძირს მწვანეა და ყვავი-

ლები არის მრავალი დარგული. და ამ ტალანის საშუალები არის მრავალი დასასრულში, შუაზედ წყარო არის კრეიის-ზე, თავის დასასრულში, შუაზედ წყარო არის კრეიის-ბრუნისა. გრგვალად სვეტები, ახვევია გარეშამო და ზევიდამ იმ სვეტებზედ დიდი გუმბათი ადგას, სწორეთ საყდრის გუმბათის მსგავსი და ზედ ბრონძვისა დიდი ჯვარი აქვს, ყვითლათ ოქროთ დაფერილი, დადგმული. გუმბათის საშუალის წერტილის ჩამოსწვრივ არის გუმბათის საშუალის წყალი, ჯურლმულის სახედ, ანუ კოდისა. არა დია ღრმა, მაგრამ ხელით კი ვერ ჩასწვდება კაცი, რომ წყალი ამოიღოს. რვა კუთხედ არის ამოყვანილი ეს კოდი ნახევრობამდის, დიახ, წმინდის ფიცრით. და ნახევრის ზევით თლილის ქვით მაღლამდის ამოტანილი. და პირები გარდმოქმნილი აქვს ლამაზათ. და ერთს ადგილზედ იატაკზე მაღლათ არის. ამ წყალს გარეშემო რომ სვეტები აქვს გრგვალად მოხვეული, ამ სვეტებსა და სვეტებს შუა რკინის მოაჯირები აქვს მრგვლივ. და ორის მხრიდამ შესავალი | აქვს. ამ რკინის მოაჯირებს სულ მორიგებული გრძელი ხის სტოლები აქვს. და ამ სტოლებზე მოსხმული გრგვალად მოგრძედ გათლილი სტაქნის ჩამოსაცმელი ხეები ურჭვია. და ყოველს მას ხეზე სტაქნებია ჩამოცმული, სულ ძვირფასი, თლილი ბროლის ფერად-ფერადი სტაქნები, წყალის მსმელთა-თვის. ვინც იქ წყალს მიიღებენ, იმათთვის წყალის ამომლებნი ორნი ახალგაზრდა ქალები თორმეტ-ცამეტი წლისანი არიან, საობლოდამ მოყვანილნი და ისინი იღებენ წყალსა. გრგვალი, გრძელი, თითოს შუბის სიგრძე, ჯოხები აქვსთ თავზედ. იმ ჯოხებზედ, ერთი აქეთ და მეორე იქით, ორი სტაქნის ჩასაღვმელი აქვსთ, წმინდის თუნჯისაგან გაკეთებული, ლამაზათ, დაფანჯრულად. წყალის მსმელნი ჩაუდგმენ, ერთი აქეთ, მეორე იქით, სტაქნებს, ზევიდამ შუაზე მოგრძო რკინა აქვს, სტაქნი რომ ჩაიღგმის, იმ რკინას გაუკეთებს რაზით, რომ წყალის ამოლებაში სტაქნი არ ამოვარდეს. დიახ, მსწრაფლის მოქმე-

დებით ჩაჰერავს ეს ახალგაზრდა ქალი წყალში. დიახ, მარჯვეთ ამოილებს, ორისავ ხელით მაღლად უჭირავს ეს ჯოხის ტარი, რომლისაც სტაქანი არის, ამოილებს ის დალევს. ახლა სხვა ჩაუდგამს. ასე მსწრაფლად იღებენ ის ქალები წყალსა, რომ გაუკვირ | დება მნახველს. და წყალთა მსმელთა სიმრავლე რიგი მოდის, სვამს, წავა სასიარულოდ და სხვა მოვა. წინახსენებულს ამ კრეის-ბრუნის ტალანსა ასავალის კიბეს, ზემოთ სვეტთა საშუალ ალაგს, მომართული დიდი ზარის საათი აქვს. ამ კიბის მხარე სამხრეთის მხარეს უყურებს. და კიბიდამ რომ ძირს ჩამობრძანდებით, კარგათ განიერი ადგილი, დიახ, უცხოთ მოშანდაკებული და გაწმენდილი, მაგარი ადგილი როგორც გალესილი იყოს სწორეთ ისე არის გაკეთებული. ამ კიბეს რომ ჩამობრძანდებით, მარჯვნივ თლილის ქვით აყვანილი აუზი, მცირე გრგვლად გაკეთებული მარმარილოსაგან ყომრალისა. და საშუალს ალაგს გაკეთებული წყლის ამოსადენელი და ორს ტოტად წყალი სდის ბრონძის გაკეთებულის სადინელებიდამ. ასეთი წყარო არის სანიადაგო სასმელი, რომ სამკურნალო წყალი ამას-თან რაღა გამოჩნდება. მაინც ზოგად მარიამბად ში ყოველს სახლში არის წყაროები: ზოგგან ხის ღარებით, ზოგგან მილებით მთიდამ ჩამოტანილი. ისეთი წყლები არის სანიადაგო სასმელი, რომ უკეთესი გემრიელი, შემრგვა და წმინდა წყალი თუ არ საქართველოში, სხვა-გან არსად მინახავს. და ასეთი სასმელი არის, რომ პური ჭამოს კაცმა ერთს საათს | შემდგომად კიდევ შიან. კრეის ბრუნის კიბიდამ რომ ჩამოხვალ, იქიდამ დაწ-ყებული-მარცხენას მხარეს სულ სახლები არის, გორას ძირში, გრძლად შენებულნი. და ერთი ასეთი დიდი ზალბ არის, რომ ასი ნაბიჯი სიგრძე აქვს და თხუთმეტი ნაბიჯი სიგანე. მშვენიერად გაკეთებული, მღივნებით, სარკეებით და ხომლებით მორთული. შიგნიდამ მშვენიერად დახა-ტული და გალესილი პოლი (ესე იგი იატაკი) სულ კარ-

37-3

37-4

გის ხისაგან ჩაწყობილი და ილესება, როგორც პოლის  
გაწმენდის რიგია სამთლით. როდესაც წვიმთანი დღე  
არის, ამ ზალაში დადის ხალხი წყალის მსმელნი, თუ  
დარია და—გარეთ. ამ ზალას გრძლათ მიებმის მრავალი  
დუქნები და რაც სავაჭრო ბრძანოთ, ყოველიფერი იქ  
იპოება. ზაფხულში, წყალის სმის დროს, სხვას ქალაქე-  
ბიდამ მოვლენ ვაჭარნი. რაც კარგი და საუკეთესო  
სავაჭრო არის მოიტანენ და განავაჭრებენ. ბაზარი რომ  
დასრულდება, იქ მომცრო სიონური რომის კათოლიკების  
საყდარი არის; მაღლა გვერდობში დგას და საათიცა  
აქვს ზარისა ამ საყდარსა. ამ საყდარს ქვემოთ, იქავ ახ-  
ლო, კიდევ ერთი სამკურნალო წყალი არის სახელიდ  
კოროლევსბრუნ | ჰევიან. გრგვლათ ზედ ქულაი-  
ფრანგი ქვითკირისა, გარეშემო გრგვალად სვეტებით და  
ზევიოგან კი დაფარებული ცადაქნილი, გრგვალად. და  
შუაზედ, როგორც კრეისბრუნს, ისე ამასა აქვს  
წყლის კოდი, გაკეთებული მასვე სახით. და წყლის ამომ-  
ლები აგრევე ქალი ჰყავს განწესებული ახალგაზრდა. აქე-  
დამ უფრო ცოტანი სმენ. ეს წყლები: კრეისბრუნი-  
საც და ამისიც, დიახ, წმიდა წყლები არის. და ამ ჯურ-  
ლმულებში ერთის მხრიდამ გამოდის და მეორეს მხრი-  
დამ გადის. მშვენიერად და ფაქიზათ არიან დაცულნი.  
კრეისბრუნიდამ მოკიდებული ამ კოროლევას-  
ბრუნამდის, მარჯვენას მხარეს, კრეისბრუნის  
ჩამოსავალის კიბის ბოლოდამ მოჰყვება და სულ ხეები  
არის ჩამორიგებული. ამ სახლებსა და ბაზარს პირდაპირ,  
სწორეთ ხევის პირზედ, სხვადასხვა და მშვენიერნი ხენი  
არიან. ეგრეთვე ბუჩქები, ვარდები და ყვავილები შიგა  
და შიგ. და იმ გვერდობზედ, ხეებს იქით, სულ მწვანე  
გვერდობი, გზები საქვევითო ამოსავალი, ლამაზათ გაკე-  
თებული და ადგილ ადგილ ბუჩქები, ვარდი და ყვავი-  
ლები. ამ კოროლევასბრუნს იქით, ხევისაკენ,  
დაბლობს ალაგში, გადასწვრივ კიდევ ერთი სამკურნალო

38-3

წყალი არის, რომელსა ეწოდების ამ ბროს იებრუნი. იმავე სახით, ჩროგორც კოროლევა სებრუნი არის 38-ზე გაკეთებული. ქულაიფრანგით და ყოველისავე მოწყობილობით, იმ სახედ არის ამბროსიებრუნიც საკურნებელი წყალი. ამ წყალს ახლოს მცირე რამ ხევი და წყალი მოდის მაღლის გორაების ძირში. აღმოსავლეთიდამ დასავლეთზედ მომდინარეობს. გარშემო ბუქენარნი და ხენი ჩასდევს. ამას გალმა, მაღალს გვერდობზე, დიდი ჯვარი არის აღმართული და ზედ სახე მშვენიერად გამოხატული უფლისა ჩვენისა. და ყოველს ღამეს ღამპს უნთებენ (ესე იგი ზეთით სანთებელს). ამ ხევის პირზე გამოვაკებულს ალაგს არის სასახლე ერთატაუიანი, დიახ, ღამაზათ ნაშენი. მას ამ ბროს იებადის წყალის ახლოს, ამ სახლებში დიდი ზალა არის. ვინც ჩინებული გვამნი იქმნებიან იქ მისულნი წყალის სასმელათ, ზოგჯერ ისინი და ზოგჯერ მუნებურნი მცხოვრებნი იქ ბალს და შეყრილობას დღესასწაულს დღეებში გააკეთებენ. ამ სასახლეს ეწოდება ბადჰაუზენ. რამდენიმე სახლია. ზალა დიდი კარგათ მორთული. ამ სახლებს ზურგი ხევისაკენ აქვს და პირი ჩრდილოეთის მხარეს. ამავე სახლებში აბანოებიც არის, თითო აუზიანი, რამდენიმე სათბობი. მაგრამ წყალი ამისი კი მუავე რკინის წყალია, დიდად მარგებელი. ამ სასახლის გასწვრივ არის კიდევ, მასვე ხევის პირზე მოშორვებით, გრძლად გაჭიმული, წვრილის ახლები, ერთატაუიანები. ზოგი სხვადასხვა პროვიზიას პყიდიან, ზოგი აბანოებათ არის, ამასაც ზურგი ხევისაკენა აქვს და პირი ჩრდილოეთისაკენ. ამ სახლების დასასრულში სხვა სახლები მოებმის, რომელიც მის სახლების დასასრულის კუთხიდამ გრძლად გაწეული არის, ხევის პირიდამ მაღლალს გვერდობადმდე. პირი ამ სახლებს დასავლეთის მხარესა აქვს, ზურგი აღმოსავლეთისაკენა. ეს წვრილი, გრძლად აშენებული სახლები სულ აბანოები არის ორპირის. შიგნიდამ კარიდორი აქვს, გზა ზევიდამ, კერით დაფა-

რებული- და ორსავ მხარეს აბანოებია, მრავალი ორი  
წერილი ოთახი, თითოს კაცისათვის. ერთში ტანისამოსს  
გაიხდის, კანაფა დგას და სარკე კედლისა, და მეორეში  
აუზი მშენიერი, სრულად ტყვიისა, რომ ვერცხლსა გავს;  
დიახ, წმიდა და კარგი. გრადუსს მოიტანენ მეაბანოენი  
(თერმომეტრს) და რამდენსაც გრადუსზედ, ვის როგორც  
ნებავს, რომ თბილი იყოს წყალი, იმაზედ დააყენებენ; და  
ისე ჩაჯდება ნახევარს საათს ანუ სამ მეოთხედს საათსა  
და ზოგნი უფრო მეტსა, როგორც რგებას შეატყობს. ეს  
რკინის წყალი ფრიად მარგებელი არის და ნერვებს გაი-  
მაგრებს. ამ აბანოს შიგნით ეზო აქვს. და ამ ეზოში შიგ-  
ნით ღიღი ამბარი არის გაკეთებული. ზევიღამ ყავრული  
ხურავს ფიცრისა. და იმაში ამოდის ეს რკინის წყალი,  
ამოდულს მიწიდამ. და ერთი მცირის ტბის ოდენი დგას  
წყალი წმინდა. და იქიდამ არის შემოტანილი წყლები ამ  
აბანოებში.. ეს აბანოები რომ დასრულდება, მერმე ამას  
სახლები მოებმის, ვიღრე კარლის ბაღის მოსავალს  
გზადმდე. სწორეთ ზედ გვერდზედ არის სახლები შეშე-  
ნებული. და წინ განიერი გზა თლილის ქვისა ავა სულ  
ზევით დასასრულამდის.

ბაღჲაუზენის სასახლეს ახლოს პატარა წყალი  
რომ ჩამოდის, აბანოს წყლებიც იმაში ერევა. იმაზედ  
პატარა ხიდი ძევს. იმას რომ გაბრძანდებით, საქვევითოს  
გზას შეუდგებით. იქიდამ იმ მთის გვერდობზე წავა ეს გზა.  
გაივლის იქ საცა ჯვარი არის ამართული. იქიდამ წავა გზა  
მთის გვერდობ-გვერდობ, სამხრეთის მხარეს მოუხვევს  
და სწორეთ წავა და მარიამბაღს გავა, პრაგის  
გზისაკენ. ამ გვერდობის გზაზე სულ ყვავილები, ფარდე-  
ბი, ლამაზი ბუჩქები და აღგილ-აღგილ ხეებიცა დგას სხვა-  
დასხვა. სამს ვერსს ასე გვერდობის გზით რომ განვლის,  
ჩაივაკებს და იქ ერთი კარგათ მაღალი სასახლე დგას.  
სიგრძე აღმოსავლეთსა და დასავლეთზედა აქვს, ზურგი  
მარიამბაღის მხარეს, პირი და მისავალი სამხრეთის

მხრიდამა აქვს. თავსა და ბოლოს სახლები აქვს. შუაზე-  
გრგვალის სვეტებით დიდი აივანი გაკეთებული, კი-  
ბეები | თლილის ქვისა, ასავალი. ამ აივანს შუაზე, ჩრდი-  
ლოეთის მხრის კედელთან, გრგვალი სვეტებით მაღალი  
ქულაიფრანგი აქვს, გრგვლათ ცადაქნილი. და იმაში,  
შუაზედ, სამკურნალო რკინის წყალი არის მუავე. ჯურლ-  
მულნი ამასაც სწორეთ ამ სახეთა აქვს გაკეთებული,  
როგორადც კრეიის ბრუნისა და სხვათ მარიამ-  
ბადის წყლებსა. ეს წყალი ნერვებს გაამაგრებს, მაგ-  
რამ, დიახ, ცხარი არის. პირველათ კრეიის-ბრუნის  
წყალი უნდა სვას და მერმე, ვისაც ნერვები სუსტი აქვს,  
ამას დაუწყებს სმას. ამ აივანში ხალხის დასასხდომლები  
დივნები, სკამები და წინ დასადგმელი სტოლები მრავალი  
აწყვია. ამ აივანს დასავლეთის მხარეს ზალა აქვს დიდი,  
დიახ, მშვენიერად მორთული, უცხოს იატაკით, პურის  
საჭმელი, შესაქცევი და სათამაშო. მარცხენეს მხარეს  
აღმოსავლეთისაკენ ყავის მოსაღულებელი სამზარეულო  
და კერძობათ დასადგომი სახლები არის იმავე ზომა-  
ზედ. თავსა და ბოლოს სახლების პლანი ერთ ზომას  
იყრობს, ოღონც შინაგან სახლნი ერთ მხარეს კეთილ-  
შობილთა შესაკრებელი არის და მეორე სამზარეულო და  
მოსამსახურეთა. წყალის მსმელნი დილაზედ წყალის სმას  
რომ გაათავებენ, კარგს დარებში, მრავალნი წავლენ იქა,  
ყავას მიირთმევენ, ვისაც ნებავს სადილს. ეგრეთვე საღა-  
მოს ჟამს მოვლენ, ყავას მიირთმევენ, გარეშამო ივლიან.  
ყვავილების ბალები არის, უცხო ვაკე ადგილი, მწვანე,  
ჯაგნარნი. წყლები ჩაუდის. ახლო სოფლები აქვს და გაშ-  
ლილი ადგილი არის. იქიდამ კიდევ ვისაც ნებავს სხვას  
მახლობელს სოფლებში და საზაფხულოს უცხოს სანახავს  
ადგილებში წავა და შეექცევა. ამ სამკურნალოს წყალს  
ეწოდება ფერდინანდ-ბრუნ.

მარიამბადში კრეიის ბრუნს ზემოთ ტყე-  
ში შევა ვაკეთ. იქ ძლიან დახშული ტყე არის. და მთებს

საშუალ ჩრდილოეთის მხრიდამ ხევი მოდის მცირე; ზე-  
ვით, დიახ, წმიდათ მოდის. და ეს ხევი მარიამბადის  
დასავლეთის მხარის მთების გვერდზე ძირს მოდის,  
პრაგის გზისაკენ მიღის. ამ ტყეში რომ შეხვალ და ამ  
წყალს აჰყვები იქ, გაღმით, მთის ძირში, კიდევ ერთი  
ახალი ნაპოვნი, მას ჯერ ქვიტკირი არა აქვს ზესაფარე-  
ბელი, უბრალოს ხეებით სვეტებსავით გრგვლათ აქვს  
გაკეთებული და ხით ამოყვანილი კოდი, რომელშიაც  
წყალი არის სამკურნალო და ზევიდამ ჩალით არის და-  
ფარებული. ხალხიც ჯერ არა სმევს მას წყალს.

ამ მარიამბად ს რომ გარეშემო ნაძვიანი მთე-  
ბი არტყია, დასავლეთის მხარეს, მთის მწვერვალთან  
მონადირეთ სახლი. არის გაკეთებული, ქვიტკირის.  
ჩრდილოეთის მთის მაღალ ასასვლელს, სულ თავს,  
ბესეტკა (ესე იგი ქულაიფრანგი) არის გაკეთებული.  
ივლისის 2 (14) ვიყავ. აველ იქა. დიდი მაღალი და სრუ-  
ლად ნაძვის ტყით | შემოსილი მთა არის. და ის ბესეტკა  
ხისა არის შელებილი. შიგ ოთხსავ კუთხივ ხის სასხდომ-  
ლები არის გაკეთებული. გვერდებზე სკეტები აქვს. კედ-  
ლები არა აქვს, ოთხკუთხა. იქიდამ მარიამბადის  
რომელნიმე ადგილები საჩანს. იმ ადგილსა ეწოდება  
რანსენბერგ. და სრულად მარიამბადის გარე-  
შემო, მრავალს ადგილას, გვერდებში, მთის მწვერვა-  
ლებზე და შესაქცევს გორაებზე არის დასასხდომელი  
ადგილები და ბესეტკები გაკეთებულები. რანსენ-  
ბერგის ბესეტკაზე ვინც ავა, თავის სახელს მიაწერს.  
და ჩვენც მივაწერეთ: დრო იქ ყოფნისა ჩვენისა, რიცხვი  
წლისა, თვისა და სახელნი ჩვენნი.

### სამკურნალო წყალთა მიღებისათვის

სამკურნალოს წყალის მიმღებთა თანა აძსთ, რათა  
დილაზედ ადრე მეექვსეს საათზედ ადგეს, პირი დაიბა-  
ნოს, ტანთ ჩაიცვას, წავიდეს წყარო სამკურნალო საღაც-

არის, რომ ექვს სრულზედ იქიყოს, მოჰყვეს სმას აშგვარად:  
პირველად რას წამს მივა უზმომ ერთი სტაქანი უნდა  
დალიოს, სტაქანი კარგათ მოდიდო უნდა იყოს, რომ  
წყალმა კარგათ გასჭრას. ვინც ჩინებულთ გვამთაგანნი  
ბრძანდებიან იგინი მიბრძანდებიან, თან მოსამსახურე  
ახლავსთ, სტაქანი უჭირავს მშვენიერი ბროლისა, გათ-  
ლილი, ფოდნოზზე ხელსახოცი აქვს სპეტაკი გარდაფა-  
რებული. | იქ წყაროსთან სდგას, როდისაც მივა ბატონი

41-ზ

წყლის მისართმევათ სიმსწრაფლით ეს ლაქეი თვისი (ესე  
იგი შოსამსახურე) მივა, შთაუდგამს სტაქანს ამომლებელსა  
წყლისასა, ამოაღებინებს წყალსა, დასდგამს ფოდნოზზე  
და მოართმევს. დიახ, საჩქაროს მოქმედებით იქმნება ეს  
წყალის მორთმევა და წყალის დამლევიც თვით იქვე,  
მის სამკურნალოს წყალის პირთან, იღება, მიირთმევს  
ერთს სრულს სტაქანს, გამობრუნდება, წამოვა და ივლის  
ქვევით ათს ან თხუთმეტს მინუტს. მერმე მივა კიდევ  
წყალზე, მეორეთ დალევს, გამობრუნდება და ივლის  
ეგეოდენსავე დროს. ამ სახით სვამს და ქვევითათ დასეირ-  
ნობს დილის ექვსის საათიდამ ვიდრე ცხრას საათის  
შესრულებამდის. ეგეოდენი სტაქანი უნდა მიიღოს, რაო-  
დენსაც სტაქანს იმისი ბუნება შეიწყნარებს. ნაკლები  
რომ მოუვიდეს ისიც აწყენს და მეტიც არ ვარგა. მე  
თვით დღეში მხოლოდ ექვსს სტაქანს მივიღებდი, მეტი  
ვერ შეეძლ, ამისათვის სტომაქი დასუსტებული მქონდა,  
გამხდარი ვიყავ და ჯერ სრულად განთავისუფლებული  
არ ვიყავ ავადმყოფობასა. ამისთვის ვსცადე კიდეც, მაგ-  
რამ ჩემმა-აგებულებამ მეტი ველარ | შეიძლო. სხვანი შრა-  
ვალნი ათს დიდრონს სტაქნებს, თორმეტს და ზოგნი  
თოთხმეტსაც სვამდენ დღეში. როგორც დილით ექვს  
საათზე მოჰყვებოდნენ სმასა და ცხრა საათზედ გაათავებ-  
დნენ ეგრეთვე საღამოთი ექვს საათზე კიდევ მოჰყვებოდ-  
ნენ და ცხრა საათამდის სვამდენ. მაგრამ მე კი მარტო  
დილით მივიღებდი. როდისაც დილით ცხრას საათზედ

42-პ

6. თეიმურაზ ბატონიშვილი

81

მორჩებიან წყალის სმასა, ყოველი კაცი თვის სადგომს  
წამოვა, ყავის მიირთმევენ. მაგრამ ყავა მაგარი არ უნდა  
იყოს, თორემ აწყენს, მსუბუქი და თხელი, წმიდათ მოდუ-  
ლებული და აუმღვრეველი ყავა უნდა, კარგის შაქრითა.  
ზოგნი ყავის მაგიერათ კაკავასა სმენ. კაკავა ჭრის ქერქი  
დაუნაყველის ჩუქულათისა. იმას დაწვენ უგულოთ, მხო-  
ლოდ ქერქს ჩუქულათისას ისე როგორც რომ ყავა დაიწ-  
ვის, დანაყენ და მოადულებენ ყავისავით. დიახ, კარგი  
სასმელზე არის და ამ წყალზე ყავისაგან ეს უფრო არგებს.  
როცა ნებავს რძით მიირთოს ახლითა, სლივკა (აშიაზე  
მარჯვნივ: არ ვარგა), სლივკა ის არის რომ ოდეს მოხდიან  
ნალებსავით იქნება ზრქელი. მერმე შინ მოსვენებით

- 42-ზ იქნება. მაგრამ დღე ძილი, დიახ, აწყენს არ | უნდა დაი-  
ძინოს. პირველს საათზედ, ერთს რომ დაჰკრავს, მაშინვე  
სადილათ უნდა დასჯდეს. კარგი და მსუბუქი საჭმელები  
კარგათ შეზავებული და მწვადი მურაბით მიირთვას,  
მაგრამ არც საჭმელი მლაშე და მუავე უნდა და არც მუ-  
რაბა მუავე, ანუ მაგარი და ფიცხი საჭმელი არ ეჭმება.  
ხილსაც უნდა ერიდოს. ღვინო წითელი და არაყი სულ  
არ დაელევა. და თუ თეთრს ღვინოს მიირთმევს სადი-  
ლათ, დიახ, მცირე და წყალით უნდა მიირთოს, თორემ  
დიდად აწყენს. სულ მხიარულად უნდა იყოს. ზეთიანი  
რამ არა ეჭმება რა და მძიმე და მეტი მსუქანი. სადილს  
უკან ისე მოსვენებით უნდა სჯდეს, ანუ, იაროს სახლში.  
წერა და კითხვაც ბევრი არ ვარგა. უფრო მხიარულებით  
უნდა გაატაროს. დრო ვიდრე ფიქრით. სამხრობის დროს  
გამოვიდეს და იაროს ნელა, დაულალავათ, ქვევითათ,  
ანუ ცხენით, ანუ კალასკით. ცხრა საათზე შინ უნდა მი-  
ვიდეს და თუ ნებავს ვახშამი, დიახ, მცირედ უნდა  
მიირთვას ბულიონი და შემწვარი რამ. და ათი რომ  
დაჰკრას საათმა უეჭველად ქვეშაგებში | უნდა იწვეს და  
მოისვენოს ვიდრე დილის მეექვსეს საათამდე. თუ ცო-  
ლიანი კაცი იყოს, ვიდრემდის წყალსა სვამს თავის მეუ-

ლლესაც არ უნდა შეეხოს, აწყენს. დღეში ან ორ დღეში ერთხელ უნდა იბანოს სამკურნალოს წყალში. იბანოს ნახევარ საათს, ან უფრო ნაკლებ. თბილის სამკურნალოს წყალში იბანოს. განაგრძოს წყალის სმა ორმოცს დღეში. დიახ, კეთილი არის და თუ ასე ფრთხილად მოიქცევა სასმელს საჭმელში, სიარულში, ძილსა და ლვიძილში, დიდად არგებს და სრულიად გაახალისებს კაცს. ყოველს სნეულებას ჰქონებას. არც ძალიან უნდა ცივათ შეინახოს თავი, რომ არ გაცივდეს და არც უნდა ძალიან ჩაიცხონოს, ასე რომ ოფლიანი ტანი არა ჰქონდეს, რომ არ გაცივდეს და ლვთით განთავისუფლდება.

მე მოვყევ წყალის სმას წ. 1836-სა.

ჩ. ივნისის 28-სა

ჭ. ივლისის 10-სა დილაზედ ადრე ალვსდექ ეჭვს

საათზედ. ჩაველ კრეიის ბრუნზედ. ვნახე მრავალი სიმრავლე წყალის მსმელთა მუნ მისრული. ვიწყევ სახელითა ლვთისათა სმა წესისამებრ და სიარული როგორათაც ზემორე მოგითხარით. პირველს დღეს სამი სტაქანი მხოლოდ მივიღევ, მეორეს დღეს ოთხი, მესამეს დღეს ხუთი, მეოთხეს ექვსი და დავაყენე ექვს სტაქანზე. თუ ოდესმე შვიდს დავლევდი და ან რეას, დიახ, შევატყობდი, რომ არ მარგებდა და მომშლიდა. არც რიგზე იმუშავებდა წყალი. და როდესაც ექვსს სტაქანს გიახლებოდი, დიახ, მოუხდებოდა ჩემს სტომაქს და მეტს არ იმუშავებდა და რიგიანად მოვინელებდი წყალსა, ამისათვის აღარ მოვუმატე.

43-ს

მარადის დილაზე განწესებულნი არიან მემუსიკენი. მანამ ხალხი შეიყრება, მივლენ მეექვსის უაათისა ნახევარზედ. კრეიის ბრუნის კიბის ჩამოსწვრივ, მაღლობის პირზე, ხეები დგას მშვენიერი. იქ დასხდებიან. დასასხდომლები აქვთ მომზადებული. წინ დასადგმელი სტოლები და ნოტების დასაწყობი საწიგნის სახედ ქმნილნი წინ უდგასთ. მოჰყვებიან მუზიკის კვრასა სხვადასხვა საკ-

რავებით, რომ ყური უამესს ვეღარას გაიგონებს და  
ცხრას საათის შესრულებადმდე გაუწყვეტლად მუზიკა  
იკვრის, რომ წყალის მსმელნი მხიარულებით სმენ და  
სიარულს ხალისობენ. ეგრეთვე საღამოს ექვსის საათიდამ  
ცხრის შესრულებადმდე იკვრის. და თუ წვიმიანი დღეები  
იქნება, მუზიკანტნი, დიდ ზალას შიგნით ოთახი არის  
საუცხოვო, იქ დასხდებიან, უკვრენ. და ხალხი ამ დიდს  
ზალაში დადიან, სეირნობენ და ესმისთ მშვე | ნიერი მუ-  
ზიკის კვრა. მრავალნი პატიოსანნი გვამნი დიდებულთ  
კოროლების სახლისგან იყვნენ იმ წელიწადს მარიამ-  
ბადს მისრულნი:

1. თვით ბავარიის კოროლევა ტერეზია შარ-  
ლოტა ლუიზა, რომელიცა არს პრინცესა საკსო-  
ნია-ალტენბერლისა და ძე ბავარიის კოროლის.  
ამ კოროლევას შვილი, კოროლი ოტერნ პირველი  
საბერძნეთის მეფობის განახლებისა პირველი მეფე, თვი-  
სითა მცირედითა კერძობითა სუბათ მობრძანებულ იყვნეს.  
ეს ბავარიის კოროლევა არის მეულლე კოროლის ლუდ-  
ვიკისა;

2. პრუსიის კოროლის მესამის ფრიდერიკო-  
სის მეორე შვილი პრინც ვილელმ, თავისის მეულ-  
ლით, პრინცესა ალექსანდრინათი ბრძანდებოდნენ  
იქა. ეს პრინცესა ალექსანდრინა არის ასული ველი-  
კა კნეინა მარია პავლონას შვილი, როსიის იმპე-  
რატორის ნიკოლოზისა და ალექსანდრეს ლვიძ-  
ლი და; საქსონეეიმარის დიდის ლერცოლის ასული.  
ესენიც ბერლინიდამ სუბათ მობრძანებულ იყვნენ;

3. კოროლი ბერძენთა ოტერნ ბავარიაში საბერ-  
ძნეთიდამ თავის დედმამის სანახავათ მობრძანებულიყო  
და ზაფხულით აქ წყალზე თავის დედას წამოეყვანა.

და სხვანი მრავალნი ჩინებულთა გვარისანი იყვნეს  
უამსა მას მუნ მისრულნი, პრინცნი, გინა თავადთა და  
აზნაურთა და ვაჭართაგანნი, ქალნი და ქაცნი.

რაოდენმამე დღემ განვლო მარიამბალს ჩეენის 44-ზ.

შისელიდგან და მოვიდა მეგობარი ჩემი ბარონ შილინგ.

იგიცა მოსრულ იყო მუნ მცირეს ხნით და მუნ ეცნა ჩემი იქ ყოფნა. მოვიდა ჩემთან ფრიად მოხარული ნახვისათვის ჩემისა. და შორის სხვათა და სხვათა საუბართა მაცნობა მან მუნ ყოფა ბავარიის კოროლევასი და ძისა მისისა ბერძენთა კოროლისა ოტტონ პირველისა და მირჩივა მან ნახვად მათი. რადგანაც მეფის შვილი ბრძანდებით, საქართველოს მეფენი ევროპისა შინა სახელგანთქმულნი ბრძანდებიან და მოვალეობა გაქვსთ, რადგანაც ამისთანას ადგილს შეხვდით, რომ მიბრძანდეთ და ნახოთ. და მე მიუგე: მე არვინა მყავს, რომ იმათვანისა ვისიმე მცნობი იყოს, რომ პირველად სცნან მათ ვინა ვარ და მით გამოუილაპარაკო იგინი, ვინაიდგან დიდის სურვილითა მწარს მათი გაცნობა მეთქი; და თუ თქვენ გაირჯებით ჩემთვის და შეატყობინებთ, როგორც რიგი არის, დიახ, მაღლობელი ვიქმნები მეთქი. მან მიპასუხა: მე მოვალეობა მაქვსო დიდად, რადგანაც დიდი ხნის მცნობი ვახლავარ და თქვენი კეთილი გული ჩემთვის დაუვიწყარი არისო; და მე მივალ თქვენ მაგიერ იმის ობერ ლოფმარზალის გრაფ სანდიცელთანო და თქვენი (აშიაზე მარჯვნივ) ბილეთებიც გამატანეთ რომ მიუტანოვო. და გავგზავნე. ეს გრაფ სანდიცელ ობერ ცერემონ-მეისტერიც იყო კოროლევასი. ბილეთები გავუგზავნეთ გრაფ სანდიცელსა და ოტტონ ბერძენთ კოროლის ლენერალ ადიუტანტს გრაფ ფრიად ერიკ საპორტას. მოგვივიდა კაცი კოროლევადამ და გვაცნობეს, რომელ ხეალე, რომელ არს სამშაფათი, დღეს ჩვენის რიცხვით ივლისის შვიდი და ჭრანგულის რიცხვით ცხრამეტი ივლისი\* წელსა ქრისტესი 1836-სა მობრძანდით, კოროლი და კოროლევა გთხოვენ: კმაყოფილებით მიგილებთო. რა

45-პ

\* ხაზგასმული სიტყვები—აშიაზე მარჯვნივ

45-ზ

დილა გათენდა და ჩვეულებისამებრ ეჭვსს საათზე დილით წარვედით წყალის სასმელად და რა სამკურნალოს წყალის. სმა შევასრულეთ ცხრა საათს დილით სადგომს მოვედით მოვემზადენით. მშვენივრად ჩავიცვი ჩემი ქართული ტანისამოსი და ორდენით, როგორც რიგია, და ძვირფასის უენის ნაბოძების ხრმლით მოვიკაზმე და მშვენიერის კალასკით წავედით მეთერთმეტეს დილის საათზედა. კოროლი იდგა, ბავარიის კოროლის საკუთარი სასახლე არის იქვე მარიაშბადს, და კოროლევა თავის შვილის. გვერდით, ლიდი სასახლე არის მუნებურის ფოჩტისა, ის ჰქონდა დაჭირავებული და იქ ბრძანდებოდა დგომით თვისის სვიტით. კარსა მახლობელ გარეთ მოგვეგება გრაფ საპორტა, ღენერალ აღუტანტი ოტტონ კოროლისა და პირველად კოროლთან მიგვიწვივა. შევედით მას სახლსა. დიახ, პატივისცემით მიმილო ამ ღრაფმან საპორტამ. მცირეს ხანს თავისს სადგომს დაგვსხა და გვიმუსაიბა და რამდენსამე მინუტს შემდგომად თავისის დედა კოროლევადამ მობრძანდა კოროლი და შეგვიწვივა. კოროლი ოტტონ კარებთან მოგვეგება, ხელი მომკიდა: მიმიყვანა და თავის გვერდით დამსო კანაფაზედ. მე მყვანდა მთარგმნელად კაპლერ სტატსკი სოვეტნიკი ჩემი დოხტური. თვით გერმანელი იყო კაპლერ და, დიახ, განსწავლული გერმანულს ენაზედა და ფრიად ბრძენი მოხუცებული. პირველს სიტყვის დაწყებაში კოროლმან მიბრძანა: დიდად მოხარული ვარ ამ შემთხვეულებისათვის, რომ საქართველოს მეფის შვილს გავიცნობო. მე მოვახსენე: ჩემთვის დიდი კმაყოფილება არის თქვენისთანა გვამის გაცნობა და ესე უეცარი შემთხვეულება ჩემს ბეღნიერებად შემირაცხიეს მეთქი... (ამით თავდება ხელნაწერის ფურცელი, რომლის შემდეგ ხელნაწერს აკლია).

# დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

## თეიმურაზ ბატონიშვილის ფარილები გ. ბროსესთან

1. 1836-სა ივნისს  $\frac{17}{29}$

სამეფო ქალაქით ბერლინით

**საკუთარო მეგობარო ჩემო, უფალო ბროსეტ!**

ვიცი, თუ მანდვე პარიჟში იმყოფები, დიდად გაგი-  
კვირდება, რომ მე ბერლინიდამ წიგნსა გწერ. ჩემის  
ავადმყოფობის გაგრძელების მიზეზითა თბილის წყალზე  
მინერალურთა მარიამბადისა და კარსბადინი-  
სათა მოვდივარ და ამ ორ დღეს ბერლინში დავყოფ.  
თუ წამოსული ხარ პეტერბურგს მე გამომიარე.  
მარიამბადში ვიქენები კარგახანსა. და თუ არა შე-  
მატყობინე. დიდი ხანი არის, შენი წიგნი აღარ, გამოვი-  
და. არცა რა შენი ამბავი ვიცი. ისტორია რაც დავწერე  
ისე დამრჩა. ავადმყოფობაშ არ მომაცალა. ცოტათ რომ  
წამოველ გზაზე ჰაერმა და გზამ მარგო. ღმერთმა ადლე-  
გრძელოს ჩემი ხელმწიფე იმპერატორი, რომ გზის ხარ-  
ჯიც მიბოძა და დამითხოვა. შემოღომამდის ამ არემა-  
რეებში დამიგვიანდება და მერე ღვთით წავალ პეტერ-  
ბურგსა. ნეტავი გნახევდე, ჩემო ბროსეტ. ეგების  
მნახო. და საჩქაროთ შენი ამბავი მარიამბადში  
მომწერე.

მდაბლად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ,  
ეს წიგნი, რომელიცა ამ შენს წიგნში ძეს, მუსიერი  
შარმუის მიეც, ანუ გაუგზავნე.

მინაწერი მარცხენა არეზე: ბერლინამდის ოცი დღე  
დამიგვიანდა. ავადმყოფობის  
მიზეზითა ექიმიც თანა მყავს.  
ხმელზე წამოვედით კარე-  
ტითა.

წერილის მეორეს გვერდზე: უფალი ბურნოფ მომი-  
კითხე, ვითარცა უსარწმუ-  
ნოესი მეგობარი, დიდის პა-  
ტივისცემით.

ოკ. 26-სა  
2. წელსა 1836 ნოემბ. 8

ბერლინით

### საკუთარო მეგობარო, უფალო ბროსეტ!

ვვონებ, თქვენ გეგონათ, რომ თქვენი წიგნი, რომელიც ამ ზაფხულს მე ივნისის 27-ს, რომელიც ბერლინიდამ ვე ჩემის მოწერილის წიგნის პასუხად მომწერეთ, დაკარგულ იყოს. მაგრამ მე იგი მოწერილი წიგნი ბოლემიაში შარიამბადს მივიღევ. ჩემის ავადმყოფობის გამო იქიდამ ველარ მოგწერე, რადგანაც უოველს დღეს სამკურნალოს წყალს კრეისტრუნისას მივიღებდი და კიდეც დღეგამოშვებით ვბანაობდი. ღვთის მოწყალებით დიდად მარგო, როგორათაც სამკურნალო წყალმა, ეგრეთვე ჰაერმა, რადგანაც ბუნებური მარტო მარიამბადისა ჰაერი ზაფხულში, დიახ, კარგი ყოფილა და სანიადაგო წყაროს წყლები ჩინებული. რადგანაც რომ შევატყევ იქაურს სამკურნალოს წყალის და ჰაერის რგებას და ჩემს იქ ყოფაში ჰაერიც კარგი იყო, დიდხანს დავრჩი. ჩემს იქ მისვლაში პირველად კარლის ბადში რა რამდენიმე დღე დავრჩი. და მეორეთაც ვიყავ. მარიამბადიდამ და ისევ მარიამბადს ავე მიუბრუნდი ამისათვის, რომ მე კარლის ბადის წყალმა არ მარგო. და თუმცა ჩინებული ადგილია, მაგრამ ლრმა ხევია შეწყვდეული და ჰაერი კარგი არ არის, შეწყვდეულის ადგილის მიზეზით სუნი არის უსიამოვნო. მარიამბადის ჰაერი სჯობს და სანიადაგო წყალიცა. ჩემს იქ მისვლაში ბავარიის კოროლევაც თავისის შვილით ოტონ ბერძნების კოროლით იქ ბრძანდებოდნენ და პრიუსის პრინცი ვილგელმ, კოროლის შვილი, თავისის მეუღლით პრინცესათი. და უოველს დღეს თითქმის ერთად მხიარულებით გავატარეთ მათ დიდებულს გვაძებთან დრო. დიახ, შემიტკბეს. დიდი მადლობელი ვარ. კეთილი გული და პირი მიჩვენეს. მერმე ისინი უფრო ადრე წაბრძანდნენ ჩემზედ და მე სეკდებრის შვიდამდის იქ დავრჩი. სეკდებრის შვიდა რეინის მდინარის და იმის გარეშამოების განსახილველად წაველ.

ფრანკონიაზე გავიარე. მრავალი უცხო ქალაქები, მონასტრები და ძველებური შენობები ვნახე, ჩინებულები. ჭრანენკტორტა-მეინში მიველ. რაოდენიმე დღე იქ დავყავ. დიახ, მომეწონა. მხიარული ქალაქი არის. იქიდამ მეინმს მოველ. ორს სამს დღეს იქ დავყავ. მერმე ისევ გამოველ რეინს ვისბადენს - მოველ. იქიდამ შუალბორზე მთის გზით გავიარე ნასაუზე და ემზზედ. ყველა ადგილს სამკურნალო წყლები ვნახე და გამოვცადე. კობლენს მიველ. დიახ, მომეწონა. გავშინჯე ციხე ქალაქი და იქიდამ რეინის პირას შევყევ. ისევ მეინბადის იქიდამ გამოვბრუნდი ჭრანენკორტზედვე. გამოვიარე ვეიმარზე. ვეიმარში ჩვენი ველიკა კნეინა არა ბრძანდებოდა, შვეიცარიაში მორში წაბრძანებულიყო. იქიდამ ლეიბციხზედ გამოვიარე. ორი დღე იქ ვიყავ. ჯერ იქაური დროებითი ვაჭრობა არ გათავებულიყო. ლეიბციხიც კარგათ გავ-შინჯე. წამოველ იქიდამა. ლეიბციხიდამ მეორეს დღეს ბერლინში მოველ. აქ კოროლმა და სამეფოთ ფომილიამ, დიახ, სიყვარულით მიმიღეს. ოკლომბერს 3 (15) მოველ ბერლინში. ოკლობრის 10-სა (22) აქ სამეფოს სახლში ქორწილი ჰქონდათ. კოროლის ძმისწული, პრინც ვილგელმის ქალი პრინცესა ელისა ბედ დარმშაჟის პრინცს მიათხოვეს. და ამ ზემორე რიცხვში, შატათს, მეექვსეს საათს ნახევარზედ, დღდს კოროლის სასახლეში, ჯვარი დასწერეს. წინადლითვე ებრძანებინა კოროლსა მიწვევა ჩემი ქორწილში. მიწვიეს. და თუმცა მე წასვლა მეშურვებოდა შინისკენ, მაგრამ ალარ გამიშვეს, მანამ ქორწილობა ჰქონდათ, ცხრა დღე, ყოველს დღეს პრინცებს სადილი, ბალი და მიწვევა ჰქონდათ. დიდად შემიყვარეს. და სამეფოს სახლის სკესთ ყოველთავე, ნამეტნავად კრონპრინცმა, რომელიც სიბრძნით სავსეა. მე შენი ღრამატიკა თვითმასწავლებელი თანა მქონდა. კრონპრინცს მივართვი. დიდი მადლობა

პირითაც მიბრძანა და კარგი წიგნი მომწერა. დიახ, იმის  
პირს პეტერბურგიდამ გამოვიგზავნი. ახლა ჩალაგებული  
მაქვს ბარგი. დიდად მოიწონეს შენი შრომა. და ამათ  
ქართული წერილი არც კი ენახათ. ყოველ დღეს მკით-  
ხავდენ ჩვენის ლიტერატურისთვის და მეც ცნობას ვაძ-  
ლევდი. მეორეს წიგნსაც დავპირდი პრინცსა. ვგონებ,  
აქამდის შეასრულებდი, რომ ისიც უნდა გამოვუგზავნო  
იქიდამა, პეტერბურგიდამ. როგორათაც დიდებულის მეფის  
შეილი ბრძანდება მემკვიდრე, ეგრეთვე შესაბამიერი  
ბრძენი და მეცნიერი და კეთილის გულისა. ცხრა დღე  
ქორწილი იყო. მეათე დღეს კიდევ კოროლს ებრძანა და  
სადილათ იმას ვახლდი საკუთრად. მერმე გათავდა ქორ-  
წილი. გუშინასწინათ კიდევ კონდპრინცს კონცერტი  
იტალიანური, დიახ, საუცხოვო და ვახშამი ჰქონდა. იქ  
ვახლდი. და ახლა გამოვეთხოვე. კოროლმა დიდი მოწყა-  
ლებანი სიტყვები მიბრძანა. დიახ, კმაყოფილი ვარ ამა-  
თის სახლისა, რომ შესაბამის პატივისცემით და, დიახ,  
კეთილის გულით მიმიღეს. დღეს რომ ოკლობრის 26-  
(ნოემბრ. 8) არის, ბერლინიდამ, ლვთის მოწყალებით,  
გავალ. და გზასა და სიცივეს ვეშურვები. და რას წამს  
მივალ პეტერბურგს წიგნს მოგწერ, ლვთითა, და  
განვიხილავ, თუ გამოვიგზავნით, ასოთ წერილსა და  
აკლებულს, თუ ვნახავ, რასმე მოგწერ და ფულსაც გა-  
მოვუგზავნი ლტატებსა. შენ გამოვიგზავნი ფულსა და  
მისცემ. ოლონდ ეს იყოს, რომ მანამ პეტერბურგს  
მივალ ამ წიგნის პასუხი იქ დამხვდეს. დიახ, საუცხოვოდ  
გავატარე აქ დროება. მეტი ალარ შეიძლებოდა. და ჩემს  
ავადმყოფობასაც მხიარულებამ არგო. ბევრით განსხვავე-  
ბული არს ჩემი სიმრთელე ახლა. ოლონც ჯერ სრულად  
განთავისუფლებული არა ვარ, მაგრამ ვსასოებ, თუ ეს  
ზამთარი ასე გავატარე, ალარა მექმნება რა საიჭვო. ჩემი  
ექიმიც იქიდამვე თანა მყავს. კარგი ექიმი არის, დიახ,  
და სიხარულით მივდივართ პეტერბურგისაკენ.

ახლო ვიყავ პარი ეჭე და კიღეც მინდოდა მოსვლა, მაგრამ, თუ მოვიდოდი, მთელი ზამთარი მანდ უნდა დავრჩომილიყავ, რომ კარგა გავცნობოდი პარი უს. და რადგან მეუღლეც თან არა მყვანდა, თუ დამიგვიანდებოდა შეწუხდებოდა. თავათ ჩემს ავადმყოფობაზედ ამდენი მწუხარება გასწია. და მე ახლა რადგანაც ეს ადგილები გავიცან, უეჭველად ჩემს მეუღლესაც წამოვიყვან. და რაოდენსამე ღროს პარი უში ქავატარებთ. მარტო არ მინდა მოსვლა მანდ. ისე სჯობს რომ ჩემმა მეუღლემაც ნახოს მანდაურობა, თორემ ძალიან გულით მინდოდა პარი უის ნახვა და ერთს იმდენს ზომად შენი ნახვა. გთხოვ, უფალო ბროსეტ, მუსიე შარმუას ამბავი მომწერო. მე რომ ბერლინიდამ მოგწერე წიგნი იმისი წიგნიც შენს წიგნში შთავდევ, მაგრამ პასუხი ვეღარ მივიღე. ავადმყოფი იყო ისიცა და, ღმერთმან დაიფაროს, ძალიან ვსწუხვარ იმისათვის. უფალი ბურნოფიც ძმურის და მეგობრულის სიყვარულით მომიკითხე. მე მარადის მაგ ბრძნისა დიდი პატივისმცემელი ვარ და ჟუშმარიტის სიყვარულით მახსოვს მარადის.

ვგიე ფრიადითა პატივისცემითა, უფალო ბროსეტ, საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

ქუთხეში მარჯვნივ:

როდესაც პეტერბურგს წიგნი მომწეროთ, სახლი ხომ არ გამოგიცვლიათ, ადრესი მომწერეთ სახლის.

3. წელსა 1837-სა იანვრის  $\frac{9}{21}$  სანკტპეტერბურგით მათს კეთილშობილებას უფალს ბროსეტს ახალს წელიწადს მოულო ცავთ და ახალს ბედსა.

**უსაკუთრესო მეგობარო ბროსეტ!**

თქვენგან მოწერილი საამო წიგნი ორჯელ მივიღე ჩემის გერმანიიდამ მობრუნების შემდგომადა. მე, ღვთის მოწყალებით, ყოვლითურთ განთავისუფლებული სნეუ-

ლებათაგან გიორგობისთვის გასულს პეტერბურგს მოველ. ლვთით მეუღლე ჩემი და ყოველნი ჩემნი მშვიდობით დამ-ხვდნენ. და იფიქრეთ, როგორ საგრძნობელი იქმნებოდა ჩემის მეუღლისათვის, ანუ ჩემთვის, რადგანაც აღარ მო-ველოდით, რომ კიდევ ვნახავდით ერთმანეთსა. ერთი წერილი ბერლინიდამ მოგწერე და ჩემი მუნებური ვითარება ოკლობრის 26-სა, რომელიც ნოემბრის 8-ა.

(ჭერილის აქ გამოტოვებული ნაწილი ეხება ქართულ ასოე-ბის მატრიცებს (დედნებს), რომელიც თეიმურაზმა პრიზში გააკე-თებინა).

რამდენიმე წიგნი თვითმასწავლელი, შენგან გაკე-თებული, ქართული და ფრანციული, რომელშიაც ჩემი ანბანები არის ჩატანებული, ამ წიგნებისა წამოიღე. მე აქ იმაში სასყიდელს მოგცემ. დიახ, საჭირო არის ჩემ-ოვის. სხვათ დავპირდი ჩემს ბერლინში ყოფაში, ერთი ამ წიგნისა კრონპრინცს მივართვი. პირველად თითონ მთხოვა: ქართული ანბანი მაჩვენეო. და ის წიგნი მქონდა თანა და მივართვი. დიდათ მოეწონა. ამისათვის დიდი მაღლობელი იყო ჩემი. აი ამისი წიგნის პირიც, ჩემთან მოწერილისა, გამოგიგზავნე დასარწმუნებლად, ჩემო ბროსეტ (ამ წიგნშივე ძევს). და იმ ქვეყანაშიც შენი სახელი გამოვაჩინე. და დავპირდი კრონპრინცს, რომ ბროსეტ მეორეს წიგნსაც ბეჭდავს ამ ლრამატიკის შესა-სრულებელსა. ადრევე შენ მოგეწერა ჩემთვისა, რომ მეორე წიგნიც მალე შესრულდებაო. და იმას ნუ დააგ-დებ რომ არ შეასრულო. და თან წამოილევ რამდენიმე, რომ ჩემი დაპირება ტყუილი არ გამოვიდეს კრონპრინც-თანა, რადგანაც დაფპირდი იმას. უთუოდ, მალე გამოვა მეორე წიგნიც ამ ლრამატიკისა და მოგართმევ მეთქი. ძალიან იამა. წიგნი რომ გავუგზავნე მერმე რომ ვიახელ, დიდი მაღლობა მიბრძანა პირადათაცა და მითხრა: აი ჯერ დღეს ეს ორი სიტყვა დავისწავლეო ქართულად. ბრძანა: „ხუცური ანაბანა“ „მხედრული ანაბანა“ ძალიან-

შემიყვარა, სთნდა ჩემთან ლაპარაკი. დიახ, ხშირათ შევი-  
ყრებოდით და გრძლათ ლაპარაკი ჰქონდა ჩემთან. ძალიან  
მეცნიერი და სწავლული კაცი ბრძანებულა, უკეთესი  
ძვირათ მინახავს, და გულითაც კეთილი.

4. წელსა 1837-სა მარტის **19**  
**24** სანკტეტერბურგით

ღვთის გულისათვის, რომ წამოხვიდე უფალო ბრო-  
სეტ, ჩემო მეგობარო, რამდენიმე შენგან აღბეჭდილი  
ქართული და ფრანციული თვითმასწავლებელი რომ  
არის, რომელშიაც კაი ხელის ანბანები არის (რომელიც  
მე პრუსიის კრონპრინცს ვაჩუქე და მე სხვა აღარ დამრჩა)  
ამ წიგნებსა თან წამოიღებ, საჭირო არის. და რადგან  
ეს ლრამატიკა შენგან გაკეთებული სრული არ იყო და  
მეორე წიგნსაც აკეთებდი მისის შესასრულებლად დაბეჭდ-  
დი იმეებსაც. შეასრულე და წამოიღე, რომ მე (ბერ-  
ლინში კრონპრინცს დავპირდი: მეორე ტომიც იბეჭ-  
დება ამ ლრამატიკისა მეთქი და იმასაც მოგარომევ  
მეთქი) ამას გარდა, რაც ახალი რამ გქონდეს დაბეჭდი-  
ლი, თუ დაწერილი, ქართული ლიტერატურებისა რაც  
გამოსული იყოს, ნაშენობაებისა, ციხეებისა, საყდრებისა,  
თუ მონასტრებისა და საისტორიო წერილები, ყოველივე  
რაც არის, იმათი პირები წამოიღევ თანა. აქ ძალიან  
გამოგადგება. თუმცა მწერთ, რომელ რომელთამე უხმარათ  
უჩანსთო და უსარგებლოდა ჩვენი ქართული ლიტერა-  
ტურაო, მაგრამ კაცმა პირველად ჭეშმარიტი განსჯა უნ-  
და მოიღოს და ეგრეთ წარმოსთვეს ყოველი სიტყვა.

მე ჭეშმარიტად ვიტყვი ამას ვერავინ მარწმუნებს,  
რომ ევროპიაში დიდი სიბრძნე არ იყოს დამკვიდრებული  
(ექვსასი წელიწადი იქნება და თანდათან უფრო ემა  
ტება), მაგრამ მრავალი კერძონი ქვეყანანი და თემნი  
არიან პირსა ზედა ქვეყანისა სფეროესა, რომელ ყოველ-  
თავე მათ ერთა და თემთა ყოველივე ევროპიის სიბრძნე,  
მეცნიერება, ხელოვნება და სწავლულება სულ ამაოდ

მიაჩნიათ და უხმარად და არც ჰგონიათ, არც ირშმუნებენ, რომ ევროპაში ეს ზემო თქმული სიბრძნე იყოს დამკვიდრებული და არც სურთ მათ ამისი შემეცნება და არცა უურადლება, მაგრამ ამისთვის ევროპა თავის სიბრძნეს და ღიღებას არა ჰყარგავს და არსცა უბრძნესი და უსწავლელესი ერი. და თუ ოდესმე სხვანი კერძონი, რომელთანაც ევროპის სწავლა და ჩვეულება არა სათნო უჩანსთ, თუ იგინი შეიტყობენ და სცნობენ მაშინ გაუკვირდებათ და ქებასაც დაუწყებენ.

ეგრეთვე ევროპიელებმა, რომ არავინ უწყის ჯერ სრულის მიწვენილობით არამც თუ თქვენს ქვეყანაში, ანუ ანგლიაში, ანუ გერმანიაში, ანუ სხვაგან, აქაც არ იციან და რას მოიწონებენ და რას აქებენ?! და ამაზე შენ გულს ნუ დაგაკლდება და სასოებაცა გქონდეს მისი, რომ ბოლოს შეინანებენ და ასე იტყვიან: ჩვენ შევსცდით და არ ვიცოდითო და ახლა ვხედავთ, რომ უგულებელს საყოფელი არა ყოფილა ქართული ენა და ლიტერატურა. სიქადული მრავალი უშვერ ჰყოფს კაცსა და მეტი თქმა, მაგრამ მე ჭეშმარიტის განსჯით ამას ვიტყვი: იმ ძველს უამებში, როდესაცა არც ჯერ თქვენში და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოებოდა, რომ სწორეთ ანაბანა თავიდამ ბოლომდის ჩაექითხათ, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ უამებში, თუ სთქვა, სრულს განათლებაში და წერილებით აღსავსე და სიბრძნითა ალყვაჭებული. და რომელის უამითგანაც სირიასა, ეგიპტესა, სპარსეთსა და საბერძნეთში (ესე იგი გრეციაში) იყო განათლება, ეგრეთვე საქართველოშია. ჯერ ვისაც რა ნებავს ისა თქვას. უამზედ იცნობება, გრიგოლი ღვთისმეტყველი დასწერს ნანძიანელი თავის სტიხებში: „სჯობს საქმე უხმო სიტყვასა უსაქმოსა“. ეგრეთვე ჯერ უსაქმოს სიტყვას ჩვენ დადუმება გვმართებს და დროზედ საქმით ალმოჩნდეს ღვთით. ამასაც ვიტყვი: მე არამც თუ ჩემობით, ჭეშმარიტის განსჯით. მე ამ განვლილს წელს

გერმანიაში მრავალნი სხვადასხვანი აღგილნი ვნახე. რა საკვირველი არის, რომ თუმცა თავისუფალს ხალხსა და-  
მონებული ერთ როგორ უნდა შევადარო, მაგრამ ხალხის  
პირველად ხარაკტირი, მშვენიერება, ახოვნება, ჰაეროვ-  
ნება, მთა, ბარი, ძველი მონასტრები, ციხეები, ქვეყნის  
გარემოზღუდვილება, ჰაერი, წყალი, ნაყოფიერება, სიუხვე,  
მდებარეობა, თუნდ გულოვნებაცა, ხალხის სიმდიდრეცა,  
სტუმართ მოყვარეობა სულ განსხვავებული არის ჩვენის  
საქართველოსი. და თუ მე მართალს არ ვიტყვი და ჭეშ-  
მარიტმან განმსჯელმან და ჭკვიანმან კაცმან თვალით  
გასინჯოს და ისე გამამტყუნოს. და თუ ჭეშმარიტი და  
ჭკვიანი გვამი არის, სცნას და განსაჯოს, როგორი  
სამეფო ყოფილა საქართველო და ვითარი მცხოვრებნი,  
ანუ, ან ახლა.

და თუ მწიგნობრობას ბრძანებთ, შესაძლებელი არის,  
რომ ძველთა ჩვენთა საიშვიათოთა წიგნთა ოდესცა მიხვდ-  
ნენ მაღლად ბრძენნი და უსწავლელესნი ევროპისანი,  
დიდის სურვილით ივასხებენ ეგრეთთა საუნჯედ და სა-  
ძვირფასოდ სააღსარებელთა და მისაღებელთა.

უტევე იგინი, ჯერეთ მდინარეთა პირთა მისულნი,  
უკეთუ ვერა სცნობდენ რაოდენნი გვარნი თევზნი იყოფე-  
ბიან წყალსა მას შორის. მოხვალ, ლვთით, და, ვგონებ  
არა უქმ არს, როდისაც გაჩვენებ სხვათა და სხვათა  
საიშვიათოთა წიგნთა. და აქედამ წვრილწვრილად შე-  
ვამცნებთ მათ, ვინცა გვძრახვენ. და, როდისაც განიხი-  
ლავენ, მაშინ სვინდისი ამხილებსთ და სცნობენ, რომელ  
პირველი განსჯა მათი არა ჭეშმარიტი იყო. მე მაგისთა-  
ნას სიტყვებს არას მივითვლი. ქართველები რაც ყოფი-  
ლან, არიან და იქნებიან, როგორც ღმერთებს წებავს,  
რაც უნდა კარგი არა სჭირდესთ, არვის შეეხვეწებიან კი:  
ქართველები გვაქვიო. საქმემ უნდა აჩვენოს კაცს მწე-  
მჭებარეობა, ამისთვის რომელ ქების მოყვარეობა ცუდ-  
მედიდებობას წარმოადგენს. ქართველთა, შემდგომად სო-

მეხთა მეფობისა აღხოცისა, ექვსასი წელიწადი და შემდგომად საბერძნეთის მეფობის აღხოცისა ოთხასი წელიწადი, თავიანთი მეფობა, ქვეყანა და სარწმუნოება შეუხებელად დაიცვეს. და წარიკითხე ისტორია სხვათა სამეფოთა, თუ ვითარ მოუთხრობს. იპოვისა ესრედ სულგრძელად ეგეოდენთა მტერთა და ძლიერთა ესეოდენ წელ წინაალმდეგად და სიმტკიცით დგომა? (აწინდელსა ნურას მოვიხსენებთ სულ სხვა არის). მე მეტს არს მოგწერ და, ღვთით, რომ შევიყრებით მაშინ ვილაპარაკებთ.

ჩემი მისწრაფება დღითი დღე ეს არის: ისტორია საქართველოსი ეგების შევასრულო, და, ღვთის მოწყვალების იმედი მაქვს, ყოვლითურთ ვცდილობ, რომ მრავლის-დამოწმებით ჭეშმარიტება ჰქონდეს. ზოგი მზადა მაქვს. კიდეც მსურდა გამოგზავნა, მაგრამ ახლა ეს გამოვგზავნო, შენ აქ მოსდიხარ, მანდ ვინა სთარგმნის. ტყუილათ ეგდება. ღვთით, მოხვალ აქ, გადავთარგმნით და ერთად წარვგზავნით ჩვენს მეაზიელის პარიუის საზოგადოებაშია.

თქვენს მეუღლეს მეცა და ჩემი მეუღლეცა მდაბლად მოვიკითხავთ, იქნება სწუხდეს წამოსვლისათვის შორ ქვეყანაში, მაგრამ ნუ შეწუხდება, თუმცა მაგათ ქართული ენა არ იციან, ჩვენ სახლში გვყვანან. პატიოსანნი გვამნი, რომელთაც ფრანციული კარგათ იციან და გერმანული. და პეტერბურგში მცხოვრებნი უფროსი ერთი ლაპარაკობს ფრანციულს ენას. არ შეწუხდება და დროებასა მხიარულად გავატარებთ. მაგრამ თითოროლი ქართული ასწავლე, იქნება საქართველოშიაც წახვიდეთ, ვინ იცის, შემთხვევაა. აპრილი რომ გავიდეს მალე ნუ წამოხვალთ, მანამ მაისი არ განახევრდეს ნუ წამოხვალთ, ზღვა აქეთ არ არის კარგი. მაისის ნახევარს რომ წამოხვალთ ზღვა უფრო მყუდროთ იქნება და მოსვენებით მოხვალთ. თქვენი მწუხარება მექმნება მანამ მშვიდობით ნახავთ.

უსაკუთრესად შესაბამის პატივისცემით საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

## შ ე ნ ი ჟ ვ ნ ე ბ ი

3 გვ.—შარი ფელისიტე ბროსე (1802—1880) ორმოცდა-ორ წლის განმავლობაში (1836—1880) იყო ნამდევილი წევრი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა. მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესწავლასთან. 1847 წ. იმოვზაურა საქართვე-ლოში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია თეიმურაზ ბატონი-შვილის მიერ აკად. ბროსესაღმი მიწერილი წერილები (იხ. S 4797), რომ-ლებიც გვირკვევენ თეიმურაზის როლს, როგორც ოსტატისას ჯერ კიდევ პარიზში მყოფ შევირდისადმი. ერთეულ წერილში (1834 წ.) იგი სწერს: „შენს გამოცემაში ტუშილები არ ჩაწერო, თორემ, სირცვილი იქნება. მე რე ქართველები მე დამცირები: აი ამისთანა შევირდები გყავსო“.

თეიმურაზის გარდაცვალებაზე ნეკროლოგი დაბეჭდა აკად. ბროსემ „სახალხო განათლების სამარისტოს უზრნილში“ 1846 წ. (იხ. ЖМНП 1846 Октябрь, VII იტა.).

5 გვ.—თე იმურაზ ბატონ ე შვილ მა. თავისი მდიდარი ბი-ბლიოთეკა „ხალხის სახმარად“ დასტოა. თეიმურაზის ხელით 1846 წ. თებერვლის 2-ს დაწერილ ანდარძში, მეუღლისადმი მიმართული, შემდევი ადგილი გვრცელება: „ჩემი ქართული წიგნები სრულათ შენ დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩემის საყდარს, საცა გექნებათ, გამორჩევით ერთი სახ-ლი უნდა გაუკეთოთ და დაუწყოთ ყოველიც წიგნები: საღმრთო, თუ სა-ერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნით“ (იხ. გაზ. „საქართველო“ 1916 წ. № 146). მეფის რუსეთში ამ ანდერძს განხორციე-ლება არ ეღირსა და თეიმურაზის ბიბლიოთეკა გადაეცა სააზიო მუზეუმში: თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის პირველი კატალოგი (ავტოგრაფი) დაცული იყო პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში. 1835 წ. პეტერ-პიოზში მეორედ გადაწერილ კატალოგის ფრანგული თარგმანი დაბეჭდა ბრო-სემ 1838 წ. (ნარ. Recueil des Actes de l'Acad. des sciences. St.-Pétersb. გვ. 55 — 114) ქართულად პირველად გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგა-რელმა (იხ. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, გვ. 149—186). ხელნაწერი კატალოგი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: A 1091.

—პარიზის სააზიო საზოგადოება დააარსა სენ-მარტენმა 1822 წ. „პარიზის მექანიკუ საზოგადოების“ წევრად თეიმურაზი 1831 წ. აირჩიეს.

9 გვ.—1908 წ. ოქტომბერის 26-ს, № 17, გაზ. „სავაჭრო გზა“-ში პროფ. ა.ლ. ხარანაშვილი თეიმურაზ ბატონიშვილს შესახებ მოხავ-

7. თეიმურაზ ბატონიშვილი.

სებულ შერილში აღნიშნავდა, რომ მას შემთხვევა ჰქონდა გადაეთვალიერდება „ბერლინის ბიბლიოთეკის ის განყოფილება, სადაც ხელნაწერთა შორის დაცულია ცხრა ნაშთიც ქართული მწერლობისა“..., რომელთა შორის ს. ს. ორბელიანის „ლექსთა კონა“ საინტერესოა სხვა მხრივ: იგი ავსებს ჩვენს ცნობებს ბატონიშვილის თეიმურაზის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ...

მის პირველ გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ მინაწერს ცოტა დამახინჯებულს რუსულის ენით: „Его величеству короля прусского Фридрих Вильгельм третего для Его Величеству с библиотеки сей лексикон грузинской диалекта, сочиненной князя Сулакана Саба Орбелиани и писанной гражданского буквами.

Нижайше преданностию грузинский царевич Теймураз Георгиевич“.

ხაზგასმული სიტყვები ბატონიშვილს თავის ხელით ჩაუმატებია. ქართულად მინაწერი ამასვე იმულობებს:

„შევსწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა ფრიდერიკოს ვილემ მესამესა, მათის დიდებულების ბიბლიოთეკისათვის უმონებრივის სომდაბლით.“

1836 წ. ივნის 22 (ნოემბრი 4) ვ. ბერლინე.

დროს აღნიშნის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბატონიშვილი თვით ყოფილა ბერლინში 1836 წ. და საკუთარის ხელით მიუწერია შელიწადი და ადგილი შეწირულებისა“.

9 გვ.—პრუსიის კოროლი ფრიდერიკოს ველლემ მესამე—ფრიდრიხ ვილემ III (1770—1840) პრუსიის კოროლი 1797 წლიდან.

15 გვ.—სხვა ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა შორის თეიმურაზ ბატონიშვილს, ევროპაში მოგზაურობის დროს, თან ქონია რუდოლფ ფოსტრატის „ლირსი ხსოვნისა ქალაქთა ევროპისათა“. ამ საცნობარო წიგნს აქვს შემდეგი „წინასიტყვაობა წიგნისა ამისა“:

„არა რაიმე ვრაცხ, სარგებელ შეძინებად უმეტეს კაცთა, ვითარ მიმოსვლა ქვეყნასა, რომელსაც ძალ-უცს, და უკეთუ არა ისტორიითა და ქარტითა შემეცნება შესაძლებელ არს. ვიზილე მეწიგნი ესე სამართლად წილდებული „ლირსად ხსოვნისა“, რომელიცა მოუთხრობს ყოველთა ქალაქთა და ციხეთა ევროპისათა, რომელნიცა არიან ლირსნი ხსოვნისანი.“

ხოლო მე არა ვუწყოდი, თუ ვისგან არს თარგმნილ ენასა ზედა ჩემსა; გარნა აკლდა ამას რაოდენიმე მოთხრობაზი აღვილთა და ნივთთანი, რომელმანცა პეტერბურელ ყოფნასა ჩემსა განვმართე ამად, ვითარმედ, რომელთაცა ერთა ჩუენთა ვერ ძალიდგან მიმოსვლაი, შეუმეცნენ ამით და ისარგებლონ საუცხოოსა ჰამბითა და ნივთთა“.

Բար Անդրեա, Քաջութեան.

Ուստի զիշեց, մազգի պահանջման  
ու լուսաւու պահանջման մէջ առ, բայց առ  
առ պահանջման է քաջութեան պահանջման մէջ:

Պահանջման պահանջման մէջ առ առ առ առ  
առ պահանջման մէջ առ առ առ առ առ առ առ  
առ պահանջման մէջ առ առ առ առ առ առ առ առ  
առ պահանջման մէջ առ առ առ առ առ առ առ առ առ  
առ պահանջման մէջ առ  
առ պահանջման մէջ առ  
առ պահանջման մէջ առ առ

Եվ առ պահանջման մէջ առ առ առ առ առ առ առ առ առ առ

საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე და ოუ-  
ცეთის დენერალ მაიორი და კავალერი დავით  
თეიმურაზ ბატონიშვილს ამ წიგნის პირველ გვერდზე ასეთი მინა-  
წყრი გაუკეთებია:

„მე მეფის ძე თეიმურაზ ვიყავი გერმანიაში 1836 წ. და ეს წიგნი  
თანა მქანდა და დიდად გამომადგა“.

აღნიშნული წიგნი ხელნაწერი ამჟამად დაულია საქართველოს სამ-  
შესეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში: H № 2314.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად „გამოადგა“ თეიმურაზ ბატონი-  
შვილს ხემოქსენებული საცნობარო წიგნი, ჩვენ აქვთ დაუკრთხეთ ხელნაწე-  
რიდან ამოღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის აღწერილობა:

ლეიკ ცილი. დიდებული სავაჭრო ესე ქალაქი არს მეფისა პოლ-  
შისა და მთავრისა საქართვისა, რაც იგივე მეცე პოლშისა არს, საც-ვა-  
დოსა მეისენისასა, პლეისე მდინარესა ზედა მდგომარე, ახალთა წესითა  
გამაგრებული, იგურდევ ქალაქისა ამის ბაზართა არს დიდ დიდი ქვეთ-  
კირისა სახლის. გარემო ქალაქისა ამის ადგილი მზიარულნი და ნაყოფი-  
ერნი არიან. ლეიკილსა შინა არს წესი ესე ვითარი რომელ წელსა შინა  
ერთსა იქმან ვაჭრობასა დიდსა სამგზის: ე. ი. პირველი, იანგარსა პირველ-  
სა, ხოლო მეორე შემდგომად სამისა კეირისა პასექისა და მეტამე ნოემ-  
ბერსა თვესა ორშაბათსა შემდგომად დღესასწაულისა მიხეილ მთავარან-  
გელობისა, ვითარმედ უმჯობესი შენებულებანი არიან კვლესია წმინდისა  
ნიკოლაოსისა დიდითა შინაგნივ შვენიერებათა. სიმავრე პლეისნებული,  
სამეფო სასახლე, სამსაჯულო, ბიბლიოთეკა და საღვური ბომალდოს  
საჭურველთა სახლი და მესროველთა სახლი ლორეციისა; საკვირველთა  
სახლი, მცნობელობისა სახლი (ე. ი. სადაც გამოსცდან ხელვავანთა-  
შოძლვართა და სადაცა ბუნებათ სჩხრეკენ) და სამროველო სახლი:  
და ამათ ყოველთა უმჯობესი შენებულებად არს აზნაურთა სასწავლო  
აღზენებული საქართვისა მთავრისა ფრიდერიკოსისაგან წელსა 1409 ოთხ-  
თა ნათესავთაგან საქსონიელთა თვის მეისენელთა, ბავარიელთა და პოლ-  
შელთათვის.

ბერლინი. სატარტო პრუსიისა მეფისა ბრანდისა შინა  
პატიოსანი და მშვენიერისა შენობითა შემკული ქალაქი, ხოლო სიდიდი-  
სებრ მისისა მცირედ პარიეკად უწოდებენ. მას შინა სხვადასხვა ქალაქი  
არიან: ბერლინი და კელნი მდინარესა სპარეს ზედა, სადაცა არს სამეფო სა-  
სახლე ფრიდრიხსვერდერი. გარე ქალაქისა არს დოროტეინსტატი, რომელსა  
შინა არს დიდი ქუჩა, ორსავე მხარესა დანერგული არს ხენი. ამისთანა-  
ფრიდრიხს შტატი და უკანასკნელი ნეიშტატი. ქალაქსა შინა მრავალნი  
სახლნი არიან იტალიანისა წესითა აღგებულნი სასახლე მეფისა უშვენიე-  
რეს უდიდეს ყოველთა არს. მახლობელ ქალაქისა არს ყოვლად შეენიჭი

ოკლისა უცროსა წივთითა აღსავსენი შეფისა სამჩიარულობი სახლნი არ-  
ანიენბურღი, შენდაუზენი და პოცდამი. ქალაქისა შინა არს დიდი საჭიგნე  
და საკვირველებათა სახლი. ხიდსა ზედა პირისპირ სასახლისა. მდგომარე  
არს ანდრიანტი ფრიდერიკოს მთავრისა ცხენსა ზედა მჯდომარე და სხვა-  
ნი ნივთნი.

დაცინდა. დიდებული ევრაპასა შინა უზომოდ ძლიერი და მდი-  
დარი ქალაქი ესე მაღალსა გორასა ზედა მდგომარე არს მჩიარულსა  
ადგილსა გისლე მდინარესა ზედა. ერთსა მილსა ზედა ბალთიკისა ზღვასა.  
გარემო ქალაქისა არს ოცი ჯიხური, ქალაქისა კარნი დიდისა სიმდიდრი-  
თა ქმნილ არიან. ხოლო ყოველთა კართა არს სამი ასახსნელი ხიდი, სა-  
დაცა ვისლა მდინარე ზღვასა შინა შთავარდების. ადგილი იგი ორითა  
სანგრითა გამაგრებულ არს. საშუალო მთასა არს დიდი კოშეი და მას  
ზედა ფანარი დიდი სინათლისათვის ღამე მავალთა ხომალდთა ზღვასა  
ზედა მახლობელ ქალაქისა. დიდნი ტა მაღალნი გორანი არიან ბი.  
შოთსბერლ და დალენსბერლ, რომლისა მიერ ყოველნი ქუჩანი და მას შინა  
მავალნი მუნით სჩანს, რომლისათვისცა დანცილმან გორა ესე ღალენ-  
სბერლ ვრცელითა სიმაგრითა განამაგრა და ქალაქისა შერთო. ჩინებული  
ქალაქისა ამას შინა შენებულებად არს სასამართლო, დიდი და ვრცელი ხო-  
მალდთ სადგური. პირველსა ეჭდესისა შინა არს ხატი ერთი საშინელისა  
საშვავროსი, რომელიცა საკვირველებად აღრიცხულ არს. ხოლო მუნე-  
ბურთა კაცთა ცხადყოფისა მიერ არს სიტყვა ესე, რაეცა ზღვასა ზედა შა-  
ვალი მოსრულ არს მუნ. მრავალნი ჩინებულნი მხატვარნი ცდილან მისგან  
სახისა გარდალებასა, მაგრამ ვერ შემძლებელ ქმნილან. საშვავროსა ქალა-  
ქისა ამისა არს ოთხხმეტი კაცი მსაჯულნი ოთხნი შემდეგნი მათნი. ერთი  
ზედამხედველი და ოთრმეტი მწერალი. მეფისა პოლშისასა ნიშნად უმაღ-  
ლესი მფლობელობისა თვისისა ქალაქისა ზედა განუწესებიეს დანცილა შინა  
ბურღრავა (ესე იგი რაეცა მოადგილე მისი), რომელიც ყოველთა საშვავ-  
როთა ადგილთა პირველისა ადგილისა მქონებელ არს, რათა ქალაქისა  
საიდუმლო კიდე მისა უცხოთა კაცთა არ უწყობენ. დაშტილსა შინა ჩინე-  
ბული სასწავლო სტამბითა და არა მცირედითა რიცხვითა მოწაფეთისა  
და დიდითა საწიგნითა. ბაზარსა ზედა არს დიდი სახლი იუნერლოვა და  
მას შინა დიდი პალატი, რომელსა შინა მოქალაქენი სიხარულისათვის შე-  
კრბებიან. პალატსა ამას შინა არს სასმელი ერთივ ერცხლისა, რომელსა  
შინა სამი ბუტლიკა შირავა. უკეთუ ენებოს ვისშე დაშმობილებათ ვისთანმე  
თანამდებ არიან მისსა შესმად. და უკეთუ შემძლებელ ვინმე იყო სრულად  
შემსმელი იგ წარილებს სახლსა შინა თვისსა, იტყვიან ვიდრე მე, რომელ პოლ-  
შისა აზნაური გინმე შესასმელად ამისი გარშავით ღდანსეს (!) მოვიდა. ხო-  
ლო ოდეს შესც სასმელი იგი წარილო სამყოფსა თვისსა. სცნეს რა მსა-  
ჯულთა ქალაქისა მის, წარგზავნეს მწერალი კვალად მისაღებელად, რო-  
მელმანცა ცხად უყო: თუცა უფალო ჩემი ძმობასა შინა განწესებულ არს

ჭაცარი იელებულისა სასმელი ამისა წალება სახლსა შინა თვისსა, მაგრამ არა დიდ უამ ქონებად მისი და უმეტესად გარე ქალაქისა გატანა არა ბრძანებულ არს. წარმგზავნელმან მან უთხრა რა ეს სასმელი იგი ვერცხლისა მიულო პოლშელსა მას. გარემო ქალაქისა არს კათოლიკე ეკლესიანი და მონასტერი.

დ რ ე ზ დ ე ნ. სატანტო ეს არს საქართვისა მთავრისა, რომელიცა აწ მეფე პოლშესა არს: გარნა ქალაქი ეს მდგომარე არს ბარცენით კერძო ელბა მდინარისა. ყოველთაგან ჩინებული იმპერიისა ქალაქი. საგაჭრო შენებულება მას შინა ქვითკირისა არს, სახლი დიდ დიდი და ვრცელი, ხოლო ქუჩანი სწორე და განიერნა. განიყოფების ორად ნაწილად: ე. ი. ძველად და ახლად. ხოლო საშუალო ამისა არს ქვისა ზიდი ცხრამეტსა კამარასა ზედა დამყარებული, სიგრძით რვასწი ნაბიჯი. ხოლო ზიდსა მას ქვეშ არს დიდებულისა მათე ფოტისი ანდრიანტი. დიდ შვენიერსა მეფისა სასახლესა შინა შესაძლებელ არს ათასისა ლაშერისა ომისათვის განმზადებულთასა დადგომა. ვრცელი ეს მეფისა სახლი ოთხივე კერძოთ მშვენიერებითა შემკულ არს. დიდი სამთავრო ცხრისა სადგური უცხოსა შვენებითა შემკულ არს. ხოლო მას ზედა ოცდა ექვესი საწოლი არს, ყოველთა ცხრისა და ცხრის სადგურისა იარაღითა აღსავს არიან. ხოლო იარაღითა ამათ ფასი უფროს მილიონისა არს. საუნჯისა ამის და საკვირველებაზა სახლი უკეთუ არავის ეხილვის მუნ მყოფთა, მას დრეზდენი აზ უხილავს. დიდსა მას პალატისა შინა არიან სიმრავლენი სამკურნალოსა იარაღთა საათისათა და ჩინებულთა ხელოვებათა საქმეთა. მახლობელ ამისა მეორესა სახლსა შინა არა რა არს, თვინიერ ოქროსა, ვერცხლსა და ძეირფასთა თვალთა. შორის ნივთთა ამათ არს ცხველს მყოფელი ჯვარი ვერცხლისა, რომელიცა ბუნებითად მიწასა შინა ქმნელ იყო. მუნეე არს ნივთთაგან შემზადებული შემწველი სარკე, დიდად დრდი, რომლის მსგავსი ყოველსა ქვეყანასა არ არს. მასე სახლსა შინა მდგომარე არს ვერცხლისა ირემი და მუცელსა შინა მისსა არს მრთელი სამკურნალოსა წამალი მხოლოდ ირმისაგან ქმნელ არიან. უკეთუ ყოველი სრულიად გაჩხრიკოს ვინმე, მისთვის სამი კვირა-საკმარ არს. კვალად არს მუნ ლირის სსოვნისა სასახლისა ეკლესიასა შინა საკურთხეველი, რომელიცა ჭრელისა მარმარილოსაგან ქმნილი. მუნებური საწიგნე ესრედ მდიდარ არს ხელით წერილითა და სტამბითა წიგნითა, რომელ მსგავსი მისი ევროპასა შინა მცირე არს. გარე ქალაქისა არს ჩინებული რეიხნებერლის ბალი დრეზდენისა საჭურველი სახლი და შემდგომად ვენეციანელთა საჭურველი სახლისა პირველი არს ევროპასა შინა, ყოველთა სამხედროთა იარაღითა ესრეთ სრულ არს, რომელ მსწრაფლად ასი ათასისა კაცსა შესჭურავს. სასახლისა სამკურნალო სახლი, მროველთა და მაჩვენებელთა სახლი, თეთრის საჭრელი და მხეცოთა სადგური და მრავალი ჩი-

ნებული შენებულებანი არიან. გარე ქალაქისა არს შევნიერი მთავრისა სასახლე კეთილდად შემცული ბალითა. სიმრგველე ქალაქისა ამის დრეზდენისა არს 13200 წყრთა. მახლობელ ამისა არს სახერხავი წისქვილი, რომელიცა იასპისა, მარმარილოსა და სხვათა ძვირფასთა ქვათა სთლის და ხერხავს.

კენის ბერლ. ქალაქი ესე არს სატახტო პრუსიისა მეფისა, რომელიცა არა მცირე არს ბოლემიისა სატახტოსა ქალაქსა პრაღასა. ხოლო ქალაქი ესე განიყოფების სამად ქალაქად: 1. კენისბერლ, 2. ლებნიკ, 3. კენიტონ და წელსა 1701-ს შემატებულ არს მეოთხევა ფრადრისტატ და ყოველთა ამათ აქვსთ ერთად ნავთსადგური ვრცელი და ჩინებული. აზნაურთა სასჭავლოე აღშენებული წელსა 1544-სა. ცალკესა სახლსა შინა არს დიდებული ბიბლიოთეკა და წიგნიცა იგი არს მას შინა, რომელიცა პრუსიისა მთავარმან ალბერტოს თვისითა ხელითა აღწერა დადგინჯბაჲ ძისა თვისისა სიმდაბლესა და ქრისტეს მოყარებასა ზედა. კვალად არს ქალაქსა ამას შინა ეკლესიად პირველი და ზემო მისსა არს პალატი ერთი ას სამოცდა ექვსი ნაბიჯი სივრძე და ოცდაათი სიგანე არა რომლისა, თვინიერ სვეტთა და კამარათა. კვალად არს მცირედი ქალაქი კენისბერლ ვენრიასა შინა საშუალო მდინარეთა ღრანისა და ნეიტროსა და მახლობელ მისსა არს სამცურნალო წყალი.

მაღდებულ სატახტო ესე მაღდებულისა თავადთა, დიდი და დიდებული ყოველსა გერმანიისა ქვეყანასა შინა, ელბე მდინარესა ზედა ჭვემოსა საქანიისა შინა მდგომარე არს და ახლითა განწესებითა გამაგრებულ არს. პირველი ეკლესია ქალაქისა ამის უმჯობესად და უშვენიერესად ყოველსა ევროპასა შინა აღტიცულ არს. მახლობელ მისა სამჭირველოსა შინა ორნი რომისა კეისარნი დამარტულ არიან. პირველსა ეკლესიასა შინა მდგომარე არს რკინისა იგი ზანდუკი, რომელსაცა შინა ცოდვისა ნაგაჭრთა თეთრთა სცვიდა კათოლიკეთა ებისკოპოზი იოანე ტერელი. პირისპირ ეკლესიისა ამის არს სასახლე მეფისა და მრავალნი წისქვილი. მახლობელ მდინარისა მის ელბისა არს ახლად აშენებული სიმაგრე. ხოლო ქალაქი ესე არს მეფისა პრუსიისა.

პოტსდამ. მეფისა პრუსიისა ქალაქი ესე, ქალაქით ბერლინით მდგომარე არს მილსა ზედა ოახსა, ლაკლე მდინარესა ზედა, დიდითა სამეფოსა სასახლითა და დიდ შვენიერისა ბალითა.

რელენს ბერლ. წყალთა შორის მდგომარე ძლიერი ესე ქალაქი არს დანიისა მეფისა ლოლსტინიისა შინა ედერე მდინარესა ზედა სამეფოთა ციხეთა.

როსტოკ. სატახტო ესე არს მთავართა მეკლენბურგისათა და თავისუფალ არს. ხოლო ქალაქი ესე მდგომარე არს ზღვასა ზედა და შისტვის ვაჭრობად მრავალი აღსარულების ქალაქსა ამას შინა. ჩინებული ქალაქსა ამას შინა ნაშენნი ეკლესია პირველი წმინდისა პეტრესი და აზნა-

ურთა სასწავლოდ აღშენებული წელსა 1419. ერთსა შინა ექლესიასა ქალაქისა ამისსა ესე ვითარი მიწა არა, რომელ შემდგომად ხუთისა ანუ ექვსისა თვისა მკვდრისა დამარხვისა არა რად იპოების მიწასა მას შინ არცა ძვალნი და არცა სხვა რამე. ნივთი მკვდრისა მის თვინიერ მიწისა. ვერანოუ მდინარეზე დგას (სხვა ხელით).

ეს ბინდი. ახლითა წესითა გამაგრებული ქალაქი ესე მეფისა პოლშისა ებინდე მდინარესა ზედა მდვომარე არს პოლშისა პრუსთა შინა მახლობელ დაცილ ქალაქისა.

17 გვ.—ჩერმან შეულლებან. —საქართველოს მუხეუმში დაცულ ერთ ხელნაწერს (S-3633) ასეოი მინაწერი აქვს: „მეფობასა შინა მამისსა ჩემისსა გიორგი მეტამეტისასა, ოდეს ვიქორწინე გორს მეუღლესა ზედა ჩემსა თარ ამილახუარის ასულს ელენე ზედ, წელსა 1800 და დავიდგინე მამის ჩემის მიერ ქართლისა განმევედ და მეურნედ, ყამსა მასა მომიძღვნა ესე ლოცვაები ჯომარდიები დიმიტრი ლვდელმა. ეს ლოცვაები ახალციხიდამ ჩამოტანა მას. პაპას ჩემის მამისა მეორე თეიმურაზ მეფისაგან არის ქმნილი ეს შეიღეულის ლოცვანი. მღაბალი მეფის ტე თე იმურაზ“.

—სტრელნის ფოჩტაზედ გაშლდით. —თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობის უკეთ გასათვალისწინებლად წიგნს დავურთეთ რუკა მოგზაურობის მარშრუტის აღნიშვნით. რუკა შესრულებულია მხატვარ გ. ნათიძის მიერ.

27 გვ.—ბროსესადმი მიწერილ ბარათის ფოტოპირს ვბეჭდავთ „მოგზაურობის“ ხელთან შესადარებლად. დამატებაში კი (გვ. 47—96) ვაჭვეყნებთ მხოლოდ იმ წერილებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოგზაურობასთან.

37 გვ.—ეს სასახლე იმ ფრიდერიკის პრუსიის კოროლისა არის... —თეიმურაზი აგვიწერს ფრიდრიჩ II-ის, დიდად წოდებულის (1740—1786), სასახლეს და ბიბლიოთეკას (სანსუსის ციხე-კოშეში).

48 გვ.—„და მას ზედა ჩამოხატული ლუტერ მოძლვრისა მათისა სახე“. . ლუთერი. მარტინ (1483—1546)—გერმანიის დიდი საეკლესიო რეფორმატორი.

49 გვ.—„და მას ზედა მოძღვარივე ლუტერანთა მელანერი იყო გამოხატული“. —მელანერი (1497—1560) გერმანელი ჰუმანისტი, ლუთერის უახლოესი თანამშრომელი.

92 გვ.—„რამდენიმე წიგნი თვითმესწავლებელი“... თეიმურაზ ბატონიშვილს შედევრობაში აქვს: „ხელოენება ახნაურებითი გინა ქართულის ენისა თვით მასწავლებელი“ ბროსეს მიერ 1834 წელს პარიზს გამოიყენები.

„ერთი ამ წიგნისა კრონპრინცე მივართვა“... იგულისხმება ფრიდრიჩ ვილჰელმ IV (1795—1862).

93 გვ.—„ძალიან მეცნიერი და სწავლული კაცი ბრძანებულა, უკეთესი ძვირათ მინახავს, და გულითაც ქეთილი“—აქ თეიმურაზი გვაძლევს მცდარს, აღტაცებულ დახასიათებას ფრიდრიჩ ვილჰელმ IV—სას (იმ დროს კრონპრინცისას—ტახტის მემკვიდრისას), ასევე ახასიათებდა გას გოვთეც.

8060 ~~12~~ 835.

306

---

ЦАРЕВИЧ ТЕЙМУРАЗ  
(Багратиони)

МОИ ПУТЕШЕСТВИЯ  
В РАЗНЫХ МЕСТАХ ЕВРОПЫ  
(на грузинском языке)